ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 26 მაისი 1999 №96 (869) | ფასი 1 ლარი


**ყურადღება!**

სარბიელი 1 ივნისიდან ძველებურად 50 თეთრი ეღირება, მაგრამ ისევ 16 გვერდიანი იქნება!

# 26 მაისი: ფინალების დღე!

## თბილისი: ტორპედო — სამგურალი

## ბარსელონა: მანჩესტერი — ბაიერნი

ქუთაისელი გულშემატკივრები „ტორპედოს" საქომაგოდ თბილისში ათი ავტობუსით მოეშურებიან და იმედი აქვთ, საყვარელ გუნდს თასით ხელდამშვენებულს, ზეიმ-ზეიმ ჩააცილებენ ქუთაისში. უიმედოდ არც „ბაიერნის" ერთ-ერთი ლიდერი შტეფან ეფენბერგია. ცოლის თხოვნაზე, დაბადების დღისთვის საჩუქრად ჩემპიონთა თასი ჩამოიტანეო, უპასუხია:

# თასი ჩამოვიტანო? ამაზე ადვილი რა არის?!

დავით კაკაბაძე
ბარსელონიდან

UEFA CHAMPIONS LEAGUE

თითქოს განგებამ ინება, რომ ათასწლეულის ბოლო ფინალში ერთმანეთის პირისპირ სწორედ ეს ორი გუნდი დამდგარიყო: „მანჩესტერ იუნაიტედი" და მიუნხენის „ბაიერნი". განგებამ ინება-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ ევროპაში დღეს ეს ორი გუნდია აშკარად გამოკვეთილი ლიდერი. ამ სეზონში ეს ერთმაც და მეორემაც შთამბეჭდავად დაამტკიცა როგორც შინაურ, ისე საერთაშორისო ასპარეზზე.

კი მაგრამ, „იუვენტუსი"? „ინტერი"? „მილანი"? „ლაციო"? ცხადია, ჩემპიონთა ლიგის ფინალს ნებისმიერი მათგანის მონაწილეობა დაამშვენებდა, მაგრამ საფეხბურთო მატჩს (მათ შორის, გადამწყვეტსაც) მხოლოდ ორი მონაწილე ჰყავს: ყველაზე გამორჩეული, ყველაზე ღირსეული, რჩეულთა შორის რჩეული. ჩემპიონთა ლიგის ფინალი ხომ არა მარტო ამ სეზონის დაგვირგვინებაა — წინა სეზონის ერთგვარი გაგრძელებაც არის, რადგან წლევანდელ გათამაშებაში მონაწილე გუნდები, მოგეხსენებათ, შარშანდელ ეროვნულ ჩემპიონატებში მოპოვებული მაჩვენებლებით შეირჩა. და თუ „მილანი", რომის „ლაციო" ამ მომენტისთვის, შესაძლოა, არც ჩამოუვარდებოდნენ ფინალისტებს, ისინი დასასრულს მიახლოებული გათამაშების მონაწილეთა შორისაც კი არ ყოფილან. ხოლო ისინი ვინც წლეულს ჩემპიონთა ლიგაში იტალიას წარმოადგენდა (მილანის „ინტერნაციონალე" და ტურინის „იუვენტუსი"), მეოთხედფინალსა და ნახევარფინალში ერთ-ერთმა ფინალისტმა — „მანჩესტერ იუნაიტედმა" გამოთიშა.

იხილეთ მეცხრე გვერდი



REUTERS ბარსელონიდან

„კამპ ნოუზე" წუხელ ბოლო ვარჯიშები გაიმართა. „მანჩესტერ იუნაიტედმა" და „ბაიერნმა" დიდი ბრძოლის წინ ერთხელაც შეიხურეს სხეული, რომელსაც დღეს ასე შეიმოსავენ: „იუნაიტედი" ტრადიციულ, წითელ-თეთრ ფორმას მოირგებს, ხოლო „ბაიერნი", სათადარიგო — მონაცრისფროს. ეს საკითხი შოტლანდიელი ერნი უოქერის აგდებულმა მონეტამ გადაწყვიტა და მხარეებიც დაყაბულდნენ. არადა, წესის თანახმად, „ბაიერნს" გაჯიუტება შეეძლო და მაშინ, ორივეს სათადარიგო სამოსით უნდა ეთამაშა.

2

**იოჰან ბოსკამპს ქართველები ოსლოში მოსაგებად მიჰყავს**



ჰოლანდიელ მწვრთნელს საამისოდ ჩვენების ტექნიკა შეუგულებია

7

**ინგლისური მიმოქცევა**

სეზონის დასრულებასთან ერთად ინგლისში ფეხბურთელების გადასვლა-გადმოსვლებიც დაიწყო

12

**ქართული კალათბურთის მორიგი ზღაპარი ტრადიციული წუწუნის თანხლებით**

თავის მართლება შვეიცარიული ფიასკოს შემდეგ

15

**დაბრუნება ცისფერი ლაგუნიდან**

ანდრე აგასი პარიზში ლამაზმან მეუღლისა და წაგების გემოს დავიწყებას ცდილობს

# ბოსკამპს სურს, ნორვეგიელები უბურთოდ არბენინოს და ოსლოდან სამი ქულა წამოიღოს



გუშინ დიღმის ბაზაზე: იოჰან ბოსკამპი პირველად გაუძღვა ნაკრებს სავარჯიშოდ

— რა გითხრათ, სხვა არაფერი მაინტერესებს, ახლა ერთი მიზანი მაქვს — ნორვეგიიდან სამი ქულა უნდა ჩამოვიტანოთ. ოსლოში მოსაგებად მივდივართ...

საქართველოს ნაკრების ახალმა მწვრთნელმა იოჰან ბოსკამპმა ეს სიტყვები გუნდის მისი ხელმძღვანელობით პირველად ვარჯიშის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე თქვა.

დიახ, გუშინ, ექვს საათზე, ჩვენი ეროვნული გუნდი თითქმის სრული შემადგენლობით შეიკრიბა დიღმის საწვრთნელ ბაზაზე და ბოსკამპის თავკაცობით სანორვეგიო, შემდეგ კი ბერძნებთან მატჩებისთვის მზადებას შეუდგა.

მწერალი ჟურნალისტები ბაზაზე არ შეგვიშვეს — მხოლოდ ტელევიზიის მუშაკები და ფოტორეპორტიორები მობრძანდით, დანარჩენებმა მოიცადეთ, თქვენივის მწვრთნელებიცა და ფეხბურთელებიც რვა საათიდან 45 წუთით მოიცლიანო. რაღა გაეწყობოდა, ბოსკამპს ასე ჩაუთვლია საჭიროდ და ბაზის დარაჯისთვისაც დაუბარებია, კარი რვა საათზე გაალეო. თუმცა მთლად ასეც არ ყოფილა, ორი საათის განმავლობაში ჭიშკარი იმდენჯერ აჭრიალდა, დათვლა რომ მოგვდომებოდა, დაგვეზარებოდა. ვინ აღარ გადააბიჯა ზღურბლს, მხოლოდ ჩვენ დავრჩით მიღმა. ეს ისე, სხვათა შორის, თორემ ამისათვის ბოსკამპს ვერავინ გაამტყუნებს, არ სურდა იმ კაცს მწერალი ჟურნალისტების თანდასწრებით მუშაობა და ამიტომაც თქვა, რვა საათზეო... ბოსკამპს არც ის გაემტყუნება, პრესკონფერენციაზე ენას რომ კბილი დააჭირა, არ გაილექსა. ვითარებაც სხვანაირი იყო, ხუმრობა, სიცილი. მწვრთნელმაც, ფეხბურთელებმაც, ჟურნალისტებმაც გვარიანად ვიცინეთ. დავასკვენით, ბოსკამპს ფეხბურთელებთან მართლაც სხვანაირი მიდგომა ჰქონია.

ერთი სიტყვით, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა გუშინ ცივილიზაციას ოდნავ მივუახლოვდით. გუნდმა ივარჯიშა, ვიდეოოპერატორებმა და ფოტორეპორტიორებმა გადაიღეს, დამწერები კი, მწვრთნელის სურვილისამებრ, რვიდან პრესკონფერენციაზე შევუდექით საქმეს. კითხვებიც მხოლოდ მწვრთნელისთვის იყო. ერთი ნემსაძემ თქვა თავის საკლუბო მომავალზე და ცქიტიშვილმა — თანაგუნდელ კობიაშვილის ჯანმრთელობაზე.

...ჩემი წინამორბედი კოლეგების მუშაობის კომენტარს არასდროს ვაკეთებ. არც ახლა გეტყვით, რა ნაკლი ჰქონდა საქართველოს ნაკრებს ნორვეგიელებთან მატჩისას.

...ზაზა ჯანაშიას ჩამოუსვლელობის მიზეზზე ვერაფერს მოგახსენებთ. გამოვიძახეთ, მაგრამ ახლა ბაზაზე არ არის, არც ის ვიცი, როდის შემოგვიერთდება.

...მარტივი პრინციპი მაქვს — 10 კაცი თავდასხმაში, ათივე დაცვაში. ჯერ არაფერი გადამიწყვეტია, არც ნორვეგიაში ფორვარდთა რაოდენობა.

...ნორვეგია რომ კარგი გუნდია, ამას რა ჩემი მტკიცება სჭირდება? აგერ იამაიკელები გაანადგურეს, თანაც შესუსტებული შემადგენლობით.

...ჩვენ საბრძოლველად ვემზადებით. დარწმუნებული ვარ, ბიჭებს საამისოდ განვაწყობ. მერე რა, რომ ჰოლანდიელი ვარ, მეც ჩვეულებრივი ადამიანი გახლავართ. ერთს ვისურვებ, ჩვენს ნაკრებში მეკარე დევაძის მსგავსად არავინ უნდა მოიქცეს, ცუდი პრეცედენტია.

...ჯერ ნორვეგიასთან გვაქვს სათამაშო. თბილისში რომ დავბრუნდებით, ბერძნებზე მაშინ ვიფიქრებთ. ძირითად შემადგენლობას კი ყველა მატჩისთვის საგანგებოდ შევარჩევ.

...მცირე ტრავმები აწუხებთ შოთა და არჩილ არველაძეებს. მათი თამაში საეჭვოა.

...მართალია, ქინქლაძე და გახოკიძე ძალიან კარგი ფეხბურთელები არიან, მაგრამ მათ კარგა ხანია, თავიანთ კლუბებში არ უთამაშიათ, მე კი ვთქვი, გუნდში უთამაშებელს ნაკრებში არ მოვიწვევ-მეთქი.

...მგონი, სიურპრიზია ეროვნულ გუნდში საკმაოდ ახალგაზრდა ხიზანიშვილის გამოძახება. ამ ბიჭის დიდი იმედი მაქვს. მომავალში მისგან კარგი ფეხბურთელი დადგება. სიურპრიზია ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობის მნიშვნელოვნად განახლებაც. რადგან მათ ჯგუფში გამარჯვების შანსი დაკარგეს, ჯობს, შემდგომი შესარჩევი ციკლისთვის მზადება ახლავე დაიწყონ. ნორვეგიაში კი, თუ ეროვნულ გუნდში თავდამსხმელები მოგვაკლდა, ფორვარდებს სწორედ ახალგაზრდულს დავესესხებით.

აი, სულ ეს გახლდათ ბოსკამპის გუშინდელ პრესკონფერენციაზე ნათქვამი, მწვრთნელისა, რომელიც თურმე ქართული კულტურის გაცნობასაც ცდილობს: ამას წინათ ჯვრის მონასტერიც მოუნახულებია. მან გუშინ მცირე ხნით საგანგებოდ „სარბიელისთვისაც" მოიცალა.

— ნორვეგიელთა მწვრთნელს ჩვენთან თამაშის წინ, ფაქტობრივად, უძლიერესი ფეხბურთელები მიუწვევია. ეს კი მატჩის მნიშვნელობაზე მეტყველებს. ნორვეგიელებს, დარწმუნებული ვარ, სულაც არ ვგონივართ ხელწამოსაკრავი გუნდი, თუმცა, აჯობებდა, ასე ეფიქრათ. ოსლოში დავამტკიცებთ, რომ კარგი ფეხბურთის თამაში შეგვიძლია — გვითხრა ბოსკამპმა და განაგრძო — ნორვეგიელებზე საკმაო ინფორმაცი მაქვს, ვიცი, როგორ თამაშობდნენ, ახლა რისი მაქნისები არიან. მათი მანერა ძალიან კი არ მომწონს, მაგრამ რა ვქნათ, შესაბამისად უნდა ვეთამაშოთ. ისინი ათი ფეხბურთელით იცავენ თავს, ჰყავთ მობილური ნახევარდაცვა, ძლიერი თავდამსხმელები. ყველაფერი პრაქტიკულად ფლოზეა აგებული, თითქმის ყველა პასი მისი მისამართითაა და მერე იგი თამაშობს პარტნიორებზე. თავით აქეთ-იქით უგდებს ბურთს, ერთობ ჭკვიანი ფეხბურთელია. ოსლოში მასპინძლები, ალბათ, ორი გამოკვეთილი თავდამსხმელით დაგვიპირისპირდებიან. იქნებ სოლსკიაერი ფლანგზეც გასწიონ. ჩვენ ყველაფრისთვის კარგად უნდა მოვემზადოთ, მაქსიმალურად ვეცადოთ, საშიში თავდამსხმელები გავაუვნებლოთ.

**— შეგვიძლია, ვიფიქროთ, რომ ფლოს პერსონალურ მეურვეს მიუჩენთ?**

— არა, ასე არ ვითამაშებთ, ზონური დაცვა ჯობს. აუცილებლობის შემთხვევაში კი, თუ სხვა გამოსავალი არ გვექნება, ფლოს წინააღმდეგ პერსონალურ თამაშს კალაძეს დავავალებთ.

**— და მაინც, როგორ უნდა ვაჯობოთ ნორვეგიელებს? აკი თქვით, ოსლოში მოსაგებად მივდივართო.**

— ტექნიკით. მასპინძელთა ძალისმიერ ფეხბურთს ტექნიკა უნდა დავუპირისპიროთ, ბურთი დიდხანს ვაკონტროლოთ და ნორვეგიელები უბურთოდ ვარბენინოთ. მთავარი ესაა, სხვა მოედანზე გამოჩნდება.

**— ნაკრებში ფეხბურთელები ვისი რეკომენდაციით მიიწვიეთ? თქვენ ხომ მათზე წარმოდგენის შესაქმნელად დიდი დრო არ გქონიათ?**



პრესკონფერენციისას იოჰან ბოსკამპს გიორგი ნემსაძე (მარცხნივ) და გიორგი დემეტრაძე ყურადღებით უსმენდნენ

— რეკომენდაცია არავის მოუცია. მე გადავწყვიტე მათი მოწვევა. დევაძის გარდა ყველა ფეხბურთელის თამაში ვნახე და ამიტომაც ასე ჩავთვალე საჭიროდ.

ბოსკამპისთვის სასურველ ფეხბურთელთა ჩამონათვალს ადრინდელ „სარბიელში" წაიკითხავდით. 22-კაცინ სიაში მხოლოდ ერთი ცვლილებაა, მეკარე აკაკი დევაძის ნაცვლად ბოსკამპმა ტორპედოელი გრიგოლ ჭანტურია მიიწვია. დევაძის თბილისში ჩამოუსვლელობის მიზეზს კი ნუ იკითხავთ... ისრაელიდან შემოუთვლია, ჩემს გუნდს აქაური ჩემპიონატის ძალიან მნიშვნელოვანი თამაში აქვს და ამჟამად ნაკრებისთვის არ მცალია, სხვა დროს ჩემი თავი გენაცვალოთო. ჩვენებურები აღშფოთებულან, უეფაში ფაქსიც გაუგზავნიათ და შესაძლოა საქმე იქამდეც მივიდეს, აკაკი დევაძეს საერთოდ გამოატოვებინონ ის მატჩი.

წუხელ თბილისში ჯერ არ ჩამოფრენილიყო მოსკოვის „ლოკომოტივის" თავდამსხმელი ზაზა ჯანაშია, მიზეზი უცნობია.

ნორვეგიელებთან ვერ ითამაშებს ნახევარმცველი ლევან კობიაშვილი. „ფრაიბურგმა" შემოთვალა, ლევანს მკურნალობა სჭირდებაო. შეგახსენებთ, გერმანიაში მოთამაშე ჩვენებურს ამას წინათ სისხლი მოეწამლა და ხუთი დღე საავადმყოფოში გაატარა.

მყესი აწუხებს არჩილ არველაძეს, მას ტყუპისცალს კი — [illegible] ორივეს თამაში საეჭვოა. წელი სტკივა „ციურიხის" ნახევარმცველ გოჩა ჯამარაულს, რომელსაც შვეიცარიის ჩემპიონატის ბოლო ტურის მატჩში ყველაშვილის „გრასჰოპერის" წინააღმდეგ გამაყუჩებელი ნემსებით უთამაშია. მასაც მკურნალობა, უფრო სწორად, მასაჟი სჭირდება, თუმცა თავადვე გვითხრა, საშიში არაფერია, ვითამაშებო.

გუშინდელი ვარჯიში უკვე მთავრდებოდა, რვა სრულდებოდა, ბაზას კახა კალაძე რომ მოადგა, პირდაპირ აეროპორტიდან მოსულიყო. კახას სამოსი უმალ გამოუცვლია და ბოსკამპის თანაშემწე ფრანსუა დე იონგთან ერთად სირბილსაც შესდგომია.

დანარჩენებს, როგორც შევიტყვეთ, არაფერი აწუხებთ. ნაკრების წევრები დღეს დილით ივარჯიშებენ, შემდეგ ნასადილევს მეორედ მოისმენენ მწვრთნელის დარიგებებს, საღამოს კი ეროვნულ სტადიონს ეწვევიან, საქართველოს თასის ფინალს დაესწრებიან. ხვალაც გუნდი დილით ივარჯიშებს, საღამოს ეროვნულ სტადიონზე გააგორებს ბურთს და ზეგ, დილის 10-ზე, ნორვეგიისკენ გასწევს.

დაბოლოს, მაშინ არც განწყობა გვქონდა, არც ხალისი, საკითხავიც, საკომენტაროც არაფერი იყო. მაშინ, თითქმის ერთი თვის წინ, როცა ნორვეგიამ ჩვენებურებს შავი დღე აყარა. ახლა კი...

*გიორგი ნემსაძე:*

— ყველა ფეხბურთელის ცხოვრებაშია ასეთი შემთხვევა. წავაგეთ, სამარცხვინოდ წავაგეთ და თავის გასამართლებლად ენაც არ მომიბრუნდება. თითქოს ყველაფერი კარგად დაიწყო, მაგრამ იმ ერთმა, აუტიდან გაშვებულმა ბურთმა დაგვღუპა, ფსიქოლოგიურად ძალიან იმოქმედა, თანაც მაშინ რამდენიმე გამოუცდელი ფეხბურთელიც თამაშობდა. რა ვქნათ, ეს ნაკლი ვერა და ვერ გამოვასწორეთ, გაშვებული გოლის შემდეგ თამაშის მოტრიალება გვიჭირს.

**— ნორვეგიაში მატჩამდე რას ფიქრობ?**

— თბილისში კარგი განწყობით ჩამოვედი. იმედი მაქვს, ოსლოში მაინც ვითამაშებთ კარგად. ჩვენ რევანში გვსურს. როგორია, თბილისში ასე გაგვანადგურეს... ბოსკამპისაც მეიმედება, მას საკმაოდ წარმატებული კარიერა ჰქონია. კარგი იქნება, მისი წყალი გადმოგვესხას.

*გოჩა ჯამარაული:*

— მაშინდელი წაგება მთლიანად გუნდის ბრალი კი არის, მაგრამ უმეტესად დაცვის სუსტი თამაშის. არ მჩვევია ჯოხის სხვებზე გადატეხვა, თუმცა, ალბათ, თქვენც დამეთანხმებით, მცველებმა ცუდად ითამაშეს.

**— ოსლოშიც იგივეს ველოდოთ?**

— არა, იქ სულ სხვა მატჩი იქნება, თბილისზე მეტად გაგვიიოლდება, ალბათ, კონტრშეტევებზე ვითამაშებთ. ისე კი, გააჩნია, ბოსკამპი როგორ დაგვარიგებს. დაცვას ჩვეული ნორვეგიელები შინ შემოგვიტევენ და მათ კართან მიახლოებაც არ უნდა გაგვიჭირდეს.

**კობა ინასარიძე**

**ბადრი ქეთილაძის ფოტოები**



თბილისში ჩამოსულმა კახა კალაძემ აეროპორტიდან პირდაპირ დიღმის ბაზას მიაშურა და უმალვე დე იონგის ხელში აღმოჩნდა

# საქართველოს თასის მეცხრე ფინალამდე



საქართველოს თასი პირველად „გურიამ“ დაისაკუთრა

**1990** თბილისი 18 ნოემბერი ეროვნული 35 000

**გურია 1:0 ცხუმი**

1:0 ფრიდონაშვილი (95)
გურია: ქანთარია, ტყებუჩავა, გუჯაბიძე, დანელია, მაჟეიკასი, ცომაია, მიქაბერიძე, ფრიდრიკასი (ბარათაშვილი 117), კორღალიძე, ფრიდონაშვილი, კაბისაშვილი
ცხუმი: ჟორჟოლიანი, ჩიხრაძე, ფარულავა, დოჩია, მალანია, ინალიშვილი, ჯიშკარიანი, პაპავა, გოგრიჭიანი, გაბისკირია, კურგენიანი
გაფრთხილება: კორღალიძე (10), ჩიხრაძე (26), კაბისაშვილი (30), გაბისკირია (40), პაპავა (65), ტყებუჩავა (73)
მსაჯი: მ. მალაღურაძე (თბილისი)

**1992**
თბილისი 26 მაისი
ეროვნული 18 000

**იბერია 3:1 ცხუმი**

1:0 ინალიშვილი (33), 2:0 რევიშვილი (54), 3:0 შ. არველაძე (60), 3:1 ჯიშკარიანი (61)
იბერია: ჩხეიძე, არზიანი, ქველაძე, შელია, კუდინოვი, რევიშვილი, ინალიშვილი, ჩიქოვანი, რ. არველაძე, ყაველაშვილი, შ. არველაძე
ცხუმი: ჟორჟოლიანი, ჩიხრაძე, ფარულავა, მინდაძე, მალანია, სიჭინავა (გადელია 72), ჯიშკარიანი, პაპავა, გოგიაშვილი, ცაავა, გაბისკირია
გაფრთხილება: ქველაძე (77)
მსაჯი: მ. კობიაშვილი (დუშეთი)



„დინამოს“ საფინალო დებიუტი. გივი ქველაძე სოსო მალანიას (მარჯვნივ) წინააღმდეგ



ჩემპიონის სათასო ტრიუმფი ამჯერადაც არ ჩამცხრალა

**1993** თბილისი 26 მაისი ეროვნული 25 000

**დინამო 4:2 ბათუმი**

1:0 რ. არველაძე (4), 2:0 ა. არველაძე (22), 2:1 ტულუში (26), 3:1 შ. არველაძე (35), 4:1 რ. არველაძე (37), 4:2 ხომერიკი (78)
დინამო: ზოიძე (ჩხეიძე 81), ბერაძე, ჯამარაული, შელია, ა. არველაძე (კვარაცხელია 77), ყაველაშვილი, ინალიშვილი, ჩიქოვანი, რ. არველაძე, ქინქლაძე, შ. არველაძე
ბათუმი: ბალაძე, მუჯირი, შანიძე, ღლონტი (გულისაშვილი 78), შეყილაძე, თორლაშვილი, მ. მახარაძე, მაჭუტაძე, ხომერიკი, ტულუში, კანტიძე
გაფრთხილება: შანიძე (60)
მსაჯი: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)



**1994**
თბილისი 26 მაისი
ეროვნული 20 000

**დინამო 1:0 მეტალურგი**

1:0 ყაველაშვილი (57)
დინამო: ზოიძე, ბერაძე, ჩიქოვანი, ლობჟანიძე, ნემსაძე, კიკნაძე, ინალიშვილი, ჯამარაული, იაშვილი (ცქიტიშვილი 62), ყაველაშვილი, ანჩაბაძე
მეტალურგი: გრიშიკაშვილი, გახოკიძე (ღუდუშაური 46), ბურნაძე, არჩვაძე, კობიაშვილი, გ. კილასონია, ამბიძე, გ. კილასონია, პერტია, თ. მეტრეველი (მელაძე 68), ალადაშვილი
მსაჯი: თ. ლაცაბიძე (სურამი)

მიხეილ ყაველაშვილი (№10) ლევან კობიაშვილის დაჯაბნას ცდილობს

## იმერლების იმერლობა კი არა...

დღეს საქართველოს თასის ფინალია, წინა რეა მატჩისგან განსხვავებული და უჩვეულო. ფინალში ვერ ვიხილავთ ჩემპიონსა და თასის ექვსგზის მფლობელ თბილისის „დინამოს“. ეს მეორედ დარჩნენ დინამოელები ფინალს მიღმა. პირველად 1990 წელს იყო სანუკვარ ჯილდოს ლანჩხუთის „გურია“ და სოხუმის „ცხუმი“ რომ ეცილებოდნენ ერთამანეთს. მაშინ გურულებმა იმარჯვეს.

ვერც „ბათუმმა“ ინავარდა წლეულს. „ლოკომოტივისგან“ მეოთხედფინალში ძლეული სულაც უფუნქციოდ დარჩა.

თასს სოხუმის „ცხუმი“ ერთხელაც, 1992 წელს, შეეთამაშა, მაგრამ იმდროისთვის მეტად ტექნიკურად და ლალად მოთამაშე სოხუმელებმა საქართველოს უცვლელი ჩემპიონის ძლევა ვერ შეძლეს.

„დინამოს“ ჰეგემონიის დამხობა 1994 წელს რუსთავის „მეტალურგმა“ სცადა, მაგრამ ამაოდ.

მერე კი 26 მაისის მატჩი პრივატიზებულ თამაშად იქცა. წლევანდელ გათამაშებამდე „ბათუმი“ ასკდებოდა „დინამოს“ და მიზნის მიღწევა მხოლოდ ერთხელ, შარშან შეძლო. დავით ჭიჭვეიშვილის ოქროს გოლმა ბათუმელთა მანამდე აუხდენელ ოცნებას ფრთები შეასხა.

ობიექტური შეფასებით დღევანდელი „ტორპედო“ გაცილებით ძლიერია დღევანდელ „სამგურალზე“, მაგრამ აქამდე არც ერთ ქუთაისელს არ უთამაშია თასის ფინალში. წყალტუბოელებს კი ასეთი ორი ფეხბურთელი ჰყავთ, გია კილასონია და სანდრო ბურნაძე.

„ტორპედომ“ რომ წააგოს, მოგჭამათ ჭირი მთელი წლის ნაჯაფარმა. „კოლხეთი“ უფუნქციოდ დაგვირჩება, ხოლო „ლოკომოტივი“, რომელმაც გუშინ ფეხბურთის ფედერაციაში ახალი სათამაშო ფორმის კომპლექტები წარადგინა, უეფას თასზე ამ ალკაზმულობით ვითამაშებთო, ინტერტოტოს გათამაშებაში გადაინაცვლებს, საიდანაც ხარჯის გარდა ვერაფერს გამორჩება.

ყველა ქუთაისელთა ტრიუმფს ელის, მაგრამ „სამგურალის“ მეთერთმეტე ადგილმა არ შეგაცდინოთ. არ ჰყავს წყალტუბოს ხელწამოსაკრავი გუნდი. „სამგურლმა“ შეძლო, შეეჩერებინა „ლოკომოტივის“ ძლევამოსილი სვლა, იმ „ლოკომოტივისა“, რომელმაც თავის მხრივ თასის ადრინდელ ტრიუმფატორებს, „დინამოს“ და „ბათუმს“ გაუშრო სისხლი. არც ის დაგავიწყდეთ, რომ ერთხელ ცარიელი თოფიც ისვრის.დღევანდელი მატჩის არბიტრი სერგო კვარაცხელია თავისებურად რეკორდსმენი გამოდის. წლევანდელი ფინალი მისთვის რიგით მეოთხე იქნება.

**მამუკა ძგანტალიანი**

ფოტოები სარბიელის არქივიდან

## ასლანაძე ფინალს მიღმა

თითქმის გადაწყვეტილი ამბავი იყო — „სამგურალის“ მეკარეს, „ტორპედოდან“ განათხოვრებულ დავით ასლანაძეს, დღეს წყალტუბოელთა კარი უნდა დაეცვა. კარგად მოგეხსენებათ, დოკუმენტში შავით თეთრზე ეწერა — თუ „სამგურალი“ „ტორპედოს“ დაუპირისპირდებოდა, მას თამაშისთვის ტრიბუნებიდან უნდა ეცქირა. ასეც მოხდა. 26-ე ტურის შეხვედრაში ქუთაისელებმა სამი გოლი „სამგურალის“ სათადარიგო მეკარე ბობოხიძეს გაუტანეს. თასის ფინალისთვის კი „ტორპედოს“ მესვეურებმა დიდსულოვნად გადაწყვიტეს — იმით არაფერი დაშავდება, თუ ასლანაძე წყალტუბოელთა ღირსებას დაიცავსო.

წუხელ ყველაფერი შეიცვალა. „სარბიელისთვის“ ცნობილი გახდა, რომ ქუთაისურთა კლუბის ხელმძღვანელობამ ფედერაციაში ფაქსი გაგზავნა, რომელშიც იტყობინებოდა — წყალტუბოში განათხოვრებული „ტორპედოს“ მეკარე დავით ასლანაძე დღეიდან „სამგურალიდან“ გამოწვეულიაო. ესე იგი, მას დღევანდელი თასის ფინალში თამაში აეკრძალა. ზუსტი მიზეზი ჩვენთვის უცნობია.



**1995**
თბილისი 26 მაისი
ეროვნული 15 000

**დინამო 1:0 ბათუმი**

1:0 დემეტრაძე (27)
დინამო: ზოიძე, ბერაძე, ლობჟანიძე, დიდავა, მაჭავარიანი, კიკნაძე, ნემსაძე (ყიფიანი 56), ჯამარაული (დემეტრაძე 16), იაშვილი, ქინქლაძე, ცქიტიშვილი
ბათუმი: ბალაძე, გოგიტიძე, ფუტკარაძე (მუჯირი 80), ი. მახარაძე, შეყილაძე, თორლაშვილი, მ. მახარაძე, მაჭუტაძე, ტულუში, უჯმაჯურიძე, კანტიძე (ხომერიკი 46)
გაფრთხილება: მ. მახარაძე (42), ლობჟანიძე (44), მაჭავარიანი (46), შეყილაძე (70), მაჭუტაძე (85), ყიფიანი (88)
მსაჯი: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

საქართველოს თასი მეტად მძიმე ნადავლია. გიორგი ქინქლაძეს მისი აღმართვა უჭირს



საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ახალი თასი მამუკა მაჭავარიანს გადასცა

**1996** თბილისი 26 მაისი ეროვნული 35 000

**დინამო 1:0 ბათუმი (0:0) დ.დ**

1:0 ინალიშვილი (96)
დინამო: ჭანტურია, კობიაშვილი, ლობჟანიძე, დიდავა, მაჭავარიანი, გოგიჩაიშვილი, კიკნაძე (ცქიტიშვილი 105), ყიზილაშვილი, კერძევაძე, ანჩაბაძე (ინალიშვილი 56), იაშვილი (დემეტრაძე 71)
ბათუმი: ტოგონიძე, შანიძე, ჩიქოვანი, ი. მახარაძე, შეყილაძე, თორლაშვილი (კანტიძე 73), მ. მახარაძე, ღლონტი, ტულუში, უჯმაჯურიძე, მუჯირი
გაფრთხილება: ლობჟანიძე (20), უჯმაჯურიძე (77), გოგიჩაიშვილი (118)
მსაჯი: თ. ლაცაბიძე (სურამი)

**1997**
თბილისი 26 მაისი
ეროვნული 10 000

**დინამო 1:0 ბათუმი**

1:0 დემეტრაძე (31)
დინამო: ზოიძე, კალაძე, ზ. ჯელაძე, დიდავა, ცქიტიშვილი (კერძევაძე 55), გოგიჩაიშვილი, კიკნაძე, ჩხაიძე, ყიზილაშვილი (ხომერიკი 80), ანჩაბაძე, დემეტრაძე
ბათუმი: ტოგონიძე, ი. მახარაძე, მინდაძე, სიჭინავა, შეყილაძე, თორლაშვილი (კანტიძე 46), მ.მახარაძე, ღლონტი, ტულუში, უჯმაჯურიძე, მუჯირი
გაფრთხილება: მუჯირი
მსაჯი: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)



„დინამოსთვის“ კარგად ნაცნობი ჯილდო ირაკლი ზოიძემ ჩაიბარა



გვიან ახდენილი ოცნება. „ბათუმმა“ სანატრელი თასი ჩაიხუტა

**1998** თბილისი 26 მაისი ეროვნული 20 000

**დინამო 1:2 ბათუმი (1:1, 1:1) დ.დ**

1:0 კანტიძე (14), 1:1 ალექსიძე (36), 1:2 ჭიჭვეიშვილი (118)
დინამო: ზოიძე, ლობჟანიძე, გუჩუა, დიდავა, დ. მუჯირი, ზ. ჯელაძე, კიკნაძე, ალექსიძე, აშვეთია, ცქიტიშვილი, ა. სახვაძე
ბათუმი: ტოგონიძე, ი. მახარაძე (ღლონტი 46), მინდაძე, სიჭინავა, შეყილაძე, თორლაშვილი (მაქაცარია 86), მ. მახარაძე, ჭიჭვეიშვილი, მაჭუტაძე, კანტიძე, სოლოღაშვილი
გაფრთხილება: ჯელაძე, მ. მახარაძე, სოლოღაშვილი, ლობჟანიძე
გაძევება: ჯელაძე (58)
მსაჯი: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)

# ს. კ. ტორპედო

**დაარსდა:** 1949 წელს
**პრეზიდენტი:** მიხეილ ქორქია
**მწვრთნელი:** ჯემალ ხერხაძე
**სტადიონი:** „გივი კილაძე“ (ტევადობა 23 800)
**ორგზის ბრინჯაოს პრიზიორი:** 1991, 1994
**ვერცხლის პრიზიორი:** 1998-99
პირველ სამ ჩემპიონატში გამოდიოდა „ქუთაისის“ სახელით

**1998-99 გზა ფინალამდე +5, -1 19:5**

**მერვედფინალი**

**კოლხეთი 3:1 ტორპედო**
0:1 დ. ჯანაშია (20), 1:1 წივწივაძე (55), 2:1 კალანდაძე (82პ), 3:1 წივწივაძე (90)

**ტორპედო 4:1 კოლხეთი**
ძირითადი დრო 3:1
1:0, 2:0 იონანიძე (40, 47), 3:0 დ. ჯანაშია (61), 3:1 კალანდაძე (81), 4:1 მეგრელაძე (97)

**მეოთხედფინალი**

**ტორპედო 8:0 გორდა**
1:0, 2:0 ხვადაგიანი (8, 28), 3:0 მეგრელაძე (32), 4:0 დ. ჯანაშია (40), 5:0, 6:0 ჩხეტიანი (45, 57), 7:0 მეგრელაძე (62), 8:0 იონანიძე (82პ)

**გორდა 0:1 ტორპედო**
0:1 იონანიძე (29)

**ნახევარფინალი**

**არსენალი 1:2 ტორპედო**
1:0 ზირაქიშვილი (47), 1:1, 1:2 ჩხეტიანი (52, 58)

**ტორპედო 3:0 არსენალი**
1:0 მეგრელაძე (7), 2:0 მაზანიშვილი (26), 3:0 ვაჩიბერაძე (63)

*იონანიძე — 4, მეგრელაძე — 4, ჩხეტიანი — 4, დ. ჯანაშია — 3*


დღეს, „სამგურალი“ ტორპედოელთა ლიდერ დავით ჯანაშიას (№9) უნდა უფრთხილდეს

# პირველი კოცნა

მეათე ეროვნულის ბოლო ტურში „ტორპედო“ ბოლნისს გადახალისებული შემადგენლობით ესტუმრა. ქუთაისელებმა ხუთი ფარმკლუბელი იახლეს თან, „თემურ სტეფანიაზე“ „სიონის“ წინაალმდეგ ათამაშეს და ვერცხლის პრიზიორობასაც აზიარეს.

იმ ხუთეულიდან რევაზ კვერნაძე მეცნო. უფრო სწორად, ვიცოდი რომ იგი 80-იანი წლების „ტორპედოს“ მარცხენა გარემარბის, ალექსანდრე კვერნაძის ვაჟია. და კიდევ... ქუთაისელთა რიგებში ოთხი ნომრით მოთამაშე ტანმაღალი, გამხდარი ბიჭის, გოდერძი გოგოლაძის გვარმაც მიიქცია ჩემი ყურადღება. მატჩის შემდეგ ტორპედოელებს დავეკითხე და მითხრეს — ცხონებული დიმა გოგოლაძის შვილია, ისიც ადრე „ტორპედოში“ თამაშობდაო...

რედაქციაში მისულმა ძველი არქივი მოვიძიე და ხელში 17 წლის წინანდელი პროგრამა შემრჩა. 17 წლის წინანდელი მოგონებებიც უმალ გაცოცხლდა. 1982 წლის 3 აპრილს „ტორპედო“ — „მეტალისტის“ (ხარკოვი) შეხვედრის პროგრამამ წარსულს შემახვედრა. მართლაც ჩინებული გუნდი ჰყავდათ ქუთათურებს: მიხეილ კვერნაძე, ავთანდილ ქანთარია, ილია რუხაძე, გიორგი ჭილაია, ვოვა შელია, დიმა გოგოლაძე, გოჩა მაჩაიძე, ნოდარ ჭელიძე, რევაზ ბურკაძე, მერაბ ჟორდანია, ოთარ კორღალიძე, მანუჩარ მაჩაიძე, ალექსანდრე კვერნაძე, მერაბ მეგრელაძე, გურამ ჩქარეული, დევიზ დარჯანია და... ძნელია გამორჩევა. მთავარი მწვრთნელი გივი ნოდია იყო, თანაშემწე ჯემალ ხერხაძე.

ამონაწერი პროგრამიდან — და აი, გაზაფხულის მოსვლასთან ერთად ჩვენს ქალაქს კვლავ ეწვია დიდი ფეხბურთი. დიახ, 11 წლის შემდეგ ქუთაისის „ტორპედო“ კვლავ ასპარეზობს უმაღლესი ლიგის 17 უძლიერეს კლუბთან ერთად...

1981 წლის 13 ნოემბერს „ტორპედო“ სსრკ-ს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგას დაუბრუნდა. 1999 წლის 19 მაისს კი — ქართულ ფეხბურთს...

ახლა ბევრს ლაპარაკობენ, 26 მაისის თასის იმერულ ფინალში შეიძლება დადგმული სპექტაკლი ვიხილოთო. გამორიცხულია. ქუთაისელები 9 წელი ელოდნენ დღევანდელ დღეს. აქამდე „ტორპედოს“ გულშემატკივრები თავს არიდებდნენ ხოლმე ქართულ ფეხბურთზე ლაპარაკს. ცნობილ მიზეზთა გამო თავმოსაწონიც არაფერი ჰქონდათ და სალაპარაკოც. 9 წლის განმავლობაში მათი საყვარელი გუნდი ორჯერ ძლივს გავიდა მესამე ადგილზე, ორჯერ მიაღწია თასის ნახევარფინალსაც და მორჩა.

ვერც ამჟამინდელი ტორპედოელები დაიკვეხნიან ეროვნულ ჩემპიონატებში დიდი მონაგრით. მხოლოდ დავით ჯანაშიამ, ზურაბ იონანიძემ და გრიგოლ ჭანტურიამ გამოჰკრეს ორჯერ ხელი ვერცხლის მედალოსნობას (პირველად „სამტრედიაში“). აი, თასის ფინალში კი არც ერთს უთამაშია.

„ტორპედო“ პირველად მოდის 26 მაისის ზეიმზე. პირველად შეეცდება, აკოცოს საქართველოს თასს. პირველ კოცნას კი სულ სხვა გემო და ეშხი აქვს. მასზე კი სულიერთაგან ჯერ არავის უთქვამს უარი.

„ტორპედო“ ძალიან ახლოა მიზანთან. ფეხბურთელებიც ურიგო როდი ჰყავთ ქუთათურებს. ეს არ არის ქართული ფეხბურთისათვის მახასიათებელი ერთწლიანი გუნდი. ეს არის კარგად შეთამაშებული ერთი თაობა, რომელიც 3 წელია, ერთი ცხოვრებით ცხოვრობს, ერთი აქვს ჭირი და ლხინიც. მისი სრული ძალა კი 9 მაისს ქუთაისში გამოჩნდა „დინამოს“ წინაალმდეგ. იმ შეხვედრის შემდეგ გაოცებულ იოჰან ბოსკამპს უთქვამს — ეტყობა, დასავლეთ საქართველოში უფრო მებრძოლი სულის ხალხი ცხოვრობსო...

9 მაისს ჯემალ ხერხაძის ძალაც გამოჩნდა. ხერხაძე უკვე ოცი წელია, გუნდში მუშაობს. თავის დროზე „ტორპედოს“ შესწირა კარიერა, თბილისის „დინამოში“ არ გადავიდა. შედეგად კი სსრკ-ს ნაკრებში აღარ მიიწვიეს. ჯემალ ხერხაძე 26 მაისს მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შესრულებას ამთავრებს და კვლავ თანაშემწის ფუნქციას იკისრებს. იგი შეეცდება, ეროვნულ ჩემპიონატებში „ტორპედოს“ ყველაზე დიდ მიღწევას — ვერცხლის მედლებს საქართველოს თასიც მიამატოს.

ქუთათურები ძალიან სერიოზულად ემზადებოდნენ საამმატჩოდ. საღორიის საწვრთნელ ბაზაზე ხუთი დღეა, ორჯერადი ვარჯიშები იმართებოდა. მხოლოდ კახა ჩხეტიანი იტკივებს ფეხს. დანარჩენები ჯანზე არიან.

როცა „ტორპედოს“ წლევანდელ მიღწევაზე ლაპარაკობ, ორი ფაქტორის დავიწყებას არაპროფესიულ მსჯელობად ჩავითვლიან. პირველი და მთავარი — ქუთაისელი გულშემატკივარი, მეათე ეროვნული ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერი. თუ რა შეუძლიათ „ტორპედოს“ ქომაგებს, ამაში კიდევ ერთხელ დღეს დარწმუნდებით.

მეორე — კლუბის ახალი პრეზიდენტი მიხეილ ქორქია. კაცი, რომელმაც სულზე მიუსწრო მშობლიური ქალაქის გუნდს და დაშლას გადაარჩინა. მიხეილ ქორქიამ ლომის წილი დაიდო უეფას თასის გათამაშებაზე „ტორპედოს“ პირველად გასვლაში.

რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, ფაქტია: „ტორპედო“ 50-წლიანი იუბილეთი ხვდება 26 მაისს...

*სავარაუდო შემადგენლობა:* ჭანტურია, ახვლედიანი, თურმანიძე, ხვადაგიანი, შეყრილაძე, მაღლაკელიძე, ჩხეტიანი, კვეტენაძე, დ. ჯანაშია, იონანიძე, მეგრელაძე.

**ხვიჩა სანიძიძე**


გიორგი მეგრელაძის (№10) ოქროს გოლმა „ტორპედო“ მეოთხედფინალში გაიყვანა

## მეკარეები

**გრიგოლ ჭანტურია**, 25 წლის. „ტორპედოში“ შარშანდელ სეზონში მივიდა. შესაშური რეაქციით გამოირჩევა. ხაზზე საიმედოდ თამაშობს. მატჩის მსვლელობის დროს თანაგუნდელებს კარგად კარნახობს თამაშს.

**ზვიად სტურუა**, 21 წლის. ქუთაისელთა გუნდში „სამგურალიდან“ მეორე წრეში გადავიდა. წლეულს საქმეში იშვიათად ვიხილეთ. თასის მეოთხედფინალში „გორდასთან“ პენალტი მოიგერია, „სიონთანაც“ კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

## მცველები

**ბადრი ახვლედიანი**, 28 წლის. ტორპედოელთა ერთ-ერთი საუკეთესო შენაძენი. შემტევი ხასიათის მარჯვენა მცველია. აფხაზეთიდან დევნილი „კოლხეთიდან“ საკუთარი ნებით მივიდა „ტორპედოში“. ამჟამად კარგ ფორმაშია და ეროვნულ ნაკრებშიც პირველად მიიწვიეს.

**ვახტანგ ხვადაგიანი**, 27 წლის. გამოცდილი ტანმაღალი ცენტრალური მცველია. საკმაოდ კარგად თამაშობს თავით. შარშანწინ ქუთაისელთა გუნდიდან „ალანიაში“ გადაბარგდა, მაგრამ... უკან ტრავმირებული დაბრუნდა. „დინამოში“ იწვევდნენ, თუმც თბილისელმა ხვადაგიანმა მაინც „ტორპედო“ არჩია.

**ირაკლი მაღლაკელიძე**, 26 წლის. მარცხენა მცველია. ბოლო ორი სეზონია, ძალიან სტაბილურად თამაშობს. პერსონალური მეურვეობის თითქმის უშეცდომოდ შემსრულებელია.

**ალექსანდრე შეყრილაძე**, 28 წლის. ასეთი წარმატებული სეზონი ჯერ არ ჰქონია. ამპლუით მარჯვენა მცველი ცენტრალურის პოზიციაზეც კარგად ირჯება. მოწინააღმდეგის ნახევარზე ხშირადაა.

**ვახტანგ თურმანიძე**, 26 წლის. „ტორპედოს“ უკანა მცველი. ლიბეროს პოზიცია მისთვის ზედგამოჭრილია. კარგად ეხერხება თანაგუნდელების დროულად დაზღვევა. საჩხერელი თურმანიძეს ქუთაისელთა კლუბი მშობლიურად მიაჩნია.

**არჩილ ჩხაბერიძე**, 27 წლის. გამოცდილი ცენტრალური მცველია. პირველ წრეში ლიბეროდ ათამაშებდნენ, თუმცა საყრდენ ნახევარმცველობასაც ავალებდნენ-ხოლმე.

## ნახევარმცველები

**დავით ჯანაშია**, 26 წლის. მეათე ეროვნულში მართლაც შეუდარებელი იყო. „ტორპედოს“ ლიდერი და მთავარი ძალაა. ქუთაისელთა გუნდი მის გარეშე უდირიჟორო ორკესტრს ჰგავს. გუნდის წლევანდელ წარმატებაში ლომის წილი მიუძღვის. შემტევმა ნახევარმცველმა ჯანაშიამ თუ მეორე სიჩქარე ჩართო, მისი დაჭერა წარმოუდგენელია.

**კახაბერ ჩხეტიანი**, 21 წლის. შუახაზში ნებისმიერ პოზიციაზე თანაბარი სიძლიერით თამაშობს. ამჟამად საყრდენ ნახევარმცველად ამწესებენ. მეორე წრეში მართლაც ბრწყინვალედ გაისარჯა.

**კახა კვეტენაძე**, 28 წლის. „ტორპედოს“ გამთამაშებელი შარშან მშვენიერ ფორმაში იყო, წლეულს კი ბევრად მოუკლო. არადა, მის აქტიურ მოქმედებაზე ბევრი რამაა დამოკიდებული.

**გიორგი მაზანიშვილი**, 26 წლის. პირველი წრის მერე „სიონიდან“ მიიწვიეს. კარგად შეუძლია შეტევათა ორგანიზება და პასების განაწილება. თუმცა სისწრაფე აკლია. ამის მიზეზად კი ძველ გუნდში სრული დატვირთვით უვარჯიშებლობას მიიჩნევს.

**კახა ჯანაშია**, 25 წლის. ბურთს კარგად ფლობს, პასიც კარგი აქვს. „სამგურალიდან“ წამოსული ზედმეტ წონას უჩიოდა. ნელ-ნელა აღიდგინა ფორმა.

**ზაზა ვაჩიბერაძე**, 25 წლის. „ტორპედოს“ მარცხენა გარემარბია. შეცვლებზე უწევს თამაში, მაგრამ მოედანზე გასული საკმაო შედეგიანობით გამოირჩევა.

## თავდამსხმელები

**ზურაბ იონანიძე**, 27 წლის. ერთ-ერთი საუკეთესო სეზონი ჩაატარა. რომ არა მეორე წრეში მიღებული ტრავმა, დინამოელ აშვეთიას ბომბარდირობასაც შეეცილებოდა. აქვს გოლის ალღო, ზუსტი დარტყმა.

**გიორგი მეგრელაძე**, 20 წლის. მისთვისაც საუკეთესო სეზონი იყო. ჩინებულად თამაშობს თავით. ძლიერად ურტყამს. ისიც ტრავმებმა გააწვალეს თორემ...

**გიორგი იმედაძე**, 18 წლის. მეათე ეროვნულის აღმოჩენა. თუ ასე გააგრძელა, უთუოდ დიდ ფეხბურთს ითამაშებს.

**კონსტანტინე მეტრეველი**, 24 წლის. მონდომებულია. ცდილობს დაიმსახუროს, ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრდეს. „დინამოსთან“ თამაშით თუ ვიმსჯელებთ, ურიგო ფორმაში ნამდვილად არაა.

# პრეზიდენტსაც გაუხარდება

## ს. კ. სამგურალი

დაარსდა 1945 წელს

*პრეზიდენტი:* გრიგოლ ქათამაძე

*მწვრთნელი:* რევაზ ბურკაძე

*სტადიონი:* „26 მაისი" (ტევადობა 12 000)

*ჩემპიონატში საუკეთესო შედეგი* — IV ადგილი, 1993 წელს

ეროვნული ჩემპიონატის დაწყებამდე, 1990 წლამდე გამოდიოდა „შადრევანი 83"-ის სახელით

**1998-99 გზა ფინალამდე +5 =2 -1 14:3**

**მეთექვსმეტედფინალი:**

**სამგურალი 1:0 იბერია 2**
1:0 მ. ჯინჭარაძე

**იბერია 2 0:7 სამგურალი**
0:1, 0:2 ძაგნიძე, 0:3, 0:4 ფილიპაშვილი, 0:5 თევდორაძე, 0:6 ლონლაძე, 0:7 დარსაძე

**მერვედფინალი:**

**იბერია 1:1 სამგურალი**
0:1 თევდორაძე (62), 1:1 ვ. გიგიაძე (82)

**სამგურალი 2:1 იბერია**
1:0, 2:0 ფაიქიძე (26, 56), 2:1 ვ. გიგიაძე (833)

**მეოთხედფინალი:**

**ვიტ ჯორჯია 2:0 სამგურალი**
1:0 გიორგი ქორიძე (7), 2:0 ერაძე (79)

**სამგურალი 2:0 ვიტ ჯორჯია**
1:0 გიორგობიანი (32), 2:0 ძაგნიძე (33)
*პენალტებით 4:2 მოიგო „სამგურალმა"*

**ნახევარფინალი:**

**ლოკომოტივი 0:0 სამგურალი**

**სამგურალი 1:0 ლოკომოტივი**
1:0 აფციაური (67)

*ძაგნიძე — 3, ფილიპაშვილი — 2, თევდორაძე — 2, ფაიქიძე — 2*

— მართლაც რა მნიშვნელობა აქვს, ვინ მოიგებს. მაგალითად, ჯანაშიამ რომ გაიტანოს, მინდორზე ჩვენც გავსრიალდებითო — ცხადია, ხუმრობით ჩაუკერებია ერთ-ერთ სამგურალელს იმერულ ფინალზე საუბრისას.

ეს ხუმრობით, მაგრამ ბოროტი ენები სავსებით სერიოზულად ამტკიცებენ, „ტორპედოს" და „სამგურალს" ერთმანეთში ნაღდად იშვიათად უბრძოლიათ და, ალბათ, ახლაც არ შეაკლავენ თავსო.

ქართულ ფეხბურთში საეჭვოს რა გამოლევს, მაგრამ საუკუნის ამ ბოლო ფინალის უშელავათობაზე მსჯელობა, ვფიქრობ, ზედმეტია.

დღევანდელი ფინალისტები 26 მაისს პირველად თამაშობენ ეროვნულ სტადიონზე. აქამდე მათ ფინალში თამაში არ დაუმსახურებიათ. „ტორპედო" ორჯერ იყო მიზანთან ახლოს, მაგრამ ორჯერვე თასის მფლობელ „დინამოსთან" დამარცხდა ნახევარფინალში. „სამგურალი" კი, მეტოქის მსგავსად, ფინალში ხომ პირველადაა და ნახევარფინალიც მანამდე დაუგემოვნებელი, უცხო ხილი იყო მისთვის.

წყალტუბოელები სათასო ბადის იმ შტოს წარმოადგენენ, რომლის გამარჯვებული თასის ალებას სხვებზე მეტად იმსახურებდა. მთელ ზამთარს ასეთად ყველას „ლოკომოტივი" მიაჩნდა და, ცხადია, სამართლიანადაც.

რკინიგზელებმა ჯერ ჩვენი უცვლელი ჩემპიონი „დინამო" გამოთიშეს თასისთვის ბრძოლას და მერე თასის მფლობელ „ბათუმს" საკლუბო ისტორიაში ამ უმნიშვნელოვანესი ტროფეით ტკბობის დღეები დაუთვალეს.

დასავიწყარი არც ისაა, რომ „ლოკომოტივმა" ორი ეტაპის გავლა გოლგაუშვებლად და ამავე დროს გაუტანელად შეძლო. „დინამოცა" და „ბათუმიც" პენალტების სერიაში დაამარცხა.

პირველი ნახევარფინალური მატჩის, მეტიც, საპასუხოს პირველი ტაიმის შემდეგაც ასეთივე სიტუაცია იყო — 0:0 საერთო ანგარიში. „სამგურალისთვის" საუკეთესო ვარიანტად პენალტების სერია ჩანდა. მეტი თუ ვერაფერი, ამაზე უარს არც ამ საქმის კარგად მცოდნე „ლოკომოტივი" იტყოდა, მაგრამ...

მამუკა აფციაურის გოლმა ფინალში „სამგურალი" გაიყვანა. ეს ბევრისთვის ძნელი წარმოსადგენი იყო.

„ლოკომოტივთან" მოგების შემდეგ წყალტუბოელთა პრეზიდენტმა გრიგოლ ქათამაძემ დაუფარავად განაცხადა, არ ვაპირებდით თასისთვის ბრძოლას, მაგრამ პრესამ გვაიძულაო. ეს ვითომ ხუმრობით ნათქვამი სერიოზულობის ძალიან დიდ მარცვალს შეიცავდა.

შარშან ზაფხულში, სეზონის დასაწყისში, „სამგურალის" მთავარ მწვრთნელს მიზნად ჯგუფში ადგილის შენარჩუნება დაუსახეს. თასზე სერიოზული ლაპარაკი არც ყოფილა. როგორც ასეთ შემთხვევებში ხდება, რაც მეტი, უკეთესიო, ითქმებოდა, მაგრამ თასის ფინალზე ვინ ოცნებებდა.

მაშ, როგორ მოხდა, რომ „სამგურალმა" ის შეძლო, რაც, ფაქტობრივად, არავის სურდა? ამის პასუხი ძნელი სათქმელია, თუმც ცნობილია.

კარგად მოგეხსენებათ, რომ წყალტუბოელებს ამ სეზონში გაიოზ დარსაძე წვრთნიდათ. პირველ წრეში დიდი ვერაფერი, მაგრამ სამეორეწრეოდ დარსაძემ მშვენიერი გუნდი შეკრიბა. შეკრიბა, შეათამაშა და ჩამოაყალიბა. აგერ, ბატონო, „სამგურალმა" დასახული მიზანი აისრულა, პირველ ჯგუფში ადგილი შეინარჩუნა და მეტიც, ის, რაც არავის უთხოვია, მაგრამ ყველას კი გაუხარდა: „სამგურალმა" თასის ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა.

მაგრამ გაიოზ დარსაძე წყალტუბოელებს მხოლოდ მეოთხედფინალამდე წვრთნიდა. „ვიტ ჯორჯია" „სამგურალმა" დარსაძის თავკაცობით დაძლია — ჯერ 0:2 დამარცხდა, მერე 2:0 მოუგო და პენალტებით ნახევარფინალში გააღწია. ეს იყო და, წყალტუბოურ კლუბში უთანხმოებამ იჩინა თავი. მოზღვავებულმა, მათ შორის ფინანსურმა, პრობლემებმა დარსაძეს ჯანმრთელობა შეურყია და მან გუნდი დატოვა (პრეზიდენტის თქმით, მიატოვა), მაგრამ მთლად ასეც არ ყოფილა. „სამგურალი" „სალოკომოტივოდ" გაიოზ დარსაძის მითითებებით იწვრთნებოდა და ამ გუნდის დამარცხება რომ შეძლო, მისი დიდი დამსახურებაცაა.

დარსაძის კვალიფიკაციას ეჭვქვეშ არც გრიგოლ ქათამაძე აყენებს, მაგრამ ეს კი არაერთხელ უთქვამს, ჩვენ ვერ მოვრიგდებითო.

ერთი სიტყვით, „სამგურალს" ჩემპიონატი მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელმა, დავით გენძეხაძემ ჩაამთავრებინა, საფინალოდ კი აგერ, ახალმა მწვრთნელმა მოამზადა. დღეს და, ალბათ, მომავალ სეზონში წყალტუბოელებს რევაზ ბურკაძე უთავკაცებთ. ეს გადაწყვეტილება „სამგურალის" ხელმძღვანელობამ ამ ერთი კვირის წინ მიიღო.

დღევანდელ მატჩში გამარჯვება რევაზ ბურკაძის ბრწყინვალე შანსი იქნება, ქართულ ფეხბურთში რომ დაბრუნდეს. ის ხომ, აგერ უკვე სრული 4 წელია, არც ერთ ჩვენებურ კლუბში არ მუშაობს. თუმცა, ამან არ უნდა შეუშალოს ხელი ბურკაძის „ტორპედოს" თამაშის ამოცნობაში, რადგან ქუთაისელთა 18 ფეხბურთელიდან 10 სწორედ „ტორპედოში" ბურკაძის მწვრთნელობისასაა დაფრთიანებული. ბურკაძისთვის უცხო არც ჯემალ ხერხაძის საფეხბურთო მსოფლმხედველობაა — ხერხაძე თითქმის 6 წელიწადს ბურკაძის თანაშემწე იყო.

კიდევ ერთი სიახლე, რაც ასეთი მატჩების წინ ყოველთვის ვერ ამართლებს: „სამგურალს" სადღეისოდ ერთი გამოცდილი ფეხბურთელი დაემატა. თავდამსხმელი ივანე ჯულელი ბოლო ათი წლის განმავლობაში ათზე მეტ კლუბში (მათ შორის „ტორპედოშიც") გამოდიოდა და ყველგან საკმაო უხვგოლიანობით გამოირჩეოდა.

გუშინ „სამგურალმა" „მიხეილ მესხის" სტადიონზე ივარჯიშა. დიახ, სწორედ იმ „ლოკომოტივის" საშინაო სარბიელზე, რომელსაც ფინალში „სამგურალის" გამარჯვება უეფას თასის საგზურს ინტერტოტოსად უქცევს. რა არის ეს? ქართული სტუმარ-მასპინძლობის მორიგი უაზრო (რბილად რომ ვთქვათ) გამოვლენა, თუ სხვა რამ, ძნელი სათქმელია.

„სამგურალი" მეტოქეზე გამოცდილ ფინალისტად შეიძლება ჩაითვალოს. არა საშუალო ასაკის გამო, არამედ იმიტომ, რომ მის ორ ფეხბურთელს ბურნაძეს და გიორგი კილასონიას ტორპედოელებისგან განსხვავებით, ფინალში უკვე უთამაშიათ.

თუ „სამგურალმა" მოიგო, ეს, ალბათ, იმერული ფინალის საყურებლად მოსულ ედუარდ შევარდნაძესაც გაუხარდება. მართალია, პრეზიდენტისთვის ქვეყნის ყველა შვილი ერთნაირად საყვარელი უნდა იყოს, მაგრამ დასავიწყარი არც ისაა, რომ „სამგურალის" დიდი მოამაგე, წყალტუბოს მერი მირზა ქორქაშვილი ედუარდ შევარდნაძის ნათესავია. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მათ ისეთივე ნათესაობა აკავშირებთ, როგორიც რევაზ ძოძუაშვილს და ვლადიმერ გუცაევს — მათი მეუღლეები დეიდაშვილები, თავად კი, ასე ვთქვათ, ქვისლები არიან.

*სავარაუდო შემადგენლობა:* ბობოხიძე, ბურნაძე, მახვილაძე, ვოსკანოვი, გ. ჯანელიძე, აფციაური, სუხიაშვილი, ჯულელი, გ. კილასონია, პეტრიაშვილი, გ. შენგელია.

**ვახტანგ ბზიკაძე**



„ლოკომოტივის" სათასო სვლა მამუკა აფციაურის (ნახტომში) ერთადერთმა გოლმა შეაჩერა

მამუკა დარჩიას ფოტო

### მეკარე

ოთარ ბობოხიძე, 19 წლის. ასლანაძის ტრავმამ მეორე წრეში მისცა თამაშის შანსი. კარგი მონაცემები აქვს, მაგრამ ნაკლებად გამოცდილია.

დავით ასლანაძე, 22 წლის. ამ ტანმაღალი და ნიჭიერი მეკარის თამაშით „ტორპედო" უკმაყოფილო იყო და მეზობელ კლუბში გაანათხოვრა. თუ ათამაშეს იგი ეცდება ქუთაისელები საკუთარ სიძლიერეში დაარწმუნოს.

### მცველები

ალექსანდრე ბურნაძე, 25 წლის. საქართველოში მოთამაშე მცველთაგან ერთ-ერთი საუკეთესოა. ჭკვიანია და განსაკუთრებით ძლიერია საჰაერო ბრძოლებისას, ნაყოფიერად ერთვება შეტევებში.

მალხაზ ვოსკანოვი, 29 წლის. სწრაფი მცველია, მჭიდროდ მეურვეობს მეტოქეს და გასაქანს იოლად არ აძლევს. კარგად ერთვება ფლანგურ შეტევებში და მათ სახიფათო ჩაწოდებითაც აგვირგვინებს. შეუძლია დაცვის ცენტრში თამაშიც.

ლევან ქობულაძე, 26 წლის. არცთუ ურიგო მცველია. ცენტრში ან მარჯვენა ფლანგზე ათამაშებენ. მას შემდეგ, რაც დაოჯახდა, სათამაშო ფორმიდანაა ამოვარდნილი.

ლაშა ფრანგიშვილი, 23 წლის. ჭკვიანი ლიბეროა, მაგრამ ხშირად ზედმეტ ინიციატივას იჩენს. ბურთის ტარება იქ სჩვევია, სადაც მოშორება სჯობს.

ილია ჯავახაძე, 25 წლის. მარცხენა მცველია და თანაფლანგელ ვოსკანოვს ხშირად უცვლის ადგილს. დაცვა უკეთ ეხერხება. მისი პრობლემაა მოპოვებული ბურთის შენარჩუნება.

მიხეილ მახვილაძე, 20 წლის. ადრე საყრდენად მოთამაშე კაპიტანი, რაც დაცვის ცენტრში დახიეს, უფრო გაძლიერდა. თავით თუ ფეხით კარგად თამაში შეუძლია და ბურნაძესთან ერთად ყველაზე საიმედო მცველია.

გივი ჯანელიძე, 26 წლის. დასაშვებად ხისტად ეთამაშება თავდამსხმელს, პოზიციურად კარგად აზროვნებს. მეორე წრე ნახევრად ტრავმამ გააცდენინა.

შალვა ლონლაძე, 20 წლის. ტანმაღალი მცველია. მასზე დიდ იმედებს ამყარებენ, თუმცა ამ სეზონში თავის გამოჩენა ჯერჯერობით ვერ შეძლო.

### ნახევარმცველები

მამუკა აფციაური, 29 წლის. წლევანდელი სეზონი ამ უნიჭიერესი ფეხბურთელის მეორე სიცოცხლეა. საყრდენი ნახევარმცველი თანაბრად ძლიერია ბურთის ართმევაშიც და მის განაწილებაშიც.

გელა ძაგნიძე, 24 წლის. მარჯვენა ნახევარმცველი, საკმაოდ კარგია შეტევისას, მაგრამ სუსტია დაცვაში — იშვიათად იხევს უკან თანაფლანგელი მეტოქის გასანეიტრალებლად.

გიორგი სუხიაშვილი, 27 წლის. მარცხენა ნახევარმცველი ან თავდამსხმელია. ადრე მაღალი სისწრაფით, სახიფათო ჩაწოდებებით და მეგოლეობითაც გამოირჩეოდა. ბოლო წლებია, ძველებურად ძლიერი ველარაა.

გიორგი კილასონია, 30 წლის. ტექნიკური, გამჭრიახი გამთამაშებელია, თავდამსხმელთა მწვავე პასებით მომარაგებაც შეუძლია და კარში მოულოდნელი დარტყმაც. კარგად იყენებს სტანდარტულ მდგომარეობებს.

მალხაზ ჯინჭარაძე, 28 წლის. ტრადიციულად საყრდენია, მაგრამ „სამგურალი" ერთხანს თავდამსხმელადაც იყენებდა. გუნდში აფციაურის და შენგელიას გამოჩენით სათადარიგოებში გადაინაცვლა.

შოთა დარსაძე, 25 წლის. ეს ნახევარმცველი „სამგურალის" საუკეთესო სათადარიგოა. შეცვლაზე შესულს მოპოვებულის შენარჩუნება, გნებავთ თამაშში გარდატეხის შეტანა შეუძლია.

### თავდამსხმელები

გიორგი შენგელია, 20 წლის. გონიერი, გოლზე დაგეშილი თავდამსხმელია. ბევრს მოძრაობს და სახიფათო მომენტის შექმნა მარტოსაც შეუძლია, თუმცა საგოლე სიტუაციათა რეალიზაციის პროცენტი ჯერ მაინც დაბალი აქვს.

დავით პეტრიაშვილი, 20 წლის. ტექნიკური, ნიჭიერი თავდამსხმელია, ხშირად გამარჯვებული. რჩება 2-3 მცველთან ბრძოლისას. „სამგურალში" სულ ერთი თვის მისულია და თანაგუნდელებთან შეთამაშება აკლია.

ივანე ჯულელი, 32 წლის. უცხოეთიდან ახალი დაბრუნებულია. საქართველოში თამაშისას კი ბომბარდირული თვისებებით გამოირჩეოდა. თავით კარგად მოთამაშეს ჩვენს ჩემპიონატში 87 გოლი აქვს გატანილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი 30 ტური

# ვითა სიზმარი ღამისა...



გოდერძი კიკილაშვილის ფოტო

ზაველი ღალანიძის (ნახტომში) ორმა გოლმა „კოლხეთს" ევროთასზე გასვლის შანსი შეუნარჩუნა

ქართულ ფეხბურთს რომ უკუნი უდგას, ყველამ ვიცით. უკუნიცაა და უკუნიც, ჩვენს ფეხბურთში იმგვარი სიბნელეა, მსაჯი პირთან სასტვენს ვერ მიიტანს. სიბნელეს და ღამეს კი სიზმარი უყვარს. ისე, სიზმარსაც გააჩნია — „დინამო" რომ ოქროცვენაში მოჰყვა, „ტორპედოს" რომ სულ მოვერცხლილი ზმანებები აქვს, „გურიას" და „ოდიშს" სულ ჯოჯოები, ხვლიკები და თაგვები ესიზმრებათ მულტფილმ „სიზმარას" ხელმწიფესავით.

ნამეტნავად სასტიკი გამოდგა მეათე ეროვნულის ძილის მინისტრი — ამას სიკვდილი, იმას ჩამოხრჩობაო და „ამას"-ში და „იმას"-ში თუ ერთ დროს ქართული ფეხბურთის მშვენებებს — „ოდიშს" და „გურიას" გულისხმობდა, ვის ეგონა.

მაგრამ ძილის მინისტრს რას ერჩი, როცა „გურიასა" და „ოდიშის" მესვეურები ხელის ბანას მიეჩვივნენ და ეს საქმე სიზმარას სიმამრზე გაცილებით უკეთ გამოსდით. „ხელებიც დაგვიბანიაო" — ჩაითქვეს სეზონის დასაწყისში და აი, შედეგიც — „გურია" და „ოდიში" ლვინიასავით გადაიჩეხნენ.

მეათე ეროვნულის ოცდამეათე ტური ჩვეულად ჩოჩიალით ჩამთავრდა. გუნდებმა რიგზე გათვლა ისწავლეს, ლუწ-კენტობის სიბრძნეც გაითავისეს და ამიტომ იყო, ერთი-ორი მოულოდნელი შედეგი რომ დაფიქსირდა.

ამათგან უპირველესი „გორდა" — „გურიას" ფრეა. შანს და ხალისდაკარგული „გურიას" ძლევა, აბა, რა გმირობა იქნებოდა. რუსთაველებმა ესეც არ ქნეს და ფრე გაახერხებინეს სტუმრებს. მეასე საიუბილეო გოლს დავით მახარაძემ ასმეერთეც მიაყოლა და „გურიას" გედის სიმღერაც ეს იყო. რუსთავში მზე ჩადიოდა, გურულთა გულმოკლული გუნდის გურუ გულსუნდა დუნდუა კი წარსულს მისტიროდა.

ისევ წააგო „ოდიშმა". ცრემლი და ტირილი ოდიშარ გულშემატკივარს ეტყობოდა, თორემ „ოდიშის" მესვეურები არც არსებობენ და ამდენად, ვერც იტირებდნენ. სოლიდურმა და პატრონიანმა „ვიტ ჯორჯიამ" კი ეგრეც სოლიდურად ჩაამთავრა მეათე ეროვნული.

ბოსკამპის ხელდასმული „დინამო" ქვას ქვაზე აღარ ტოვებს. ახლაც „სამგურალს" ადინეს ბღლვირი აქამდეც და ახლაც ჩემპიონებმა. მიხეილ აშვეთიამ 24-ს ორიც მიამატა და 26 გატანილი გოლით წლევანდელი სეზონის უპირველესი მეგოლე გახდა.

პროფესიონალიზმზე ვწუწუნებთ და პროფესიონალურად „მერანი" ირჯება. ტრანსპორტელებს „დილასთან" მატჩი განსაკუთრებულს არაფერს აძლევდათ, მაგრამ ჩვეულად გაჭენდნენ და „სინათლეზე" მორიგი შეხვედრა მოიგეს. „დილას" კი რა ენაღვლება, თავის საქმეს პირველივე წრეში მიხედა და ზუსტად ისე მოუვიდა — ადრე ამდგარსა კურდღელსა ვერ დაეწევა მწევარიო...

ქუთაისელმა დუბლიორებმა შანსი არ გაუშვეს და ბოლნისში „სიონს" სამი ქულა აართვეს. ისევ გაიბრწყინა ტორპედოელმა იმედაძემ, აქამდე საჯარიმოს მისადგომებიდან გაჰქონდა, ახლა შორიდანაც დაუწუილა და „ცხრიანშიც" შეაგდო. ერთია, შეუთამაშებლობა ეტყობოდათ იმერლებს, თორემ ცვლა მოდის ღირსეული.

„სიონს" კი ისღა დარჩა, თსუ-სთან ომისთვის ემზადოს. გადათამაშება სულ მალე იქნება და ვნახოთ, რას იზამს ქვემოქართლელთა გულის მურაზი.

თსუ კვლავ გაფიცულია. ან ფული, ან არ ვითამაშებთო — განაცხადეს სტუდენტმა ფეხბურთელებმა და მორიგ თამაშზე თქვეს უარი. ამით კინკილა გოლებით გამარჯვების მოყვარულმა „ლოკომოტივმა" ისარგებლა და მეორე ტაიმის ბოლო ოც წუთში ოთხი ბურთის გატანა მოახერხა. თავისი „ლოკომოტივური ვოიაჟი" მაღალ ნოტაზე დაასრულა დავით მუჯირმა, ლამის მთელი თსუ მოატყუა და მეოთხე ბურთი ისე გაატანინა წივწივაძეს.

ფოთის „კოლხეთმა" „იბერიას" მოუგო. ამით მეოთხე ადგილი და ინტერტოტოს შესაძლო საგზური დაიბევა. ვამბობთ, შესაძლოო, იმიტომ, რომ თასის ფინალში „სამგურალის" გამარჯვებამ შეიძლება „კოლხეთი" უევროსარბიელოდ დატოვოს. ახლა ფოთელებს ისღა დარჩენიათ, გულმოდგინედ უქომაგონ ქუთაისელებს წყალტუბოელებთან თასის ფინალში.

„ბათუმმა" კი მოიგო, მაგრამ რად გინდა — ასეთ წაგებასა და მოგებას ერთი ფასი აქვს. მეხუთენი არიან და მეხუთენი.

ესეც ასე და სხვა არაფერი. წინ გადათამაშებები და თასის ფინალიღაა. მერე ევროთასები, მერე ნაკრების მატჩები და მალე ახალი სეზონიც მოვა.

მოვა, თორემ... არ მოიტანოს შემწვარ-მოხრაკული. რა თქმა უნდა, თუ ასე გაგრძელდა. და თუ ყველაფერი სხვანაირად მოხდება...

ამას რა სჯობს, მაგრამ ასე სწრაფად ყველაფერი მარტო სიზმარში იცვლება.

ერთიც არ უნდა დავივიწყოთ — ჟურნალისტების ფასი ნეტავ ყველამ ისე იცოდეს, როგორც „გორდა" — „გურიას" შეხვედრის მთავარმა არბიტრმა ლევან მიქელაძემ — იმსაჯა ამ კაცმა, პატიოსნად შეავსო შეხვედრის ოქმი და „სარბიელის" ჟურნალისტს თავისი კალამი უსახსოვრა — დებიუტი მაქვს და გადაწყვეტილი მქონდა პირველი ოქმის „შემვსები" კალამი ჟურნალისტისთვის მესახსოვრაო.

ასეთი რამეც სიზმარში თუ მოხდება.

**კონსტანტინე გოგიშვილი**

---

ბოლნისი
23 მაისი
18 საათი
თემურ სტეფანია
700 (ტევადობა 3 000)

## სიონი 1:2 ტორპედო

1:0 ტყავაძე (14), 1:1 იმედაძე (37), 1:2 მეტრეველი (80)
სიონი: გუგუნავა, ხიდაშელი (ასათიანი 63), დ. სვანიძე, ჩალაძე, მ. სამხარაძე, ე. ჯაფარიძე, ტყავაძე (დ. ჯაფარიძე 46), თ. სამხარაძე, ისიანი, მოსეშვილი (ფ. არჩვაძე 54), მ. გოგოლაძე
*სათადარიგო:* დალაქიშვილი
ტორპედო: სტურუა, თურმანიძე, მალლაკელიძე, გ. გოგოლაძე, მუშკუდიანი, ვადაჭკორია, კ. ჯანაშია, გენებაშვილი, კვერნაძე, კ. მეტრეველი, იმედაძე
გაფრთხილება: ხიდაშელი (23), იმედაძე (79)
მსაჯები: ა. შილაკაძე; ზ. დოლიძე, ა.ქარქაშაძე; მ. ურუშაძე (ყველა თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: გ. ძამუკაშვილი

თბილისი
23 მაისი
18 საათი
ეროვნული
300 (ტევადობა 75 000)

## დინამო 6:0 სამგურალი

1:0 კიკნაძე (6), 2:0 აშვეთია (21), 3:0 მუჯირი (45), 4:0 აშვეთია (50), 5:0 ალექსიძე (64), 6:0 ხიზანიშვილი (85)
დინამო: გვარამაძე, ხიზანიშვილი (პ. ჯინჭარაძე 54), მ. მაჭავარიანი, ხიზანიშვილი, გუჩუა (ვაშაკიძე 46), დიდავა, ა. სახვაძე, კიკნაძე (გოგიჩაიშვილი 61), ა.მუჯირი, ალექსიძე, აშვეთია
*სათადარიგო:* ბათიაშვილი
სამგურალი: ასლანაძე, ლონლაძე, ფრანგიშვილი, ლ. ქობულაძე, (შვანგირაძე 46), ჯავახაძე, აფციაური (გაბელაია 46), ნაკანი, დარსაძე, მ. ჯინჭარაძე (ნებიერიძე 46), ზ. ქუთათელაძე, გლუნჩაძე
*სათადარიგო:* ბობოხიძე
მსაჯები: ა. მეშკოვი; ს. კახიანი, ლ. სილაგავა; ო. მოლოდინაშვილი (ყველა თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: შ. ხინჩაგაშვილი

თბილისი
23 მაისი
18 საათი
იყანე
300 (ტევადობა 3 000)

## არსენალი 0:1 ბათუმი

0:1 ყულეჯიშვილი (17)
არსენალი: ჩლაიძე, ცოტაძე (ყუფარაძე 46), ჩიქოვანი, გველესიანი, ყოლბაია, მ. მაისურაძე, ვ. გაგუა, ხოსროშვილი, ამირიძე, კაკაშვილი, ტარიელაშვილი
*სათადარიგონი:* კუპატაძე; გ. სულაძე, თვალაბეიშვილი, არქანია, კოხრეიძე
ბათუმი: ტოგონიძე, პაპიძე, გუჯაბიძე, სიჭინავა, მჟავანაძე, გადელია, ქუტიძე, რომანაძე (ვერემჩუკი 84), ყულეჯიშვილი, აფხაზავა, ხომერიკი (კანტიძე 90)
*სათადარიგო:* მალაყმაძე
გაფრთხილება: ყოლბაია (23), რომანაძე (79)
მსაჯები: ლ. ფანიაშვილი (თბილისი); ა. შალამბერიძე, კ. გაბრიაძე (ორივე ქუთაისი); ა. ნონიკაშვილი (თბილისი)
სფფ-ს ინსპექტორი: ი. მჭედლიშვილი

ხობი
23 მაისი
18 საათი
კოლხეთი
100 (ტევადობა 15 000)

## ოდიში 1:3 ვიტ ჯორჯია

0:1 ბოკერია (7), 0:2 ხაბულიანი (56), 0:3 ბოკერია (60), 1:3 გოგოხია (61)
ოდიში: გოგია, ჭეჟია, შონია, აკობია, თოდუა, შელია, ცაცუა, კუტალია, იოსავა, გოგოხია, მებონია
ვიტ ჯორჯია: მამარდაშვილი, ქემოკლიძე, ვ. მაისურაძე, ბარქაია, კ. ალადაშვილი, ზ. გვაზავა, ლ. ნოზაძე, დ. დოლიძე (ი. კაპანაძე 56), მაზიაშვილი (ჯ. მუჯირი 77), გიორგი ქორიძე (ხაბულიანი 46), ა. ბოკერია
*სათადარიგონი:* ჭურაძე; ერაძე
გაფრთხილება: აკობია (86)
მსაჯები: თ. ლაცაბიძე (სურამი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), ნ. რუსიშვილი (ქუთაისი); კ. თბილელი (თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია

რუსთავი
23 მაისი
18 საათი
ფოლადი
700 (ტევადობა 10 700)

## გორდა 2:2 გურია

1:0 ინასარიძე (10), 2:0 ალადაშვილი (38), 2:1 დ. მახარაძე (42), 2:2 სვანიძე (81)
გორდა: ბედიაშვილი, კედელაშვილი, ბექაური (რ. მახარაძე 75), სიდამონიძე, ჩიგოშვილი, ინასარიძე (მ. სახვაძე 77), მ. მელაძე, ზირაქაძე, კიტეიშვილი, პატარიძე (ზ. ლაბაძე 64), ლ. ალადაშვილი
*სათადარიგონი:* ოქროპირიძე; ტარტარაშვილი, მჭედლიძე, დ. მენთეშაშვილი
გურია: გოგუა, თ. ჩხაიძე, კ. სვანიძე, მაჩიტიძე, ფირცხალაიშვილი, გულორდავა, შავშიშვილი, დ. მახარაძე, ლ. ჩხაიძე, ენუქიძე, ჭიაბრიშვილი
*სათადარიგონი:* ნიკურაძე; ბერძენიშვილი, შ. მახარაძე, ზ. კვეკვესკირი, ძოძუაშვილი
გაფრთხილება: ალადაშვილი (61), ჭიაბრიშვილი (66), ბექაური (68), ენუქიძე (81)
მსაჯები: ლ. მიქელაძე (სამტრედია); მ. მალაღურაძე, მ. ელიკაშვილი; ო. ხეცაძე (ყველა თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

ფოთი
23 მაისი
18 საათი
ფაზისი
500 (ტევადობა 6 500)

## კოლხეთი 3:1 იბერია

1:0 ღალანიძე (13), 2:0 ტრაპაიძე (14), 2:1 ვ. გიგიაძე (40), 3:1 ღალანიძე (57)
კოლხეთი: მ. გვასალია, გოროზია, ანჯაფარიძე, გ. გიორგაძე, შალამბერიძე, ღალანიძე, ჩადუნელი, ტრაპაიძე, კალანდაძე, შავგულიძე, მ. ქობულაძე (ამაშუკელი 73)
*სათადარიგონი:* ჩემია; პაპავა, ჩალიგავა, ტორჩინავა, ბურკვაძე
იბერია: ვარდანიძე, მიქელთაძე, ნიკოლეიშვილი, გეგეშიძე, მუმლაძე (ვარდიაშვილი 46), ს. თოდუა, ს. გიგიაძე, ხუჭუა, გ. ლურსმანაშვილი, ივეჩიანი, ვ. გიგიაძე
*სათადარიგონი:* ა. ჩომახიძე; მესიაჩენკო, ფილიპაშვილი, ნ. გიორგაძე, ფხაკაძე
გაფრთხილება: ვ. გიგიაძე (34), ივეჩიანი (35)
მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); დ. სანაია (სოხუმი), კ. მესხი (ზუგდიდი); ა. გუნთაძე (ლანჩხუთი)
სფფ-ის ინსპექტორი: გ. ფირცხალავა

თბილისი
23 მაისი
18 საათი
მიხეილ მესხი
1 000 (ტევადობა 16 000)

## თსუ 1:4 ლოკომოტივი

1:0 გოგოლაძე (23), 1:1 გოგობერიშვილი (703), 1:2 წივწივაძე (76), 1:3 ქოიავა (82), 1:4 წივწივაძე (86)
თსუ: მერლანი, ქანთარია, სვანაძე, ინწკირველი, გვალია, ბუკია, ნინუა, ადამია (პერტენავა 73), გონჩაროვი, დეკანოსიძე (სულავა 64), დ. გოგოლაძე (ჭელიძე 80)
*სათადარიგონი:* ბალიანი; კვახაძე, ემრაშვილი, ცინცაძე
ლოკომოტივი: დოლაბერიძე, ბ. ბაქრაძე (გილაური 86), ჩიხრაძე, ბარნოვი, დ. მუჯირი, გოგობერიშვილი, კაციაშვილი, კოტორაშვილი (წივწივაძე 46), კ. მელქაძე, დ. გოდერძიშვილი, გ. ლუდუშაური (ქოიავა 78)
სათადარიგონი: ჯანელიძე; ნ. მინდიაშვილი, ბალაშვილი, ნ. მელაძე
გაფრთხილება: გოგოლაძე (70), ბუკია (75)
გაძევება: გვალია (55), ბარნოვი (55)
მსაჯები: ა. კრიჭაშვილი (თბილისი); ა. ორდენიძე (ონი), ზ. მენთეშაშვილი; დ. ხარიტონაშვილი (ორივე თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ა. დურსუნიში

თბილისი
23 მაისი
18 საათი
სინათლე
1 000 (ტევადობა 2 000)

## მერანი 4:0 დილა

1:0 დავითაშვილი (39), 2:0 ამბიძე (65), 3:0 ხუციშვილი (68), 4:0 დევიძე (71)
მერანი: ლომაია, ე. ალადაშვილი (ბერაია 46), ასპინძელაშვილი, ბაჯელიძე, კარიაული (დევიძე 68), გელა ქორიძე, ჯიშკარიანი, თოლორდავა (ჭინჭარაული 46), ბ. ამბიძე, ხუციშვილი, დავითაშვილი
*სათადარიგონი:* კოროშინაძე; ცქიფურიშვილი, ხარებავა, მელიქია
დილა: სოლოლაშვილი, ფეზუაშვილი, აკოფიანი, ლომიძე, ლ. გოჩაშვილი, არუთინიანი (საყვარელიძე 68), მარეხაშვილი (ხიხალაშვილი 68), სულთანიშვილი, კარელიძე, რ. ახალკაცი, შატაკიშვილი
*სათადარიგონი:* თ. ილურიძე; გაგნიძე
გაფრთხილება: ფეზუაშვილი (17)
მსაჯები: გ. ასკაროღლი (ქარელი); ვ. ელოევი (ცხინვალი), ზ. ჯვარიძე (თბილისი); ნ. ბაირამოვი (კასპი)
სფფ-ის ინსპექტორი: ნ. ამირეჯიბი

## ბომბარდირები

26 - აშვეთია *დინამო*
21 - დ. მახარაძე *გურია*
18 - ხომერიკი *ბათუმი*
16 - იონანიძე *ტორპედო*
15 - წივწივაძე *ლოკომოტივი*
14 - მეგრელაძე *ტორპედო*
დ. ჯანაშია *ტორპედო*
13 - ალექსიძე *დინამო*
ე. გვასალია *კოლხეთი*

## სიმბოლური ნაკრები

გიორგი იმედაძე *ტორპედო*
მიხეილ აშვეთია *დინამო*
ვალერი გენებაშვილი *ტორპედო*
რატი ალექსიძე *დინამო*
დავით მუჯირი *ლოკომოტივი*
ვასილ გიგიაძე *იბერია*
ზურაბ ხიზანიშვილი *დინამო*
ლევან ბაჯელიძე *მერანი*
ვასილ მაისურაძე *ვიტ ჯორჯია*
ვალტერ გუჩუა *დინამო*
მამუკა გვასალია *კოლხეთი*
*გუნდი:* ბათუმი
მწვრთნელი: იოჰან ბოსკამპი *დინამო*

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | # | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 დინამო (1) | 1 | 30 | 24 | 5 | 1 | 81:17 | +74 | 77 | 15 | 13 | 2 | 0 | 61:10 | +51 | 41 | 15 | 11 | 3 | 1 | 30:7 | +23 | 36 |
| 2 ტორპედო (4) | 2 | 30 | 21 | 4 | 5 | 73:27 | +46 | 67 | 15 | 12 | 2 | 1 | 41:9 | +32 | 38 | 15 | 9 | 2 | 4 | 32:18 | +14 | 29 |
| 3 ლოკომოტივი (6) | 3 | 30 | 18 | 10 | 2 | 43:14 | +29 | 64 | 15 | 10 | 5 | 0 | 21:4 | +17 | 35 | 15 | 8 | 5 | 2 | 22:10 | +12 | 29 |
| 4 კოლხეთი (3) | 4 | 30 | 15 | 7 | 8 | 57:36 | +21 | 52 | 15 | 11 | 1 | 3 | 38:13 | +25 | 34 | 15 | 4 | 6 | 5 | 19:23 | -4 | 18 |
| 5 ბათუმი (2) | 5 | 30 | 13 | 11 | 6 | 49:22 | +27 | 50 | 15 | 9 | 5 | 1 | 38:9 | +29 | 32 | 15 | 4 | 6 | 5 | 11:13 | -2 | 18 |
| 6 მერანი (7) | 6 | 30 | 12 | 9 | 9 | 37:29 | +8 | 45 | 15 | 7 | 5 | 3 | 15:7 | +8 | 26 | 15 | 5 | 4 | 6 | 22:22 | 0 | 19 |
| 7 ვიტ ჯორჯია (10) | 7 | 30 | 14 | 5 | 11 | 42:29 | +13 | 44 | 15 | 7 | 3 | 5 | 19:11 | +8 | 24 | 15 | 7 | 2 | 6 | 23:18 | +5 | 23 |
| 8 იბერია (დ) | 8 | 30 | 11 | 5 | 14 | 45:48 | -3 | 38 | 15 | 6 | 4 | 5 | 25:17 | +8 | 22 | 15 | 5 | 1 | 9 | 20:31 | -11 | 16 |
| 9 არსენალი (დ) | 9 | 30 | 9 | 11 | 10 | 34:44 | -10 | 38 | 15 | 4 | 7 | 4 | 18:21 | -3 | 19 | 15 | 5 | 4 | 6 | 16:23 | -7 | 19 |
| 10 დილა (9) | 10 | 30 | 10 | 5 | 15 | 37:54 | -17 | 35 | 15 | 7 | 2 | 6 | 24:19 | +5 | 23 | 15 | 3 | 3 | 9 | 13:35 | -22 | 12 |
| 11 სამგურალი (12) | 11 | 30 | 10 | 3 | 17 | 32:57 | -25 | 33 | 15 | 6 | 1 | 8 | 17:20 | -3 | 19 | 15 | 4 | 2 | 9 | 15:37 | -22 | 14 |
| 12 გორდა (11) | 12 | 30 | 7 | 11 | 12 | 28:46 | -18 | 32 | 15 | 5 | 6 | 4 | 19:21 | -2 | 21 | 15 | 2 | 5 | 8 | 9:25 | -16 | 11 |
| 13 სიონი (13) | 13 | 30 | 7 | 7 | 16 | 27:52 | -25 | 28 | 15 | 5 | 6 | 4 | 17:16 | +1 | 21 | 15 | 2 | 1 | 12 | 10:36 | -26 | 7 |
| 14 თსუ (8) | 14 | 30 | 6 | 9 | 15 | 28:46 | -18 | 27 | 15 | 4 | 3 | 8 | 19:27 | -8 | 15 | 15 | 2 | 6 | 7 | 9:19 | -10 | 12 |
| 15 ოდიში (5) | 15 | 30 | 6 | 2 | 22 | 21:70 | -49 | 20 | 15 | 4 | 1 | 10 | 14:28 | -14 | 13 | 15 | 2 | 1 | 12 | 7:42 | -35 | 7 |
| 16 გურია (14) | 16 | 30 | 3 | 4 | 23 | 34:87 | -53 | 13 | 15 | 3 | 1 | 11 | 21:40 | -19 | 10 | 15 | 0 | 3 | 12 | 13:48 | -35 | 3 |

(?) - ადგილი წინა ჩემპიონატში. # - ადგილი წინა ტურში. ! - ვიტ ჯორჯიას დაკლებული აქვს 3 ქულა

# ინგლისური მიმოქცევა

**სეზონის** დასრულებასთან ერთად ინგლისში საფეხბურთო მიმოქცევა დაიწყო. ზოგი თავის კლუბს ტოვებს და ახალს ეძებს, ზოგი ხელშეკრულებას აგრძელებს, ზოგს თავად კლუბის ხელმძღვანელობა ეუბნება უარს დარჩენაზე.

მაგალითად, პრემიერლიგიდან გავარდნილი ინგლისის ოთხი წლის წინანდელი ჩემპიონის, „ბლექბერნ როვერსის“ დატოვება მის ორ ლიდერს — თავდამსხმელ კრის სატონს და მეკარე ტიმ ფლაუერსს გადაუწყვეტიათ. სატონს, რომელიც შარშან პრემიერლიგის საუკეთესო მეგოლე გახდა ოუენთან და დაბლინთან ერთად (18-18 გოლი), ლონდონის ორი კლუბი, „არსენალი“, და „ტოტენჰემი“, აგრეთვე ბირმინგემის „ასტონ ვილა“ და „მიდლსბრო“ ეპატიჟებიან. კონტრაქტის თანახმად, მისმა მსურველებმა ამ ეტაპზე სულ ცოტა 10 მილიონი გირვანქა უნდა გადაიხადონ. „ბლექბერნის“ მეკარის, ფლაუერსის საწყისი ფასი შედარებით მოკრძალებული — 2 მილიონი გირვანქა გახლავთ.

— ფეხბურთელთა თხოვნით გამართულ შეხვედრაზე ამ ორმა მოთამაშემ კლუბის დატოვების სურვილი გამოთქვა. დასანანია, ასეთი მაღალი დონის ფეხბურთელები რომ მიდიან, მაგრამ ვერაფერს გავაწყობთ, მათ ხელშეკრულება აძლევს ამის უფლებას. ერთადერთი, რაც დაგვრჩენია, შემოთავაზებული წინადადებებიდან ყველაზე სარფიანის ამორჩევაა — ამბობს „როვერსის“ აღმასრულებელი შეფი ჯონ უილიამსი.

„არსენალის“ სამიზნედ სატონი მას შემდეგ იქცა, რაც დაიწყო საუბრები ახალგაზრდა ფრანგი ვარსკვლავის, ნიკოლა ანელკას ლონდონური კლუბიდან წასვლის შესახებ. „ტოტენჰემი“ ლიგის თასის მოპოვების შემდეგ უეფას თასზე გავიდა და იქ აპირებს ღირსეულად გამოსვლას. შესაძლოა სატონი კიდევ ერთ დედაქალაქურ გუნდ „ჩელსიში“ მოხვდეს, ვინაიდან „არისტოკრატებს“ გამუდმებით აწუხებთ მაღალი კლასის ფორვარდის პრობლემა. „ასტონ ვილას“ მწვრთნელ ჯონ გრეგორის თურმე უზნეობით განთქმული სტენ კოლიმორის აღარ ეიმედება, ხოლო „მიდლსბროს“ თავკაც ბრაიან რობსონს და პრეზიდენტ სტივ გიბსონს გაისად პრემიერლიგის ლიდერთა შორის მოხვედრა დაუგეგმავთ.

„მიდლსბროშივე“ კიდევ ერთი სიახლეა მოსალოდნელი — რივერსაიდელებს შეიძლება ბრაზილიელი ნახევარმცველი ემერსონი დაუბრუნდეს. მის სანაცვლოდ ინგლისური მხარე ესპანურ „ტენერიფეს“ 3 მილიონ გირვანქას სთავაზობს. ბრაიან რობსონის თქმით, მას 27 წლის სამხრეთამერიკელის „მიდლსბროში“ ხილვის დიდი სურვილი აქვს, თანაც ემერსონის ამპლუაში მოთამაშე 36 წლის ენდი თაუნსენდი ძველებურად აშკარად ვეღარ თამაშობს.

ახლა ლონდონურ კლუბებზეც ვთქვათ. ინგლისური ფეხბურთის ერთ-ერთი იმედი, „ვესტ ჰემ იუნაიტედის“ ყმაწვილი მცველი რიო ფერდინანდი მადრიდის „რეალში“ აღარ მიდის. ცოტა ხნის წინ ჟურნალისტებმა იგი სწორედ ესპანურ გრანდში „გაუშვეს“ 12 მილიონ გირვანქად, თუმცა...

— ჩვენ მადრიდელებთან კონტაქტი არ გვქონია. ფერდინანდზე მოარული ხმები სრული მონაჭორია, რადგან იგი არც 12 და არც 120 მილიონად არ იყიდება. შარშან ჩვენს თამაშებზე მაყურებელთა რიცხვმა იმატა, რიო ქომაგთა კერპად იქცა და ახლა მისი გაშვება სულელურ აზრად მიმაჩნია — თქვა „ვესტ ჰემის“ თავმჯდომარე ტერი ბრაუნმა და დაამატა, მალე შესაძლოა ფერდინანდთან გაფორმებული შვიდწლიანი კონტრაქტი კიდევ გავაგრძელოთო.



კრის სატონი (№9) ყოველთვის სახიფათოა და ეს ინგლისში ყველამ იცის

ინგლისის ვიცე-ჩემპიონი „არსენალი“ კი იაპონელი გამთამაშებლის, „პერუჯაში“ მოთამაშე აზიის საუკეთესო ფეხბურთელის, ჰიდეტოში ნაკატას გადაბირებას ლამობს. ამ საქმეში „მეთოფეებს“ საკმაოდ სერიოზული კონკურენტები „მანჩესტერ იუნაიტედი“ და მადრიდის „ატლეტიკო“ ჰყავთ. ლონდონელთა ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ ივნისში საბოლოოდ გაარკვევს ურთიერთობას უნიჭიერეს ნახევარმცველთან და „პერუჯას“ 7 მილიონი გირვანქით „მოთაფლავს“.



მეტიუ ჰარდინგი

სხვა გუნდებში ასეთი სიახლეებია: „ლიდს იუნაიტედმა“ თავისი ახალგაზრდა წევრების შენარჩუნებას მიჰყო ხელი. გუშინ ამ კლუბთან ახალი, ოთხწლიანი ხელშეკრულებები გააფორმეს მარცხენა მცველმა, ირლანდიელმა იან ჰარტმა და 19 წლის მეკარე პოლ რობინსონმა. მაისის ბოლომდე გაირკვევა, დარჩებიან თუ არა „ლიდსში“ სხვა ყმაწვილი მოთამაშეები — ჯონათან ვუდგეიტი, ალან სმიტი, ჰარი კიუელი (მას ტურინის „იუვენტუსი“ ეპატიჟება) და სტეფან მაკფეილი.

თითქმის გადაწყვეტილია კოლუმბიის ეროვნული გუნდის მეკარის, ფარიდ მონდრაგონის „ასტონ ვილაში“ გადასვლა. საქმე ისაა, რომ ბირმინგემელთა ძირითად გოლკიპერს, ავსტრალიელ მარკ ბოსნიჩს მალე კონტრაქტი უმთავრდება და კარიერის სხვაგან გაგრძელებას აპირებს, ხოლო მის შემცვლელ მაიკლ ოუქსს „მანჩესტერ იუნაიტედმა“ დაადგა თვალი და, ალბათ, ისიც არ იტყვის უარს პეტერ შმაიხელის ადგილის დაკავებაზე. მონდრაგონში, რომელიც ამჟამად „სარაგოსაში“ გამოდის და რომელსაც ამას წინათ „ლივერპული“ ეკურკურებოდა, „ვილას“ უფროსობა 2 მილიონ გირვანქას იხდის.

ცვლილებებია ინგლისური კლუბების სათავეშიც. „მანჩესტერ იუნაიტედის“ ყოფილი მცველი სტივ ბრიუსი, რომელმაც ამას წინათ დატოვა „შეფილდ იუნაიტედის“ მენეჯერის თანამდებობა, თანახმაა, პირველდივიზიონური „ჰადერსფილდ თაუნის“ თავკაცად დაინიშნოს და კლუბთან სამწლიანი ხელშეკრულება გააფორმა. 38 წლის ბრიუსი პიტერ ჯეკსონს შეცვლის, რომელიც მას შემდეგ მოხსნეს, რაც „ჰადერსფილდი“ მე-10 ადგილზე გავიდა.

საინტერესო ამბავი მოხდა ლონდონის „ჩელსის“ კენწეროში. კლუბის ყოფილი დირექტორის, მეტიუ ჰარდინგის ქვრივი რუთ ჰარდინგი, რომელიც ცხონებული მეუღლის საქმიანობას აგრძელებდა, „ჩელსის“ თავმჯდომარის, კენ ბეიტსის თქმით, გათავისუფლებულია დაკავებული პოსტიდან.

— ეს გადაწყვეტილება ჩემთვის მოულოდნელი და ძალიან საწყენი იყო. მე და მთელი ჩემი ოჯახი „ჩელსის“ დიდი ქომაგები ვართ და მის მოსაძლიერებლად არაფერს დავიშურებთ. გუშინ მისტერ ბეიტსს წერილი მივწერე შეხვედრის თხოვნით, იმედია, უარს არ მეტყვის. ამავდროულად მინდა, დიდი მადლობა ვუთხრა ყველას, ვინც ჩემი კლუბში მოღვაწეობისას და ახლაც გვერდში მედგნენ — „ჩელსის“ ფეხბურთელებს, ფანებს, დირექტორატის წევრებს. მადლობა სხვა პრემიერლიგური კლუბების წარმომადგენლებს არნახული სითბოსთვის — ვერ მოთოკა ემოციები ქალბატონმა ჰარდინგმა.

მეტიუ ჰარდინგი „ჩელსის“ ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე პატივცემული პიროვნება გახლდათ. რამდენიმე წლის წინ მან კლუბის განვითარებისთვის მთელი 27 მილიონი გირვანქა გაიღო და ის, რომ დღეს ლონდონელები ინგლისის საუკეთესო გუნდებს შორის მოიხსენიებიან, სწორედ ამ კაცის უდიდესი დამსახურებაა. იგი 1996 წლის 22 ოქტომბერს ვერტმფრენით ავარიაში მოჰყვა და პილოტსა და სამ მგზავრთან ერთად დაიღუპა.

**დავით ქოქზირიძე**



რიო ფერდინანდი (მარცხნივ) ბევრს ქვეყნის საუკეთესო მცველად მიაჩნია



**დანიის** ჩემპიონატის 30-ე ტურის ექვსი შეხვედრა ორშაბათს შედგა. თამაშები ასე დასრულდა: AB — ერფოლგე 2:1, ბრონდბიუ — სილკებორგი 3:0, ვეილე — კოპენჰაგენი 1:0, B93 — ლუნგბიუ 1:3, ფრემადი — ორჰუსი 2:1, ვიბორგი — ოლბორგი 0:0. ჩემპიონატს 60 ქულით ლიდერობს „ოლბორგი“. 58 ქულა დააგროვა მეორე ადგილზე მყოფმა „ბრონდბიუმ“, ხოლო მასზე ხუთი ქულით ნაკლები აქვს და მესამეზეა კოპენჰაგენის AB.

**შვედეთის ჩემპიონატის მეშვიდე ტურის მატჩები, კვირას და ორშაბათს რომ გაიმართა, შემდეგნაირად დასრულდა: დურგარდენი — კალმარი 0:3, ჰელსინგბორგი — ერებრუ 2:1, ტრელებორგი — მალმიო 3:1, გიოტებორგი — ჰამარბიუ 2:2, ელფსბორგი — ჰალმშტადი 1:4, აიკ — ორგრიტე 1:1, ფროლუნდა — ნორჩეპინგი 1:1. ჩემპიონატს ორი ლიდერი ჰყავს: „ორგრიტეს“ და „კალმარს“ 15-15 ქულა აქვთ, თუმცა ეს უკანასკნელი ბურთების უარესი სხვაობის გამო მეორეზეა. 14 ქულა აქვს მესამე ადგილზე მყოფ „ტრელებორგს“.**

**ბულგარეთის** ჩემპიონატის 29-ე ტურის მატჩები შაბათს ჩატარდა. შედეგები ასეთია: ლოკომოტივი (სოფია) — დობრუჯა 5:2, მეტალურგი — ლევსკი (სოფია) 0:3, ცსკა — ლიტექსი 2:3, პირინი — ლოკომოტივი (პლოვდივი) 6:1, ლევსკი (კისტენდილი) — სეპტემვრი 4:1, შუმენი — სლავია 2:1, ბოტევი — სპარტაკი 3:2, ნეფტოხიმიკი — მინიორი 2:1. ტურის ცენტრალურ შეხვედრად ცსკა — ლიტექსი მიიჩნეოდა. დღეს ეს გუნდები ბულგარეთის თასის გათამაშების ფინალში ხვდებიან ერთმანეთს. რაც შეეხება ჩემპიონატს, მას „ლიტექსი“ 73 ქულით ლიდერობს. მეორეზეა 71 ქულით სოფიის „ლევსკი“, ხოლო მესამე კისტენდილის „ლევსკია“ — 54 ქულით. 54 ქულა აქვს სოფიის „ლოკომოტივსაც“, მაგრამ ბურთების უარესი სხვაობის გამო მეოთხეზეა.

**სლოვაკეთის ჩემპიონატის 29-ე ტურის შეხვედრები, შაბათ-კვირას რომ შედგა, ასე დამთავრდა: ინტერი — ტაურისი 5:3, უმენი — ნიტრა 1:3, ბანიკი — სლოვანი 0:2, ტრენჩინი — კომიცე 0:1, სპარტაკი — ტატრანი 4:1, ბარდეხოვი — ჟილინა 0:1, რუზომბეროკი — დუბნიცა 2:0, დუკლა — არტმედია 1:0. აუტსაიდერ ბანიკთან მოგებული შეხვედრის შემდეგ ბრატისლავის „სლოვანი“ პირველობის დასრულებამდე ერთი ტურით ადრე გახდა ჩემპიონი. შეგახსენებთ, რომ „სლოვანი“ სლოვაკეთის 1994, 1995 და 1996 წლების ჩემპიონია. მიმდინარე გათამაშების ბოლო ტური შაბათ-კვირას გაიმართება. პირველ ადგილზე 70 ქულით „სლოვანია“, რომელიც მეორე ადგილზე მყოფ თანაქალაქელ „ინტერს“ ხუთი ქულით უსწრებს. მესამე-მეოთხე ადგილებს 61-61 ქულით ტრნავის „სპარტაკი“ და „კომიცე“ იყოფენ, თუმცა ბურთების უკეთესი სხვაობის წყალობით მესამეზეა „სპარტაკი“.**

**ჩეხეთის** ჩემპიონატის 29-ე ტურის შეხვედრები შაბათს ჩატარდა: ტეპლიცე — სლავია 3:1, იაბლონეცი — ჰრადეც კრალოვე 1:2, ვიქტორია (ჟიჟკოვი) — ვიქტორია (პლზენი) 3:0, ბობი — კარვინა 4:2, ბანიკი — დრნოვიცე 2:1, დუკლა — ოპავა 3:1, ჩიმელი — სლოვანი 2:2. შეგახსენებთ, რომ პრაღის „სპარტამ“ წინა ტურში ზედიზედ მესამედ მოიგო ჩეხეთის ჩემპიონატი. მას ამ ტურის მატჩი „ოლომოუცთან“ გადაედო. მიუხედავად ამისა, „სპარტა“ 28 თამაშიდან მოპოვებული 59 ქულით პირველია. 55 ქულით მეორეზეა „ტეპლიცე“, ხოლო 52 ქულით მესამე ადგილზეა პრაღის „სლავია“.

**რუმინეთის ჩემპიონატის 31-ე ტურის შეხვედრები შაბათ-კვირას გაიმართა. თამაშები ასე დასრულდა: ფარული — უნივერსიტატეა (კლუჟი) 3:1, ბაკეუ — დინამო 0:2, რესიტა — ნაციონალი 4:1, სტიაუა — ფორესტა 6:1, რაპიდი — ოლიმპია 1:0, ონესტი — ასტრა 2:0, არჯეში — უნივერსიტატეა (კრაიოვა) 2:0, პეტროლული — გლორია 3:1, ჩახლაული — ოცელული 1:1. ჩემპიონატის ლიდერმა ბუქარესტის „რაპიდმა“ კვლავ იმარჯვა. წარმატება რუმინეთის ჩემპიონატის ბომბარდირთა ლიდერის, იონელ განეას 27-ე გოლმა განაპირობა. სხვათა შორის, მან ბოლო 13 მატჩში ათი ბურთი შეაგდო. „რაპიდს“ 80 ქულა აქვს და მეორე ადგილზე მყოფ ბუქარესტის „დინამოს“ ოთხი ქულით უსწრებს. მესამეზეა კიდევ ერთი ბუქარესტული კლუბი „სტიაუა“ — 59 ქულა.**

**არგენტინაში** მიმდინარე მეორე ჩემპიონატის — კლაუსურას მე-14 ტური შაბათ-კვირას შედგა: ბოკა ხუნიორსი — სან ლორენსო 3:0, ხიმნასია ლა პლატა — ესტუდიანტესი 0:0, ხიმნასია ხუხუი — ტალერესი 2:2, ფერო კარილი — როსარიო სენტრალი 0:2, ლანუსი — არგენტინოს ხუნიორსი 0:0, ურაკანი — რივერ პლეიტი 0:1, უნიონი —ინდეპენდიენტე 2:1, რასინგ კლაბი — პლატენსა 0:1, ბელგრანო — ველეს სარსფილდი 2:1. 36 ქულით ჩემპიონატის ლიდერია „ბოკა ხუნიორსი“. 30 ქულა აქვს მეორე ადგილზე მყოფ „რივერ პლეიტს“. 27 ქულით მესამეზეა „სან ლორენსო“.

**ბელგიის თასის ნახევარფინალები გასულ უქმეებზე გაიმართა. ლიეჟის „სტანდარდმა“ „ლოკერენს“ უმასპინძლა, და 3:0 სძლია. ორი მატჩის ჯამში ლიეჟელებმა 5:0 იმარჯვეს და ფინალშიც გავიდნენ. მეორე ნახევარფინალური შეხვედრა „ლიერსსა“ და „გენკს“ შორის ფრედ 1:1 დამთავრდა, მაგრამ ორი თამაშის ჯამში „ლიერსმა“ 5:3 მოიგო. შეგახსენებთ, რომ 1981-82 წლების თასების თასის გათამაშების ნახევარფინალში თბილისის „დინამო“ შინ და ლიეჟში ერთნაირი ანგარიშით 0:1 დამარცხდა „სტანდარდთან“. თასის მფლობელი 30 მაისს გაირკვევა ბრიუსელში.**

**უელსის** ფეხბურთის ასოციაციის თასის ფინალში „ბერი თაუნმა“ 2:1 დაამარცხა „რექსჰემი“. ფინალური მატჩი რექსჰემის „რეისკორს გრაუნდზე“ შედგა. გამარჯვებულთაგან გოლები გაიტანეს ჯასტინ პერიმ და ლი ბაროუმ.

**ტაილანდურ ტურნეში მყოფი ლონდონის „არსენალი“ ბანგკოკში, „რაჯამანგალას“ სტადიონზე მასპინძელთა ნაკრებს ეთამაშა და 3:4 დამარცხდა. მეათე წუთისთვის ლონდონელები უკვე 0:2 აგებდნენ. სტუმართაგან ორი გოლი ნვაკვო კანუმ გაიტანა, ერთიც ემანუელ პეტიმ.**

**იამაიკის** ნაკრები ინგლისშია და იქაურ კლუბებთან ამხანაგურ მატჩებს ატარებს. კვირას ინგლისის პირველი დივიზიონის კლუბი „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი“ გუნდის ყველა დროის საუკეთესო თავდამსხმელ ტონი „ბომბერ“ ბრაუნს აცილებდა ფეხბურთიდან და იამაიკელებთან თამაშიც მის წასვლას მიეძღვნა. მატჩი იამაიკამ მოიგო 1:0. გადამწყვეტი გოლი მარკუს გეილმა გაიტანა 52-ე წუთზე. ვესტბრომვიჩელთა შორის ბრაიან რობსონმა და ჯონ ბარნსმაც ითამაშეს. თავის დროზე „ვესტ ბრომვიჩ ალბიონს“ თბილისის „დინამო“ 3:0 დაუმარცხებია.

**ჩეხეთის თასის ფინალში პრაღის „სლავიამ“ ლიბერეცის „სლოვანს“ 1:0 მოუგო. ძირითადი დრო უგოლოდ დამთავრდა, 97-ე წუთზე პაველ ჰორვატმა გადამწყვეტი ბურთი გაიტანა.**

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია **საქტელეკომ პლუსი**
☎ 99 67 67, 98 30 20

# ანჯელო იუვენტუსელი

ანჯელო პერუცი, ტურინის „იუვენტუსის“ მეკარე, კლუბის ისტორიაში შევიდა. პერუცი გახდა ოცდამეცხრე ფეხბურთელი, რომელმაც „ბებერი ქალბატონის“ შემადგენლობაში 300-მატჩიანი ბარიერი გადალახა.

29 წლის მეკარემ „იუვენტუსის“ შემადგენლობაში მესამასე შეხვედრა ორ მაისს ითამაშა სალერნოში „სალერნიტანას“ წინააღმდეგ, სეზონი კი ტურინულ კლუბში ნათამაშები 302 მატჩით დაასრულა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ პერუცი კლუბიდან წასვლას არ აპირებს და კონკურენტი არ ჰყავს, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მისი მიღწევა კიდევ გაიზრდება.

ცნობისთვის: მონაგარში ითვლება „იუვენტუსის“ შემადგენლობაში ნათამაშები მეხვედრები იტალიის ჩემპიონატში, იტალიის თასზე, იტალიის სუპერთასზე, ევროპის საკლუბო ტურნირებში და საკონტინენტთაშორისო თასზე.

„შავ-თეთრთა“ ასერთწლიანი ისტორიის მანძილზე რეკორდსმენად ტრაგიკულად დაღუპული გაეტანო შირეა ითვლება, რომლის შედეგიც — 552 შეხვედრა „იუვენტუისს“ მაისურათი ჯერჯერობით მიუღწეველი ჩანს. შეგახსენებთ, რომ გაეტანო შირეა და ჰოლანდიელ დენი ბლინდთან ერთად ორად ორი ფეხბურთელია დედამიწის ზურგზე, რომელთაც საკლუბო დონეზე ყველა თასი (ჩემპიონთა, თასების, უეფას, ევროპის სუპერ და საკონტინენტთაშორისო თასი) მოუგიათ.

რაც შეეხება კლუბის უპირველეს კანდიდატებს, „იუვენტუსის“ კაპიტანი ანტონიო კონტე გაისად, ალბათ, 300-იანელებს შეუერთდება — მის ანგარიშზე 270 მატჩია.



ანჯელო პერუცი

### „იუვენტუსის“ სამასიანთა კლუბის ყველა წევრი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | შირეა | 552 | 16 | ტაკონი | 375 |
| 2 | ფურინო | 528 | 17 | ტარდელი | 375 |
| 3 | ბეტეგა | 481 | 18 | მორინი | 372 |
| 4 | ძოფი | 476 | 19 | კომბი | 364 |
| 5 | ბონიპერტი | 460 | 20 | როსეტა | 359 |
| 6 | სალკადორე | 449 | 21 | პაროლა | 340 |
| 7 | კაუზიო | 447 | 22 | კასტანო | 335 |
| 8 | კაბრინი | 439 | 23 | რავა | 330 |
| 9 | კუკურედუ | 434 | 24 | მაროკი | 321 |
| 10 | ჯენტილე | 414 | 25 | ბორელ II | 306 |
| 11 | ვარგლიენ II | 412 | 26 | ანძოლინი | 304 |
| 12 | ვარგლიენ I | 402 | 27 | ფონი | 304 |
| 13 | დეპეტრინი | 388 | 28 | ანესტაზი | 302 |
| 14 | ლეონჩინი | 378 | | პერუცი | 302 |
| | ბრიო | 378 | | | |

## პორტუგალია

**გიმარაეში 2:0 კამპომაიორენსე**

1:0, 2:0 ედმილსონი (23, 75)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 33 | 23 | 7 | 3 | 83:26 | 76 |
| ბოავიშტა | 33 | 20 | 11 | 2 | 56:27 | 71 |
| ბენფიკა | 33 | 19 | 7 | 7 | 68:26 | 64 |
| სპორტინგი | 33 | 17 | 11 | 5 | 61:29 | 62 |
| გიმარაეში | 33 | 14 | 8 | 11 | 52:39 | 50 |
| სეტუბალი | 33 | 14 | 8 | 11 | 36:38 | 50 |
| უნიაო | 33 | 13 | 10 | 10 | 34:28 | 49 |
| ეშტრელა | 33 | 11 | 12 | 10 | 33:38 | 45 |
| ბრაგა | 33 | 9 | 12 | 12 | 36:50 | 39 |
| ფარენსე | 33 | 10 | 9 | 14 | 38:52 | 39 |
| მარიტიმუ | 33 | 9 | 11 | 13 | 42:44 | 38 |
| სალგეიროში | 33 | 7 | 16 | 10 | 41:51 | 37 |
| რიუ ავე | 33 | 8 | 11 | 14 | 26:45 | 35 |
| კამპომაიორენსე | 33 | 9 | 7 | 17 | 37:51 | 34 |
| ბეირა მარი | 33 | 6 | 14 | 13 | 32:49 | 32 |
| ალვერკა | 33 | 7 | 11 | 15 | 34:49 | 32 |
| შავეში | 33 | 7 | 10 | 18 | 38:66 | 25 |
| აკადემიკა | 33 | 4 | 9 | 20 | 30:70 | 21 |

## გერმანია

მეორე ბუნდესლიგა

XXXI ტური

**ბერლინი 1:1 უნტერჰახინგი**

0:1 კოპადო (22), 1:1 სტრეჰმელი (87)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არმინია | 31 | 18 | 6 | 7 | 53:28 | 60 |
| უნტერჰახინგი | 31 | 18 | 5 | 8 | 40:24 | 59 |
| ულმი | 31 | 13 | 12 | 6 | 58:49 | 51 |
| კარლსრუე | 31 | 16 | 3 | 12 | 49:40 | 51 |
| ჰანოვერი | 31 | 14 | 8 | 9 | 49:35 | 50 |
| ბერლინი | 31 | 14 | 8 | 9 | 44:37 | 50 |
| ფიურტი | 31 | 13 | 9 | 9 | 39:26 | 48 |
| მაინცი | 31 | 12 | 8 | 11 | 42:40 | 44 |
| კიოლნი | 31 | 11 | 9 | 11 | 40:44 | 42 |
| კიკერსი | 31 | 11 | 8 | 12 | 33:41 | 41 |
| ფორტუნა | 31 | 9 | 12 | 10 | 48:51 | 39 |
| ზტ. პაული | 31 | 10 | 8 | 13 | 37:43 | 38 |
| ობერჰაუზენი | 31 | 8 | 13 | 10 | 36:44 | 37 |
| გიუტერსლო | 31 | 9 | 7 | 15 | 37:51 | 34 |
| კოტბუსი | 31 | 7 | 11 | 13 | 38:42 | 32 |
| ურდინგენი | 31 | 7 | 9 | 15 | 33:48 | 30 |
| ვატენშაიდი | 31 | 6 | 9 | 16 | 25:40 | 27 |
| დიუსელდორფი | 31 | 4 | 13 | 14 | 32:50 | 25 |

## ნორვეგია

მე-8 ტური. ბოდო გლიმტი — ოდი 4:0, ბრანი — სკაიდი 0:1, მიოლდე — რუსენბორგი 0:2, ტრომსო — ლილესტრიომი 4:1, სტრომსგოდსეტი — ვიკინგი 1:0, კონგსვინგერი — მოსი 1:0, ვალერენგა — სტაბეკი 1:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსენბორგი | 8 | 6 | 1 | 1 | 26:7 | 19 |
| სტაბეკი | 8 | 6 | 1 | 1 | 22:10 | 19 |
| მიოლდე | 8 | 6 | 0 | 2 | 16:7 | 18 |
| ლილესტრიომი | 8 | 5 | 1 | 2 | 19:15 | 16 |
| ტრომსო | 8 | 4 | 2 | 2 | 22:13 | 14 |
| ვიკინგი | 8 | 4 | 1 | 3 | 16:11 | 13 |
| ბრანი | 8 | 4 | 0 | 4 | 13:17 | 12 |
| ოდი | 8 | 4 | 0 | 4 | 10:17 | 12 |
| ვალერენგა | 8 | 3 | 1 | 4 | 10:13 | 10 |
| ბოდო გლიმტი | 8 | 2 | 2 | 4 | 16:19 | 8 |
| სკაიდი | 8 | 2 | 1 | 5 | 10:22 | 7 |
| მოსი | 8 | 2 | 0 | 6 | 10:16 | 6 |
| სტრომსგოდსეტი | 8 | 2 | 0 | 6 | 6:19 | 6 |
| კონგსვინგერი | 8 | 1 | 0 | 7 | 10:20 | 3 |

## ესპანეთი

მეორე დივიზიონი

XXXVIII ტური

**მალიორკა B 0:0 მერიდა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მალაგა | 38 | 20 | 12 | 6 | 65:40 | 72 |
| ატლეტიკო B | 38 | 19 | 9 | 10 | 65:48 | 66 |
| სევილია | 38 | 18 | 10 | 10 | 56:44 | 64 |
| რაიო | 38 | 17 | 12 | 9 | 60:48 | 63 |
| ტოლედო | 38 | 17 | 11 | 10 | 50:42 | 62 |
| ნუმანსია | 38 | 17 | 10 | 11 | 59:38 | 61 |
| ლას პალმასი | 38 | 14 | 16 | 8 | 50:37 | 58 |
| კომპოსტელა | 38 | 15 | 12 | 11 | 53:44 | 57 |
| ლეიდა | 38 | 14 | 13 | 11 | 45:43 | 55 |
| რეკრეატივო | 38 | 13 | 15 | 10 | 37:27 | 54 |
| ოსასუნა | 38 | 14 | 12 | 12 | 41:40 | 54 |
| მერიდა | 38 | 13 | 13 | 12 | 43:36 | 52 |
| სპორტინგი | 38 | 13 | 11 | 14 | 37:41 | 50 |
| ბადახოსი | 38 | 12 | 12 | 14 | 30:33 | 48 |
| ალბასეტე | 38 | 11 | 14 | 13 | 32:37 | 47 |
| ლეგანესი | 38 | 10 | 14 | 14 | 35:41 | 44 |
| ლოგრონიესი | 38 | 11 | 11 | 16 | 43:53 | 44 |
| მალიორკა B | 38 | 12 | 8 | 18 | 46:55 | 44 |
| ბარსელონა B | 38 | 12 | 5 | 21 | 46:60 | 41 |
| ერკულესი | 38 | 9 | 10 | 19 | 34:58 | 37 |
| ეიბარი | 38 | 9 | 8 | 21 | 33:55 | 35 |
| ორენსე | 38 | 6 | 6 | 26 | 33:75 | 24 |

## ლუქსემბურგი

22-ე ტური: დუდელანჟი — ჟენეს ეში 0:3; სპორა — ჰობშეიდი 1:2; უნიონი — ვილტცი 1:0; მუნდერკანჟი — ავენირი 2:6; გრევენმახერი — პეტანჟი 7:1; სპორტინგი — არისი 5:0.

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჟენეს ეში | 22 | 16 | 3 | 3 | 56:13 | 51 |
| დუდელანჟი | 22 | 14 | 5 | 3 | 40:18 | 47 |
| ავენირი | 22 | 14 | 3 | 5 | 65:21 | 45 |
| უნიონი | 22 | 12 | 7 | 3 | 46:18 | 43 |
| გრევენმახერი | 22 | 13 | 2 | 7 | 50:26 | 41 |
| სპორტინგი | 22 | 10 | 5 | 7 | 51:34 | 35 |
| მოდერკანჟი | 22 | 6 | 6 | 10 | 26:42 | 24 |
| არისი | 22 | 7 | 3 | 12 | 26:51 | 24 |
| ჰობშეიდი | 22 | 7 | 2 | 13 | 43:50 | 23 |
| ვილტცი | 22 | 6 | 2 | 14 | 25:54 | 20 |
| პეტანჟი | 22 | 4 | 2 | 16 | 16:71 | 14 |
| სპორა | 22 | 2 | 2 | 18 | 17:63 | 8 |

რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 93 16 08

## ჰოლანდია

XXXIV ტური

**ბრედა 2:2 აიაქსი**

1:0 ა. არველაძე (47), 1:1, 1:2 მაკართი (პ.8, 72), 2:2 სტიუარტი (82)

**უტრეხტი 2:3 ეინდჰოვენი**

1:0 მოლსი (4), 2:0 დე იონგი (33), 2:1 ვან ნისტელროი (71პ), 2:2 გახოკიძე (75), 2:3 ბრუგინკი (90)

**ალკმაარი 4:2 მაასტრიხტი**

1:0 ფერტუტი (23), 2:0 ბუსკერმოლენი (62), 3:0 ლანგერაკი (69), 3:1 პერესი (71), 4:1 ლანგერაკი (76), 4:2 კორჩაკინი (79)

**ფეიენოორდი 2:1 ვიტესი**

0:1 როიზერი (35), 1:1 პააუვი (67), 2:1 დალ ტომასონი (85)

**ვალვაიკი 4:1 როდა**

0:1 პეტერსი (14), 1:1 გოვედარიცა (42), 2:1 ლენკოპრი (52პ), 3:1 გოვედარიცა (85), 4:1 პესაკერსი (89)

**ტილბურგი 1:2 ტვენტე**

1:0 სესაი (33), 1:1 ჰესელინკი (89), 1:2 ბოსმანი (90პ)

**ჰერენვენი 0:0 სპარტა**

**გრააფსხაპი 2:2 კამბური**

0:1 ლევჩენკო (33), 0:2 აბმა (50), 1:2 გოდი (65პ), 2:2 ნოკი (75)

**სიტარდი 2:3 ნაიმეგენი**

1:0 სიმონსი (29), 1:1 დე გიერი (58), 1:2 ტუმანი (67), 1:3 დე გიერი (81), 2:3 ჟეფრეი (90)

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფეიენოორდი | 34 | 25 | 5 | 4 | 76:38 | 80 |
| ტილბურგი | 34 | 20 | 5 | 9 | 69:46 | 65 |
| ეინდჰოვენი | 34 | 17 | 10 | 7 | 87:55 | 61 |
| ვიტესი | 34 | 18 | 7 | 9 | 61:44 | 61 |
| როდა | 34 | 17 | 9 | 8 | 59:40 | 60 |
| აიაქსი | 34 | 16 | 9 | 9 | 73:41 | 57 |
| ჰერენვენი | 34 | 14 | 12 | 8 | 53:41 | 54 |
| ტვენტე | 34 | 13 | 13 | 8 | 51:45 | 52 |
| ალკმაარი | 34 | 12 | 12 | 10 | 52:60 | 48 |
| სიტარდი | 34 | 12 | 8 | 14 | 49:56 | 44 |
| ნაიმეგენი | 34 | 10 | 9 | 15 | 42:56 | 39 |
| უტრეხტი | 34 | 10 | 8 | 16 | 54:64 | 38 |
| გრააფსხაპი | 34 | 8 | 12 | 14 | 40:57 | 36 |
| მაასტრიხტი | 34 | 7 | 11 | 16 | 42:63 | 32 |
| კამბური | 34 | 7 | 11 | 16 | 37:64 | 32 |
| ვალვაიკი | 34 | 6 | 9 | 19 | 41:62 | 27 |
| სპარტა | 34 | 7 | 5 | 22 | 37:71 | 26 |
| ბრედა | 34 | 4 | 11 | 9 | 41:61 | 23 |

ჩემპიონთა თასზე — „ფეიენოორდი“, „ტილბურგი“ და „ეინდჰოვენი“.

უეფას თასზე — „ვიტესი“, „როდა“ და „აიაქსი“.

გავარდა „ბრედა“ და მის ნაცვლად ისპარეზებს „დენ ბოში“.

ლიგაში დარჩენისთვის „ვალვაიკი“ და „სპარტა“ მეორე დივიზიონის პლეიოფში „გრონინგენს“, „ემენს“, როტერდამის „ექსელსიორს“, „ელმონდ სპორტს“, „ცვოლეს“ და „დორდრეხტს“ შორის გამარჯვებულ ორ კლუბს ეთამაშებიან.

## შვეიცარია

ფინალური ეტაპი

XII ტური

**ლოზანა 5:1 ლუცერნი**

1:0 დიოჯო (4), 2:0 პანტელიჩი (14), 2:1 ჯოლერი (43), 3:1 სელესტინი (57პ), 4:1 მაცონი (86), 5:1 სელესტინი (87)

**სენტ გალენი 0:0 ქსამაქსი**

**ბაზელი 0:0 სერვეტი**

**გრასჰოპერი 0:2 ციურიხი**

0:1, 0:2 ბარტლეტი (23, 70)

გრასჰოპერი: ცუბერბიულერი, ზანი (ჰაასი 46), მიულერი, გრენი, ბერნერი, მაზინი (ყაველაშვილი 46), ფოგელი, კაბანასი, იაკინი (მაგრო 74), ტიკვა, დე ნაპოლი

ციურიხი: შორონმუ, ტარონე (კასტილიო 66), ჰოდელი, ფიშერი, დი ჯორიო (ჰუბერი 55), სანტანა, ლიმა, კუნცი, ჯამარაული (ნიქსონი 80), შასო, ბარტლეტი

ორშაბათს შვეიცარიის ჩემპიონატში ციურიხული (ქართულიც) დერბი შედგა — მიხეილ ყაველაშვილის „გრასჰოპერმა“ გოჩა ჯამარაულის „ციურიხს“ უმასპინძლა. მატჩმა ძალიან დიდი ინტერესი გამოიწვია. „ჰარდტურმზე“ მაყურებელთა დასწრების მხრივ წლევანდელი ჩემპიონატის რეკორდი დამყარდა: თამაშს 17 ათასი ქომაგი ადევნებდა თვალს. გამარჯვება ორივე გუნდს ძალიან სჭირდებოდა. „გრასჰოპერი“, მოგეხსენებათ, ქვეყნის ჩემპიონობისთვის იბრძვის, „ციურიხს“ კი უეფას თასზე თამაში სურს.

მატჩის გმირი „ციურიხის“ სამხრეთაფრიკელი ლეგიონერი შონ ბარტლეტი გახდა, რომელსაც მთელი კვირის განმავლობაში ტრავმა აწუხებდა და ამის გამო, ფაქტობრივად, არც უვარჯიშია. მიუხედავად ამისა, მან დუბლის შესრულება მოახერხა. პირველი გოლი 23-ე წუთზე გავიდა, როდესაც შეტევებით გართული „კალიები“ მეტოქემ კონტრშეტევაზე გამოიჭირა. პირველი ტაიმი მასპინძლებმა 0:1 წააგეს. ისე კი, ანგარიშში სხვაობა შეიძლებოდა უფრო დიდი ყოფილიყო, მაგრამ გოჩა ჯამარაულის დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა. მეორე ნახევარში „გრასჰოპერს“ ვერც ყაველაშვილის შესვლამ უშველა. მიშამ ბევრი იბრძოლა, მაგრამ ყვითელი ბარათის მეტს ვერაფერს გამორჩა. 70-ე წუთზე კი ბარტლეტმა კიდევ ერთი ბურთი გაიტანა და ყველაფერს ნათელი მოჰფინა. აღსანიშნავია, რომ ბარტლეტის ორივე გოლისას უხეშად შეცდა „გრასჰოპერის“ კაპიტანი მათს გრენი, რომელიც სამხრეთაფრიკელს პერსონალურად მეურვეობდა

ეს მარცხი „გრასჰოპერს“ შესაძლოა ძვირად დაუჯდეს, რადგან ცოტა ხნის წინ პირველ ადგილზე მყოფი, მესამეზე დაეშვა და ახლა მისი ჩემპიონობა „ლოზანასა“ და „სერვეტზეც“ არის დამოკიდებული.

ვანო ოქროპირიძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოზანა | 12 | 7 | 2 | 3 | 25:15 | 42 |
| სერვეტი | 12 | 5 | 3 | 4 | 12:12 | 40 |
| გრასჰოპერი | 12 | 6 | 3 | 3 | 22:10 | 40 |
| ციურიხი | 12 | 6 | 2 | 4 | 21:13 | 39 |
| ბაზელი | 12 | 5 | 2 | 5 | 16:17 | 31 |
| ქსამაქსი | 12 | 2 | 5 | 5 | 11:21 | 27 |
| ლუცერნი | 12 | 4 | 1 | 7 | 11:22 | 27 |
| სენტ გალენი | 12 | 2 | 4 | 6 | 12:20 | 24 |

## ამხანაგური მატჩები
5 და 8 ივნისი. ბრაზილია — ჰოლანდია

ბრაზილიის ნაკრების შემადგენლობა: მეკარეები — ტაფარელი (გალათასარაი, თურქეთი), ბოსკო (სპორტ რესიფე); მცველები — ანტონიო კარლოსი (რომა, იტალია), დედე (დორტმუნდი, გერმანია), რობერტო კარლოსი (რეალი, ესპანეთი), ზე რობერტო (ლევერკუზენი, გერმანია), ალდაირი (რომა, იტალია), ჟოაო კარლოსი (კრუზეირო); ნახევარმცველები — ემერსონი (ლევერკუზენი, გერმანია), ფლავიო კონსეისაო (დეპორტივო, ესპანეთი), ჯოვანი (ბრაზილია, ესპანეთი), ჟუნინიო (ატლეტიკო, ესპანეთი), ლეონარდო (მილანი, იტალია), მარკოს პაულო (კრუზეირო), რივალდო (ბარსელონა, ესპანეთი); თავდამსხმელები — ამოროზო (უდინეზე, იტალია), სონი ანდერსონი (ბარსელონა, ესპანეთი), რონალდო (ინტერი, იტალია), დენილსონი (ბეტისი, ესპანეთი)

ჰოლანდიის ნაკრების შემადგენლობა: მეკარეები — ედვინ ვან დერ სარი (აიაქსი), სანდერ ვესტერველდი (ვიტესი); მცველები — ფრანკ დე ბური, მიხაელ რაიციგერი (ბარსელონა, ესპანეთი), ბერტ კონტერმანი, კიის ვან ვონდერენი (ფეიენოორდი), ანდრე ოიერი (ეინდჰოვენი), მარკ ვან ჰინტუმი (ვიტესი), ფრანკ ვერლაატი (შტუტგარტი, გერმანია); ნახევამცველები — არონ ვინტერი (ინტერი, იტალია), ედგარ დავიდსი (იუვენტუსი, იტალია), ფილიპ კოკუ, რონალდ დე ბური (ბარსელონა, ესპანეთი), კლარენს ზეედორფი (რეალი, ესპანეთი); თავდამსხმელები — ბუდევინ ზენდენი, პატრიკ კლუივერტი (ბარსელონა, ესპანეთი), პეტერ ვან ფოსენი (ფეიენოორდი), რუდ ვან ნისტელროი (ეინდჰოვენი), მარკ ოვერმარსი (არსენალი, ინგლისი), პიერ ვან ჰოიდონკი (ნოტინგემ ფორესტი, ინგლისი)



# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | **ჩემპიონთა თასი. ფინალი** | | | | |
| 26.05 | მანჩესტერი — ბაიერნი | (1,4-2,3) | 1,8 | 3,1 | 3,8 |
| | **იტალიის ჩემპიონატი. პლეი ოფი. პირველი მატჩები** | | | | |
| 27.05 | ინტერი — ბოლონია | | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | **რუსეთის ჩემპიონატი. თასის ფინალი** | | | | |
| 26.05 | დინამო — ზენიტი | | 1,6 | 3,3 | 4,7 |
| | **ჰოლანდიის ჩემპიონატი. პლეი ოფი** | | | | |
| 27.05 | ვალვაიკი — ემენი | | 1,7 | 3,2 | 4,2 |
| | დორდრეხტი — ზვოლე | | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| | სპარტა — გრონინგენი | | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | ჰელმონდ სპორტი — ექსელსიორი | | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | **პოლონეთის ჩემპიონატი. XXIX ტური** | | | | |
| 26.05 | ლეხი — ვიძევი | | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| | სტომილი — რაძიონკოვი | | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| | ზაგლებე — ამიცა | | 1,9 | 2,5 | 4,2 |
| | პოლონია — კატოვიცე | | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | ოდრა — ლეგია | | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| | პოგონი — ბელხატოვი | | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| | გურნიკი — ვისლა | | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| | ლკს — რუხი | | 1,9 | 2,5 | 4,2 |
| | **ამხანაგური მატჩი** | | | | |
| 27.05 | შვედეთი — იამაიკა | | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | **ჰოკეი. NHL** | | | | |
| 26.05 | კოლორადო — დალასი | | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| 27.05 | ბუფალო — ტორონტო | | 1,7 | 4,4 | 2,4 |

[illegible]

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

# თასი ჩამოვიტანო? ამაზე ადვილი რა არის?!

UEFA CHAMPIONS LEAGUE

## ჩემპიონთა თასის ფინალი

1998-99 წლების სეზონში მანჩესტერელებსა და მიუნხენელებს ერთი უიშვიათესი „ჰეთ-თრიკის" საშუალება ეძლევათ: ერთბაშად მოიპოვონ ეროვნული ჩემპიონატის ოქროს მედლებიც, თასიც და დაეუფლონ ევროპის უძლიერესი საკლუბო გუნდის წოდებას. ასეთი რამ კონტინენტის საკლუბო ფეხბურთის ისტორიაში აქამდე მხოლოდ ორმა გუნდმა შეძლო: 1967 წელს გლაზგოს „სელტიკმა", 1970 წელს კი ამსტერდამის „აიაქსმა". თუ დღევანდელი ფინალი „მანჩესტერმა" მოიგო, იგი ამ ორ კლუბს გაუტოლდება, ხოლო თუ გამარჯვება „ბაიერნს" დარჩა, „ჰეთ-თრიკის" შესასრულებლად მას კიდევ ერთი მატჩის მოგება მოუწევს — გერმანიის თასის ფინალისა, რომელშიც მიუნხენელები 12 ივნისს ბერლინის „ჰერტას" ხვდებიან.

ზემოთ განგება ვახსენე. იქნებ მართლაც განგების ნებაც იყო, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის" მეტოქე დღეს სწორედ იმ ქალაქის გუნდია, რომლის ხსენება მანჩესტერელთა გულებში უზომო ტკივილს იწვევს. 1958 წლის 6 თებერვალს ხომ სწორედ მიუნხენის აეროპორტში ჩამოვარდა თვითმფრინავი, რომლითაც ლეგენდარული მატ ბასბის ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ჩემპიონები მგზავრობდნენ. იმ გუნდიდან მაშინ სულ რამდენიმე კაცი გადარჩა. მათგან ერთ-ერთმა, ბობი ჩარლტონმა (სერ მატ ბასბისთან ერთად), ათი წლის შემდეგ უდიდესი წვლილი შეიტანა ევროპის ჩემპიონთა ტურნირში „მანჩესტერ იუნაიტედის" პირველ (და ჯერჯერობით უკანასკნელ) გამარჯვებაში. აწ უკვე გარდაცვლილი მატ ბასბის, მიუნხენის ავიაკატასტროფაში დაღუპული დანკან ედვარდსი და მისი თანაგუნდელების სულები 26 მაისს „კამპ ნოუზე" მოიყრიან თავს, აღნიშნავს მატჩისწინა რეპორტაჟში ლონდონის „თაიმსის" საფეხბურთო მიმომხილველი ოლივერ პოლტი. გარდაცვლილთა ხსოვნისა და ტრადიციების ერთგულ მანჩესტერელებს იქნებ ესეც დაეხმაროს იმაში, რომ სიტყვა „მიუნხენი" „იუნაიტედის" ქომაგებს ამიერიდან მხოლოდ ავს აღარ ახსენებდეს.

ბარსელონაში „მანჩესტერ იუნაიტედი" ორშაბათს საღამოს ჩამოფრინდა „ბრითიშ ეირუეიზის" კუთვნილი „კონკორდი", რომელიც ავიაკომპანიამ კლუბს უსასყიდლოდ ათხოვა. ხმაურიან ბარსელონაში გაჩერებას გუნდის ხელმძღვანელობამ ქალაქიდან 40-მდე კილომეტრის დაშორებით, სიტხესში დაბანაკება არჩია. გუნდთან ერთად არის ბობი ჩარლტონიც, რომლის გამხნევება ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის, მათივე თქმით, უდიდესი სტიმულია.

„ბაიერნმა" თამაშის წინა დღეს, სამშაბათს ჩამოსვლა გადაწყვიტა. კლუბის პრეზიდენტმა ფრანც ბეკენბაუერმა, რომლის წინამძღოლობით მიუნხენელებმა 1974-76 წლებში ზედიზედ სამჯერ მოიპოვეს ევროპის ჩემპიონთა თასი, 380-ადგილიანი ლაინერი დაიქირავა და „ბაიერნის" უკლებლივ ყველა თანამშრომელი (მდივნით დაწყებული და დარაჯით დამთავრებული) კლუბის ხარჯით წამოიყვანა კატალონიის დედაქალაქში. ასე რომ, ძნელი სათქმელია, ვინ დარაჯობს ახლა მიუნხენის ზებენერ შტრასეზე განთავსებულ შტაბბინას. ის კი ცხადია, რომ იქ დარეკვა თუ განიზრახეთ, ავტომოპასუხესთან გასაუბრება მოგიწევთ.

ერთი სიტყვით, საკმარისია, ბარსელონას ცენტრში გაისეირნოთ, რომ იფიქრებთ, მთელი მიუნხენი და მთელი მანჩესტერი აქ ჩამოსულაო. თითოეულ ფინალისტს უეფამ 30400 ბილეთი გამოუყო. მაგრამ გუშინ „კამპ ნოუზე" მისულმა ასობით უბილეთო გულშემატკივარი ვნახე, ჯერ კიდევ სასწაულის იმედი რომ ჰქონდათ. ზოგიერთი მათგანი, თავი რომ ბედნიერ ბილეთიანთა შორის ეგულებოდა, მწარედ მოტყუებულა: ორშაბათს ადგილობრივმა პოლიციამ სტადიონის სიახლოვეს რამდენიმე ასეული ყალბი ბილეთი აღმოაჩინა. ამბობენ, ყალბისმქნელები დააკავესო, მაგრამ უბილეთოდ და უფულოდ დარჩენილი მიუნხენელი თუ მანჩესტერელი ქომაგებისთვის ეს ცნობა, დამეთანხმებით, დიდი ვერაფერი ნუგეშია.

ნაშუადღევს, სასტუმრო „ბარსელო სანტსში" დაბინავებისთანავე, „ბაიერნმა" პრესკონფერენცია მოაწყო. მეტოქეთა შანსების შეფასებისას მიუნხენელთა მწვრთნელმა ოტმარ ჰიცფელდმა ყურადღება იმ გარემოებაზე გაამახვილა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედს" ბოლო ხანს არაერთი უმძიმესი შეხვედრის ჩატარება მოუხდა.

ინგლისში ჩემპიონის ვინაობა ბოლო ტურამდე უცნობი იყო, გასულ შაბათს კი „მანჩესტერმა" ეროვნული თასის ფინალში ითამაშა. ხოლო ჩემს მოთამაშეებს, პირიქით, რეაბილიტაციის საშუალება ხშირად ეძლეოდათ ხოლმეო, დასძინა ჰიცფელდმა. ამაში საკმაოდ მნიშვნელოვანი წვლილი თავად მწვრთნელსაც მიუძღვის. მან „ბაიერნში" მისვლისთანავე განჭვრიტა, რომ ერთი შემადგენლობით გაუჭირდებოდა ერთდროულად რამდენიმე ფრონტზე ბრძოლა (ბუნდესლიგა, ეროვნული თასი, ჩემპიონთა ლიგა, გუნდის ძირითადი ბირთვისთვის — ეროვნული ნაკრების მატჩებიც) და ეგრეთ წოდებული როტაციის პრინციპი შემოიღო. ამ პრინციპის მიხედვით, მთელი სეზონის მანძილზე პერიოდულად ასვენებდა მოთამაშეთა ცალკეულ ჯგუფებს — განურჩევლად მათი თამაშის ხარისხისა. სეზონის მიწურულს „როტაციის პრინციპის" ავტორი მოსავალს იმკის. რამდენად ბარაქიანი გამოდგება ეს მოსავალი, მალე შევიტყობთ.

გამარჯვებისთვის აუცილებელ კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად ჰიცფელდმა საკუთარი ძალების რწმენა დაასახელა. „უნდა გვწამდეს, რომ მოვიგებთ და ნერვები უნდა დავივიწყოთ. ყველა მოთამაშეს კარგად მოეხსენება, რომ ამ ფინალში მოპოვებული გამარჯვებით გმირად იქცევა და საკუთარ სახელს სამუდამოდ ჩაწერს თავისი კლუბის ისტორიაში".

ერთი ინგლისელი ჟურნალისტის ეშმაკურ შეკითხვას, დარწმუნებული თუ ხართ თქვენი გუნდის გამარჯვებაშიო, ჰიცფელდმა დაუფიქრებლად ერთობ სერიოზულადაც უპასუხა: დიახო, და მხოლოდ რამდენიმე წამის შემდეგ გაიღიმა გულღია, თანაც ეშმაკური ღიმილით.

ღიმილი კი არა, საყოველთაო მხიარულება გამოიწვია შტეფან ეფენბერგის პასუხებმა. განსაკუთრებით მისმა ნათქვამმა, 25 მაისი ჩემი მეუღლის დაბადების დღეა, ჰოდა, მთხოვა, საჩუქრად ბარსელონადან თასი ჩამომიტანეო. აუცილებლად, ძვირფასო, ამაზე ადვილი რა არისო, უპასუხია „ბაიერნის" ნახევარმცველს.

ცხადია, ჟურნალისტები იმითაც დაინტერესდნენ, რა შემადგენლობით აპირებს „ბაიერნი" თამაშის დაწყებას. „თქვენ კი არა, სასტარტო შემადგენლობას ჯერ ფეხბურთელებსაც არ ვუმხელო", გვიპასუხა ოტმარ ჰიცფელდმა და ხანმოკლე პაუზის შემდეგ დასძინა: „თუმცა, რა უნდა გავუმხილო, როცა ბოლომდე ჯერ თავადაც არ ვიცი, ვის ვათამაშებ. სასტარტო შემადგენლობა მხოლოდ 80 პროცენტით მაქვს მოფიქრებული. საბოლოო გადაწყვეტილებას ოთხშაბათს დილით მივიღებ".

მეტოქეთა შემადგენლობებთან დაკავშირებით ის შემიძლია გითხრათ, რომ ორივე გუნდს ორ-ორი ძირითადი ფეხბურთელის სამსახურზე უარის თქმა მოუწევს. „ბაიერნში" ვერ ითამაშებენ დაშავებული ელბერი და ლიზარაზუ, ხოლო „მანჩესტერ იუნაიტედში" ვერ ვიხილავთ სქოულზსა და კინს, რომლებიც საპასუხო ნახევარფინალურ მატჩში მიღებული მეორე ყვითელი ბარათის გამო დაისაჯნენ.

სწორედ ამ ორი ფეხბურთელის (განსაკუთრებით კი კაპიტნის, როი კინის) არყოფნა და მათი სრულფასოვნად შეცვლის საკითხი გახლდათ თემა „მანჩესტერ იუნაიტედის" პრესკონფერენციისა, რომელიც სამშაბათს, 5 საათზე მოეწყო. მანჩესტერელთა მწვრთნელს ალექს ფერგიუსონს არ უარყვია, რომ კინისა და სქოულზის შეცვლა იოლი საქმე არ არის, თუმცა იქვე დასძინა, არც შეუძლებელიაო.

„გამუდმებით მესმის ლაპარაკი იმის შესახებ, რომ მინდორზე კინის გარეშე გასვლა ჩვენთვის მთავარი პრობლემა იქნება. მაგრამ ვინც შაბათს „ნიუკასლ იუნაიტედის" წინააღმდეგ ბექჰემის საუცხოო თამაში ნახა, დამერწმუნება, რომ კინის არყოფნა ჩვენთვის გადაუჭრელი პრობლემა არ არის. ბექჰემი ჩვენს გუნდში ერთადერთი ფეხბურთელია, რომელმაც ბოლო პერიოდის უკლებლივ ყველა თამაშში მონაწილეობდა. გამძლეობით „მანჩესტერში" იგი ყველას სჯობია. ამ სეზონში მან უფრო უმატა თამაშს, რასაც ველოდით კიდეც. ბექჰემი დიდი ფეხბურთელია და ეჭვი არ მეპარება, დაკისრებულ ამოცანას ღირსეულად გაართმევს თავს".

ინგლისის თასის ფინალურ მატჩამდე იქაური მიმომხილველები ვარაუდობდნენ, რომ კინის ნაცვლად ნიკი ბათს ნახევარდაცვის ცენტრში პარტნიორობას რონი იონსენი გაუწევდა, ხოლო დაცვაში ამ უკანასკნელის ადგილს დევიდ მეი დაიკავებდა. მაგრამ ალექს ფერგიუსონმა, ჩანს, სხვაგვარი არჩევანი გააკეთა: ბათს და ბექჰემს ნახევარდაცვის შუაში ათამაშებს, ხოლო გიგზსა და ბლომკვისტს — ფლანგებზე. თუმცა, თავისი გერმანელი კოლეგისა არ იყოს, არც ფერგიუსონი აპირებს, ოთხშაბათამდე გაამხილოს თავისი გუნდის სასტარტო შემადგენლობა.

მატჩის წინა საღამოს ორივე გუნდმა თითო საათი ივარჯიშა „კამპ ნოუს" მინდორზე. ოთხშაბათს კი ამ დიდებული სტადიონის ტრიბუნები დაემსგავსება აბობოქრებულ ზღვას, რომლის ტალღების სიმაღლეს ქვემოთ, მინდორზე გათამაშებული სანახაობა განსაზღვრავს.

ვშიშობ, ასეთმა პოეტურმა დასასრულმა სტატისტიკის მოყვარულები არ გაანაწყენოს. მათი ცნობისწადილის დასაკმაყოფილებლად რეპორტაჟის ბოლოს ციფრების სამყაროში გადავინაცვლებ.

26 მაისის ფინალს 90 ათასი მაყურებელი დაესწრება, რაც სარეკორდო მაჩვენებელია ჩემპიონთა ლიგის ფინალების ხანმოკლე ისტორიაში;

ფინალური მატჩის პირდაპირ ტელერეპორტაჟს 200-ზე მეტ ქვეყანაში იხილავს 200 მილიონზე მეტი ტელემაყურებელი;

ფინალზე აკრედიტებულია 60-მდე ქვეყნის 750 ჟურნალისტი და 176 ფოტორეპორტიორი;

მაყურებლებისა და მოთამაშეების უსაფრთხოებას მატჩის დაწყებამდე და მისი მსვლელობისას 5500 ადამიანი დაიცავს, მათ შორის ესპანეთის სახელმწიფო პოლიციის 3000 მუშაკი, სამოქალაქო გვარდიის 1200 მოსამსახურე, ბარსელონას საქალაქო პოლიციის 500 თანამშრომელი, კატალონიის საპოლიციო სამსახურის 300 წევრი და უსაფრთხოების რამდენიმე კერძო ორგანიზაციის 500 წარმომადგენელი;

თითოეულმა ფინალისტმა ბარსელონაში ჩამოიყვანა 100-100 „გზამკვლევი", რომელთა ამოცანაა, სტადიონის მიდამოებში და მის ტერიტორიაზე ქომაგებს გზის გაგნებაში დაეხმარონ;

ფინალური მატჩის გახსნის საზეიმო ცერემონიალში მონაწილეობას მიიღებს 200 მოცეკვავე, ხოლო ჩემპიონთა ლიგის ოფიციალურ ჰიმნს შეასრულებს ცნობილი საოპერო მომღერალი, ბარსელონის მკვიდრი მონსერატ კაბალიე.

მაგრამ მთავარი სანახაობა მაინც საფეხბურთო მოედანზე უნდა გაიმართოს. საღამოს გმირი იქნება მატჩი, რომელშიც ევროპის უძლიერესი კლუბის წოდებას ერთმანეთს შეეცილება ძველი კონტინენტის ორი უძლიერესი გუნდი: „მანჩესტერ იუნაიტედი" და მიუნხენის „ბაიერნი". წლევანდელი ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ტურნირში მათ უკვე ორჯერ მოუხდათ ერთმანეთთან გაჯიბრება. ორივე მატჩი ფრედ დამთავრდა. მესამე შეხვედრაში გამარჯვებული აუცილებლად უნდა გამოვლინდეს: ევროპის საკლუბო ფეხბურთის ტახტზე ახალი მეფე უნდა ავიდეს!



REUTERS ბარსელონიდან

ევროპული ბიბლიოთეკა

ოტმარ ჰიცფელდი (მარცხნივ) შტეფან ეფენბერგს და მარიო ბასლერს ბარსელონაში ფრაუ ეფენბერგის საჩუქრის მოსაპოვებლად ამზადებს

## ფაქტები, ფაქტები...

ჩემპიონთა თასის დღევანდელი ფინალი მეხუთეა, რომელშიც ერთმანეთს ინგლისური და გერმანული გუნდები დაუპირისპირდებიან. 1975: ბაიერნი — ლიდსი 2:0, 1977: ლივერპული — მიონხენგლადბახი 3:1, 1980: ნოტინგემი — ჰამბურგი 1:0, 1982: ასტონ ვილა — ბაიერნი 1:0

⚽ ⚽ ⚽

სხვა ევროთასებზე ამ ქვეყნების გუნდებს შორის კიდევ ოთხი ფინალი გაიმართა. 1965: ვესტ ჰემი — მიუნხენი 2:0 (თ.თ.), 1966: დორტმუნდი — ლივერპული 2:1 (თ.თ.), 1973: ლივეპული — მიონხენგლადბახი 3:2 (უ.თ.), 1998: ჩელსი — შტუტგარტი 1:0 (თ.თ.)

⚽ ⚽ ⚽

მიუხედავად იმისა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედსა" და „ბაიერნს" ჯამში ევროთასებზე 350-ზე მეტი მატჩი აქვთ ნათამაშევი, ერთმანეთს პირველად ამ სეზონში შეხვდნენ. ჩემპიონთა ლიგის D ჯგუფში პირველი თამაში მიუნხენში, 30 სექტემბერს, 2:2 დასრულდა, ხოლო საპასუხო, 9 დეკემბერს, მანჩესტერში — 1:1.

⚽ ⚽ ⚽

„მანჩესტერ იუნაიტედს" ბოლო ორ სეზონში, ევროთასებზე, 20 მატჩიდან მხოლოდ ერთი აქვს წაგებული. 18 თვის წინ „იუვენტუსმა" 1:0 დაამარცხა.

⚽ ⚽ ⚽

„ბაიერნმა" ამ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში ერთადერთი მარცხი იწვნია. ეს გახლდათ ერთობ მოულოდნელი შედეგი, ვინაიდან მიუნხენელთა მეტოქე იყო კოპენჰაგენის „ბრონდბიუ", რომელმაც შინ 2:1 მოუგო და თან ორივე გოლი ბოლო სამ წუთში გაუტანა.

⚽ ⚽ ⚽

„ბაიერნი" გახლავთ ერთი იმ ოთხ კლუბთაგანი, რომელთაც ევროპაში არსებული სამივე თასი მოიპოვეს. მის გარდა ასეთი შედეგი აქვთ „აიაქსს", „ბარსელონასა" და „იუვენტუსს".

⚽ ⚽ ⚽

მას მერე, რაც ჩემპიონთა თასის გათამაშება ლიგად გადაკეთდა (1992-93) დღევანდელი ფინალი გახლავთ პირველი, რომელშიც იტალიური გუნდი არ მონაწილეობს. გარდა ამისა, საყურადღებოა, რომ იტალიური გუნდის გარეშე ბოლო 11 წელიწადში ეს მხოლოდ და მხოლოდ მეორე ფინალია. ასეთი, წინა, გახლდათ 1991 წლის თამაში ბელგრადის „ცრვენა ზვეზდასა" და მარსელის „ოლიმპიკს" შორის, რომელიც ბარიში გაიმართა.

⚽ ⚽ ⚽

„მანჩესტერ იუნაიტედი" ევროთასების ფინალში ჯერ არ დამარცხებულა. იგი ორჯერ თამაშობდა შეჯიბრების ბოლო შეხვედრაში და ორივეჯერ გამარჯვება იზეიმა. პირველად, 1968 წელს „იუნაიტედმა" ჩემპიონთა თასის ფინალში „ბენფიკას" 4:1 მოუგო, მეორედ კი, 1991 წელს, თასების თასზე სძლია „ბარსელონას", 2:1. აღსანიშნავია, რომ 1985 წლის „ეიზელის" ტრაგედიისა და დისკვალიფიკაციის შემდეგ „იუნაიტედის" „ბარსელონასთან" გამარჯვებამ ინგლისს ახალი ეპოქის პირველი ევროჯილდო მოუტანა.

⚽ ⚽ ⚽

„ბაიერნი" ევროპული თასის ფინალში ხუთჯერ არის ნათამაშევი და აქედან ორჯერ მეტოქედ ინგლისური გუნდი ჰყავდა. ახლა მეექვსე ფინალი და მესამე ინგლისური ბარიერი ელის. წინა შემთხვევები: 1975 — „ლიდსი" (2:0) და 1982 — „ასტონ ვილა" (0:1).

⚽ ⚽ ⚽

„ბაიერნის" კიდევ ორი ევროფინალი, ასე თუ ისე, ბრიტანეთთან იყო დაკავშირებული. 1976 წელს მიუნხენელებმა ფრანგულ „სენტ ეტიენს" 1:0 გლაზგოში მოუგეს, 1967 წელს კი ნიურნბერგში, თასების თასის ფინალში, „რეინჯერსს" სძლიეს.

⚽ ⚽ ⚽

„ბაიერნი" მეშვიდე გუნდია, რომელიც მეექვსედაა ევროთასის ფინალში.

⚽ ⚽ ⚽

დღევანდელი ფინალი ემთხვევა „მანჩესტერ იუნაიტედის" 1968 წლის ტრიუმფის შემოქმედი მწვრთნელის, სერ მატ ბასბის დაბადების 90-ე წლისთავს. ბასბი 1994 წელს 84 წლისა გარდაიცვალა.

⚽ ⚽ ⚽

ლოთარ მათეუსი „ბაიერნის" შემადგენლობაში ჩემპიონთა თასის მეორე ფინალს თამაშობს. პირველი იყო 1987 წელს, როდესაც „ბაიერნი" ვენაში „პორტუმ" დაამარცხა — 2:1.

⚽ ⚽ ⚽

ბოლო 21 სეზონის განმავლობაში ორივე გუნდმა მხოლოდ ოთხ ფინალში შეძლო გოლის გატანა. გამომდინარე იქიდან, რომ ამ სეზონში „მანჩესტერმა" 126 გოლი გაიტანა (29 ჩემპიონთა ლიგაში), ხოლო „ბაიერნმა" 93 (24 ჩემპიონთა ლიგაში), დღევანდელი ფინალი გოლმრავალი უნდა გამოდგეს.

⚽ ⚽ ⚽

„მანჩესტერ იუნაიტედის" ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი გახლავთ 1968 წლის ფინალში ორი გოლის ავტორი ბობი ჩარლტონი. მან 606 მატჩში 199-ჯერ გამოიჩინა თავი.

⚽ ⚽ ⚽

„ბაიერნის" ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი გახლავთ გერდ მიულერი. მიულერმა 1977 წელს, ჩემპიონთა თასის ფინალში მადრიდის „ატლეტიკოს" (4:0), ხოლო 1975 წელს, იმავე რანგის მატჩში „ლიდსს" (2:0) გაუტანა. მიულერის შედეგი კარიერაში 365 გოლია.

⚽ ⚽ ⚽

მიულერსვე ეკუთვნის ევროშეჯიბრებათა ბომბარდირობაც. 1966-78 წლებში მან 67 გოლი გაიტანა.

⚽ ⚽ ⚽

მანჩესტერელთა ევრობომბარდირი გახლავთ დენის ლოუ. მან 1963-69 წლებში 28 გოლი გაიტანა, მაგრამ 1968 წლის ფინალში არ უთამაშია, რადგან ნაოპერაციევი იყო.

# სერ მატ ბასბის მეორე ფინალი

## MANCHESTER UNITED FC

*მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი)*
*დაარსდა: 1878 წელს*
*პრეზიდენტი: მარტინ ედუარდსი*
*მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი*
*სტადიონი: „ოლდ ტრეფორდი" (ტევადობა 56 387)*
*ინგლისის ჩემპიონი (12): 1908, 11, 52, 56, 57, 65, 67, 93, 94, 96 97, 99*
*ინგლისის ასოციაციის თასის მფლობელი (10): 1909, 48, 63, 77, 83, 85, 90, 94, 96, 99*
*ლიგის თასის მფლობელი (1): 1992*
*ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი (1): 1968*
*ევროპის თასების თასის მფლობელი (1): 1991*
*ევროპის სუპერთასის მფლობელი (1): 1991*
*საკონტინენტთაშორისო თასის ფინალისტი (1): 1968*

### 1998-99 გზა ფინალისკენ (+5 – 0 = 7 29:15)

**საკვალიფიკაციო ეტაპი**

**მანჩესტერი 2:0 ლკს (ლოძი)**
1:0 გიგზი (16), 2:0 კოული (81)

**ლკს 0:0 მანჩესტერი**

**ჯგუფური ეტაპი**

I ტური

**მანჩესტერი 3:3 ბარსელონა**
1:0 გიგზი (17), 2:0 სქოულზი (24), 2:1 ანდერსონი (47), 2:2 ჯოვანი (603), 3:2 ბექემი (64), 3:3 ლუის ენრიკე (713)

II ტური

**ბაიერნი 2:2 მანჩესტერი**
1:0 ელბერი (11), 1:1 იორკი (30), 1:2 სქოულზი (49), 2:2 ელბერი (90)

III ტური

**ბრონდბიუ 2:6 მანჩესტერი**
0:1, 0:2 გიგზი (2, 21), 0:3 კოული (28), 1:3 დაუგაარდი (35), 1:4 კინი (55), 1:5 იორკი (60), 1:6 სოლსკიაერი (62), 2:6 სანდი (90)

IV ტური

**მანჩესტერი 5:0 ბრონდბიუ**
1:0 ბექემი (7), 2:0 კოული (13), 3:0 ფ. ნევილი (16), 4:0 იორკი (28), 5:0 სქოულზი (62)

V ტური

**ბარსელონა 3:3 მანჩესტერი**
1:0 ანდერსონი (1), 1:1 იორკი (25), 1:2 კოული (53), 2:2 რივალდო (57), 2:3 იორკი (68), 3:3 რივალდო (73)

VI ტური

**მანჩესტერი 1:1 ბაიერნი**
1:0 კინი (43), 1:1 სალიჰამიჯიჩი (56)

**მეოთხედფინალი**

**მანჩესტერი 2:0 ინტერი**
1:0, 2:0 იორკი (7, 45)

**ინტერი 1:1 მანჩესტერი**
1:0 ვენტოლა (63), 1:1 სქოულზი (88)

**ნახევარფინალი**

**მანჩესტერი 1:1 იუვენტუსი**
0:1 კონტე (25), 1:1 გიგზი (90)

**იუვენტუსი 2:3 მანჩესტერი**
1:0, 2:0 ინძაგი (6, 11), 2:1 კინი (24), 2:2 იორკი (34), 2:3 კოული (84)

*დუაიტ იორკი — 8; რაიან გიგზი, ენდი კოული — 5; პოლ სქოულზი — 4; როი კინი — 3; დევიდ ბექემი — 2; ოლე გუნარ სოლსკიაერი, ფილ ნევილი — 1*



„ინტერთან" გატანილ პირველ გოლს დუაიტ იორკს დევიდ ბექემი (მარცხნივ), ენდი კოული და რაიან გიგზი ულოცავენ

შეხვედრა, რომელსაც „მანჩესტერ იუნაიტედი" 31 წლის განმავლობაში ელოდა, ამ საღამოს გაიმართება. ცხოვრებამ ისე მოიტანა, რომ მასპინძელი ქალაქი ბარსელონაა, მოწინააღმდეგე კი „ბაიერნი", მაგრამ მატჩი სხვა სარბიელზე და სხვა გუნდთანაც რომ გამართულიყო, ამით არაფერი შეიცვლებოდა. „მანჩესტერ იუნაიტედისთვის" ამ შემთხვევაში მთავარი ის არის, რომ მატჩის ჩემპიონთა თასის ფინალი ეწოდება და კლუბის ისტორიისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

ყველაფერი, რასაც ალექს ფერგიუსონი „ოლდ ტრეფორდზე" ბოლო 13 წლის განმავლობაში აკეთებდა, საბოლოოდ ერთადერთ მიზანსა და ოცნებას, ჩემპიონთა თასის მოპოვებას ემსახურებოდა. დღეს, როდესაც „მანჩესტერმა" „უემბლიზე" „ნიუკასლს" 2:0 ძლევის შემდეგ, ბოლო ექვს სეზონში მესამედ, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასს ჩემპიონის ტიტული დაამატა, ფერგიუსონს სერ მატ ბასბისთან გაჯიბრება და უმთავრესი ამბიციის დაკმაყოფილება ძალუძს. ფერგიუსონს შეუძლია თავისი გუნდი ევროპის კლუბთა ჩემპიონად იხილოს.

მართალია ფერგიუსონმა, საშინაო ჯილდოების მოპოვებით, სერ მატ ბასბი უკვე კარგა გვარიანად ჩამოიტოვა, მაგრამ მან კარგად უწყის, რომ მის გვერდით ადგილის მოსაპოვებლად აუცილებელი ერთი რამ არის — ევროპის ჩემპიონთა თასის მოგება.

ბასბის დაბადებიდან 90 წლისთავზე ჩემპიონთა თასის ფინალში გასვლაც სიმბოლურია და მანჩესტერელთა იმედს აღვივებს: იქნებ, ბოლოს და ბოლოს, დადგეს სანუკვარი წამი.

„იუნაიტედი" ბარსელონაში 19 დეკემბრის მერე, 32 შეხვედრაში დაუმარცხებელი ჩავიდა. წინ დასკვნითი მატჩია, ევროპული ფეხბურთის სამიტი, 1968 წლის შემდეგ პირველი.

მაშინ, მიუნხენის 1958 წლის ავიაკატასტროფის ნამსხვრევებზე აგებულმა ბასბის გუნდმა „უემბლიზე" პორტუგალიურ „ბენფიკას" 4:1 მოუგო და შეიქნა პირველი ინგლისური კლუბი, რომელმაც კონტინენტის დიდი საფეხბურთო გვირგვინი დაიდგა. მას მერე კი თასი „იუნაიტედს" გაურბოდა. მართალია შიგადაშიგ გუნდი მიზანს უახლოვდებოდა, მაგრამ დღევანდელი და მხოლოდ დღევანდელი ფინალი გახლავთ კვანძი კლუბის წარსულის, აწმოყოსი და მომავლის.

არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის" მეტოქე სწორედ მიუნხენის გუნდია, იმ ქალაქის, სადაც საშინელი ავიაკატასტროფა მოხდა.

„მრავალი ნიშნით ჩვენ ევროპის უძლიერესი გუნდი ვართ, მაგრამ ამას დამტკიცება სჭირდება, რაც თასის მოპოვებით უნდა მოხდეს" — ამბობს ფერგიუსონი — „აქ სხვა აზრი არ არსებობს. უკვე დავამტკიცეთ, რომ ინგლისში საუკეთესონი ვართ და ახლა იგივე ევროპაში უნდა შევძლოთ. ყველას უნდა ვაჩვენოთ ჩვენი უპირატესობა როგორც მოედანზე, ასევე მის გარეთ".

„იუნაიტედს" კარგად მოეხსენება, რომ ამის გაკეთება საკმაოდ ძნელია.



სერ მატ ბასბი



მისტერ ალექს ფერგიუსონი

მართალია შინაურ ასპარეზზე გუნდი ქვას ქვაზე არ ტოვებდა, მაგრამ ჩემპიონთა ლიგის თამაშებში სერიოზული ტესტების ჩატარებამ მოუწია. ჯგუფურ ტურნირში მან „ბაიერნთან" 9 სექტემბერს სტუმრად 2:2 ითამაშა, ხოლო შინ, 9 დეკემბერს 1:1. ჯამში მანჩესტერელებმა 12 შეხვედრიდან ხუთში გაიმარჯვეს, ხოლო შვიდში ფრედ ითამაშეს.

ამ საღამოს გერმანიის ჩემპიონიც თავდადებით იბრძოლებს. მასაც სწყურია ოდინდელი დიდების აღდგენა, 1974-76 წლების დაბრუნება, როდესაც სამჯერ აღმართა ჯილდო, რომელსაც დღეს მეოთხედ უნდა წაეპოტინოს. ის არც მენტალურად გახლავთ „იუნაიტედზე" სუსტი და არც ფიზიკურად.

„იუნაიტედის" უმთავრესი პლუსი, ამ სეზონში, დუაიტ იორკისა და ენდი კოულის დუეტი გახლდათ, რომელმაც 53 გოლი გაიტანა. ამ გოლების დიდი ნაწილი კი დევიდ ბექემის შექმნილი გახლდათ, რომელიც მატჩიდან მატჩამდე აუმჯობესებდა თამაშს. ჯამში ინგლისის ჩემპიონმა 126 გოლი გაიტანა, მაგრამ თავდასხმა ერთია, დაცვა კი მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანი. მანჩესტერელთა ზურგს კლდესავით შეუვალს, ვაგლახ, ვერ უწოდებ, არადა ვინ მოთვლის რამდენი გუნდის ძლიერებაა სწორედ დაცვაზე დაფუძნებული.

და მაინც, გასულ ზაფხულს 10 მილიონ გირვანქად ნაყიდი ჰოლანდიელი იაპ სტამის და დანიელი მეკარის, პიტერ შმაიხელის ოსტატობა უამრავ მეტოქეს „იუნაიტედის" კარისკენ მიმავალ გზას გაუვალს უხდის.

„მესმის რატომაც ლაპარაკობს ხალხი ბედისწერაზე" — ამბობდა ორიოდ დღის წინ ფერგიუსონი — „ჩემპიონთა თასის ფინალი სერ მატ ბასბის დაბადების დღეს დაემთხვა, თან მიუნხენის გუნდს ვეთამაშებით, რაც 1958 წლის ტრაგედიას გვახსენებს. მართლაც უამრავი დამთხვევაა და იმედი მაქვს მატჩის შემდეგ ყველაფერს საგანგებო მნიშვნელობა მიეცემა".

ბასბისეული გუნდი ევროშეჯიბრებაში პირველად 1956-57 წლების სეზონში გამოჩნდა, თასი კი 12 წლის შემდეგ, 1968-ში მოიპოვა. თუ 1986-87 წლების სეზონს არ ჩავთვლით (ის ხომ ნოემბერში მისული კაცისთვის სრული არ არის), ფერგიუსონიც მეთორმეტე წელიწადია რაც „იუნაიტედს" ხელმძღვანელობს.

ოცნების ასახდენად უკეთესი დროის გამონახვა შეუძლებელია.

**მაიკ ძოლეტი, როიტერი**

***სავარაუდო შემადგენლობა:*** **შმაიხელი, გ. ნევილი, სტამი, იონსენი, ირვინი, ფ. ნევილი, ბექემი, ბათი, გიგზი, კოული, იორკი.**

### მეკარე

პიტერ შმაიხელი, 35 წლის. დიდი დანიელი მეკარე „იუნაიტედის" შემადგენლობაში, ამასწინათ, მეხუთედ გახდა ინგლისის ჩემპიონი და მესამედ მოიგო ფეხბურთის ასოციაციის თასი. დღეს იგი ამ გუნდში ბოლო თამაშს ატარებს. დღეს საღამოს შმაიხელი ევროთასებზე 35-ე შეხვედრას გამართავს და გაუტოლდება კლუბის რეკორდსმენს ბილ ფოლკსს.

### მცველები

რონი იონსენი, 29 წლის. ამ ნორვეგიელმა მცველმა გასულ შაბათს ფეხბურთის ასოციაციის თასის ფინალში საუცხოოდ ითამაშა. ორი სეზონის წინ იონსენი თურქეთში, კერძოდ „ბეშიქთაშში" გამოდიოდა.

გარი ნევილი, 24 წლის. ფილ ნევილის უფროსმა ძმამ სადებიუტო შეხვედრა 20 წლისამ ჩაატარა. იგი იმდენად ძლიერია, რომ ძირითად შემადგენლობაში უპირობოდ ათამაშებენ. ეჭვი არავის ეპარება, რომ მომავალში ინგლისის ნაკრების კაპიტანი გახდება.

ფილ ნევილი, 22 წლის. დენის ირვინის დისკვალიფიკაციამ, წინა შაბათს, ფილს ასოციაციის თასის ფინალში თამაშის საშუალება მისცა და მანაც თავი არ შეირცხვინა.

დენის ირვინი, 33 წლის. ეს ფეხბურთელი „იუნაიტედში" თანაგუნდელთაგან ყველაზე დიდხანს თამაშობს. მართალია შაბათს ასოციაციის თასის ფინალში ვერ ითამაშა, მაგრამ სრულიად შესაძლებელია რომ დღეს მოედანზე ვიხილოთ.

დევიდ მეი, 28 წლის. მეიმ, ტრავმის გამო, ლამის მთელი სეზონი გამოტოვა, მაგრამ ბედს არ შეეგუა და ძირითადი შემადგენლობის ადგილი დაიბრუნა. არავინ ელოდა, რომ იგი შაბათს ასოციაციის თასის ფინალში ითამაშებდა, თუმცა დღეს, ალბათ, იაპ სტამს დაუთმობს ასპარეზს.

იაპ სტამი, 26 წლის. ამ ზორბა ჰოლანდიელმა გაამართლა მასში დახარჯული სატრანსფერო თანხა, 17 მილიონი დოლარი, რომელიც „იუნაიტედმა" „ეინდჰოვენს" გადაუხადა. სტამმა ერთი ხნის წინ აქილევსის მყესი დაიზიანა, რის გამოც შაბათს, ასოციაციის თასის ფინალში მხოლოდ 13 წუთით შევიდა მოედანზე.

უეს ბრაუნი, 19 წლის. „იუნაიტედის" შემადგენლობაში მხოლოდ 12 თამაში აქვს ჩატარებული, არადა 28 აპრილს ინგლისის ნაკრების თავკაცმა, კევინ კიგანმა უკვე ათამაშა ეროვნულ გუნდში. დღეს, ცხადია, თადარიგში იქნება.

ჰენინგ ბერგი, 29 წლის. ამ ნორვეგიელ მცველს რამდენიმე დღის წინ ტრავმა ჰქონდა, მაგრამ დღეისათვის მზადაა. ალექს ფერგიუსონი თუ ჩათვლის, რომ „ბაიერნთან" მატჩში თავდაცვისას სიმაღლეა საჭირო, ბერგი უთუოდ ითამაშებს.

### ნახევარმცველები

დევიდ ბექემი, 23 წლის. მსოფლიოს ჩემპიონატზე, არგენტინასთან შეხვედრაში გაძევების შემდეგ გულშემატკივრები არ სწყალობდნენ, მაგრამ სირთულეებს სძლია და საუცხოო სეზონი ჩაატარა. ჰყავს პოპ-ვარსკვლავი მეუღლე, ვიქტორია ადამსი და ვაჟი ბრუკლინი.

ნიკი ბათი, 24 წლის. ძმები ნევილების, რაიან გიგზის, პოლ სქოულზის და დევიდ ბექემის მსგავსად „იუნაიტედის" ახალგაზრდული სკოლის აღზრდილია. მშრომელი ფეხბურთელია, რომელმაც 1995 და 1996 წლებში ასოციაციის თასის ფინალში ითამაშა.

იესპერ ბლომკვისტი, 24 წლის. ეს შვედი ნახევარმცველი „იუნაიტედმა" „მილანისგან" 7 მილიონ დოლარად შეიძინა და გაუმართლა კიდეც.

### თავდამსხმელები

ენდი კოული, 27 წლის. კოული 1995 წლის იანვარში „იუნაიტედს" „ნიუკასლმა" რომ მიჰყიდა, ამ გარიგების თანხა, 11 მილიონი დოლარი, ინგლისისთვის სარეკორდო გამოდგა. ერთი ხანობა დიდი მითქმა-მოთქმა ატყდა, ფორვარდმა არ გაამართლაო, მაგრამ ახლა საუცხოოდ თამაშობს.

რაიან გიგზი, 25 წლის. გიგზი დედის გვარია. მშობლების განქორწინების მერე რაიანმა დედის მხარე დაიჭირა და ეროვნებაც კი მისი მიიღო — უელსის ნაკრებში თამაშობს. 14 აპრილს „არსენალს" ულამაზესი გოლი გაუტანა და იქვე დაშავდა.

ოლე გუნარ სოლსკიაერი, 26 წლის. კოულის და დუაიტ იორკის შემდეგ „იუნაიტედის" მესამე მეგოლეა. ამბობენ, ეს ნორვეგიელი ფეხბურთელი, ახლა, ალექს ფერგიუსონს თავის მომავალზე ეთათბირებაო.

დუაიტ იორკი, 27 წლის. იორკი ტრინიდადელი ფორვარდია, რომელმაც ათი წელიწადი „ასტონ ვილაში" გაატარა და „იუნაიტედში", ამ სეზონში 20,31 მილიონ დოლარად გადავიდა. მიმდინარე სეზონში ჩემპიონატსა და ეროვნულ თასზე იორკმა 29 გოლი გაიტანა.

ტედი შერინგემი, 33 წლის. შაბათს, ასოციაციის თასის ფინალში დაშავებული კინის ნაცვლად მეცხრე წუთზე შევიდა მოედანზე და 96 წამში ანგარიშიც გახსნა. ადრე ინგლისის ნაკრების უცვლელი ფორვარდი გახლდათ.

# ჰიცფელდი მეგობრების წინააღმდეგ

როდესაც საქმე მიუნხენის „ბაიერნს“ ეხება, ყოველთვის უმაღლეს მიზნებზეა საუბარი, მაგრამ ეს სეზონი განსაკუთრებულია.

„ზუსტად იქ გახლავართ, სადაც გვინდოდა რომ ვყოფილიყავით“ — განაცხადა კლუბის დირექტორმა ული ჰიონესმა, როდესაც ცოტა ხნის წინ „ბაიერნმა“ მეთხუთმეტედ მოიპოვა გერმანიის ჩემპიონის ტიტული — „ჩვენ ერთი ჯილდო უკვე ალვმართეთ და კიდევ ორს ვუმიზნებთ“.

მიუნხენელებმა საოცრად უეკლო სეზონი განვლეს, ქვეყნის პირველობაში გაიმარჯვეს და ახლა აპირებენ გახდნენ გერმანულ გუნდთა შორის პირველი, ვინც ამ ტიტულთან ერთად ევროპის ჩემპიონთა და ეროვნულ თასებსაც მოიპოვებს. ასეთი სიმაღლისთვის თვით 1970-იანი წლების „ბაიერნსაც“ არ მიუღწევია, არადა ის გუნდი, შინ თუ გარეთ, ჯილდოს ჯილდოზე იგებდა.

ბოლო სეზონებში „ბაიერნი“ შიდაკონფლიქტებით და ურთიერთღრენით გახლდათ გახლეჩილი, რაც გამარჯვებაში ხელს უშლიდა. ამიტომაც შეარქვეს ირონიით „საფეხბურთო კლუბი ჰოლივუდი“. ფრანც ბეკენბაუერის, გერდ მიულერისა და ზეპ მაიერის ეპოქისგან განსხვავებით დღევანდელი „ბაიერნი“ ხშირად მოიხსენიებოდა, როგორც ის გუნდი, რომელიც თავის დიდ პოტენციალს ვერ იყენებს. ამის მიზეზად, სწორედ, ფეხბურთელთა შორის ცუდ ურთიერთობებსა და ერთიანი სულისკვეთების არქონას ასახელებდნენ.

წინა ჩემპიონატიც იმედგაცრუებისა გამოადგათ ბავარიელებს: ბუნდესლიგის ტიტული უსახელო „კაიზერსლაუტერნს“ გაატანეს, ხოლო ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალში დორტმუნდის „ბორუსიასგან“ იწვნიეს მარცხი. მაშინდელ მწვრთნელს, ჯოვანი ტრაპატონის ძალიან უჭირდა ჭირვეული ვარსკვლავების მოთოკვა, რის გამოც სამშობლოში, იტალიაში დაბრუნდა და ადგილი ოტმარ ჰიცფელდს დაუთმო.

ჰიცფელდმა, ყოფილმა მათემატიკის მასწავლებელმა, რომელმაც 1997 წელს ჩემპიონთა თასი „დორტმუნდს“ მოაპოვებინა, ყველაფერი სწორად გათვალა.

„ის, რომ გუნდში სიწყნარეა, ჩვენი გამარჯვებების უმთავრესი მიზეზი გახლავთ“ — ამბობს მეჰმეთ შოლი — „ყველაფერს მწვრთნელს უნდა ვუმადლოდეთ“.

მწვრთნელს კი ხმაური არ აუტეხავს, ჭირვეულთ მშვიდად და კატეგორიულად განუმარტა, რომ ვინც კარგად არ ითამაშებს, ძირითად შემადგენლობაში ადგილს დაკარგავს. თავადაც გონივრული დასკვნა გააკეთა: ვინაიდან გუნდში სხვადასხვა ქვეყნის ნაკრების 18 ფეხბურთელია, სჯობს ყველა მათგანი გამოიყენოს.

არც არავის დაუჩივლია.

„როდესაც ხედავ სათადარიგოთა სკამზე როგორი ფეხბურთელები სხედან და არაფერს აპროტესტებენ, ხვდები, რატომაც იგებს „ბაიერნი“ — ამბობს ნახევარმცველი შტეფან ეფენბერგი.

სხვათაშორის, როდესაც სეზონის დასაწყისში „ბაიერნმა“ მიონხენგლადბახის „ბორუსიასგან“ ეფენბერგი იყიდა, ბევრს ეჭვი შეეპარა ამ გადაწყვეტილების გონივრულობაში, მაგრამ ეფენბერგმა უმალ დაამტკიცა, რომ საუცხოო გამთამაშებელია.

მიუნხენელებს სხვა დიდებული ფეხბურთელებიც ჰყავთ. მაგალითად მარცხენა მცველი, ფრანგი ბიქსენტე ლიზარაზუ და ბრაზილიელი თავდამსხმელი ელბერი, რომელთაც „ბაიერნის“ დიდებულ სეზონში ლომის წილი დაიდეს. ბედის ირონიით დღევანდელ ფინალს, ტრავმათა გამო, ორივე ტოვებს.

ფინალში „მანჩესტერ იუნაიტედთან“ დაპირისპირება გუნდისთვის (რომელიც მიუხედავად იმისა, რომ ჩემპიონთა თასს, ბოლოს, 1976 წელს ფლობდა, თავს მაინც ელიტარულად მიიჩნევს), ძალიან საინტერესო გამოწვევა გახლავთ. მართალია, ამ სეზონამდე, ორივეს, 40 წლიანი ევროისტორია უმაგრებდა ზურგს, ისინი ერთმანეთს არასდროს გადაყროდენ. და აი „ბაიერნისა“ და „იუნაიტედის“ პირველი დაპირისპირება შარშან, ჩემპიონა ლიგის D ჯგუფის შეხვედრაში, სექტემბერში შედგა. ეს გახლდათ ემოციური მომენტი, ვინაიდან მანჩესტერელთათვის მიუნხენი იყო და რჩება ქალაქად, სადაც 1958 წლის 6 თებერვალს ბასბის გუნდი დაიღუპა. იმ ავიაკატასტროფამ 23 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. დაღუპულთაგან რვა დიდი მომავლის მქონე ახალგაზრდა ფეხბურთელი გახლდათ. სწორედ ამიტომაც დაიწყო სექტემბრის ხსენებული მატჩი წუთიერი დუმილით, „ოლიმპიაშტადიონმა“ პატივი მიაგო წასულთ, მერე კი გაჩაღდა თამაში, რომელიც 2:2 დასრულდა.

დღევანდელი ფინალისტები დეკემბერში, „ოლდ ტრეფორდზე“ ერთხელაც წარსდგენ პირისპირ. ის მატჩიც ფრედ, 1:1 დამთავრდა.

მაშინ ჰიცფელდმა თქვა:

„იმედი მაქვს ამ შეჯიბრებაში კიდევ შევხვდებით ერთმანეთს, ძველ მეგობრებთან თამაში ყოველთვის სასიამოვნოა“.

ჰიცფელდს სურვილი აუხდა.

**პატრიკ ვიგნალი, როიტერი**

**სავარაუდო შემადგენლობა: კანი, მათეუსი, ბაბელი, ლინკე, კუფური, ტარნატი, იერემისი, ეფენბერგი, ბასლერი, იანკერი, ციკლერი**



თომას ჰელმერი (მარცხნივ), თომას ლინკე და მარიო ბასლერი ბარსელონას აეროპორტში საკუთარ ბარგს ელოდებიან

## FC BAYERN MÜNCHEN

ბაიერნი (მიუნხენი, გერმანია)
დაარსდა: 1900 წელს
პრეზიდენტი: ფრანც ბეკენბაუერი
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
სტადიონი: „ოლიმპიაშტადიონი“ (ტევადობა 64 000)
გერმანიის ჩემპიონი (15): 1932, 69, 72, 73, 74, 80, 81, 85, 86, 87, 89, 90, 94, 97, 99
გერმანიის თასის მფლობელი (9): 1957, 66, 67, 69, 71, 82, 84, 86, 98
ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი (3): 1974, 75, 76
ფინალისტი (2): 1982, 87
ევროპის თასების თასის მფლობელი (1): 1967
უეფას თასის მფლობელი (1): 1996
ევროპის სუპერთასის ფინალისტი (2): 1975, 76
საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი (1): 1976

### 1998-99 გზა ფინალისკენ (+ 7 – 1 = 4 24:10)

**საკვალიფიკაციო ეტაპი**

**ბაიერნი 4:0 ობილიჩი**
1:0 ეფენბერგი (59), 2:0 ელბერი (63), 3:0 ციკლერი (64), 4:0 ფინკი (76)

**ობილიჩი 1:1 ბაიერნი**
1:0 სარაჩი (67), 1:1 მათეუსი (88)

**ჯგუფური ტურნირი**

I ტური

**ბრონდბიუ 2:1 ბაიერნი**
0:1 ბაბელი (75), 1:1 ჰანსენი (88), 2:1 რავნი (90)

II ტური

**ბაიერნი 2:2 მანჩესტერი**
1:0 ელბერი (11), 1:1 იორკი (30), 1:2 სქოულზი (49), 2:2 ელბერი (90)

III ტური

**ბაიერნი 1:0 ბარსელონა**
1:0 ეფენბერგი (45)

IV ტური

**ბარსელონა 1:2 ბაიერნი**
1:0 ჯოვანი (28პ), 1:1 ციკლერი (47), 1:2 სალიჰამიჯიჩი (86)

V ტური

**ბაიერნი 2:0 ბრონდბიუ**
1:0 იანკერი (51), 2:0 ბასლერი (57)

VI ტური

**მანჩესტერი 1:1 ბაიერნი**
1:0 კინი (43), 1:1 სალიჰამიჯიჩი (56)

**მეოთხედფინალი**

**ბაიერნი 2:0 კაიზერსლაუტერნი**
1:0 ელბერი (30), 2:0 ეფენბერგი (34)

**კაიზერსლაუტერნი 0:4 ბაიერნი**
0:1 ეფენბერგი (9პ), 0:2, 0:3 იანკერი (22, 39), 0:4 ბასლერი (56)

**ნახევარფინალი**

**დინამო (კიევი) 3:3 ბაიერნი**
1:0 შევჩენკო (15), 2:0 კალაძე (43), 2:1 ტარნატი (45), 3:1 კოსოვსკი (49), 3:2 ეფენბერგი (78), 3:3 იანკერი (90)

**ბაიერნი 1:0 დინამო**
1:0 ბასლერი (35)

*შტეფან ეფენბერგი — 5; ჯოვანი ელბერი, კარსტენ იანკერი — 4; მარიო ბასლერი — 3; ალექსანდერ ციკლერი, ჰასან სალიჰამიჯიჩი — 2; ტორსტენ ფინკი, ლოთარ მათეუსი; მარკუს ბაბელი, მიხაელ ტარნატი — 1*



შტეფან ეფენბერგმა არც „კაიზერსლაუტერნი“ დაინდო

### მეკარე

ოლივერ კანი, 29 წლის. მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ გერმანიის ნაკრების მთავარ მეკარედ ქცეული კანი ჩინებული რეაქციითაა დაჯილდოებული, მაგრამ ძალიან ფიცხია. ამ სეზონში ორჯერ გააძევეს მოედნიდან. „ბაიერნში“ „კარლსრუედან“ 1994 წელს გადავიდა.

### მცველები

მარკუს ბაბელი, 26 წლის. პერსონალური მეურვეობის ოსტატი, ბაბელი, როგორც „ბაიერნში“, ასევე ეროვნულ ნაკრებში მუდამ ძირითად შემადგენლობაშია. ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშებაში ერთი გოლი გაიტანა, „ბრონდბიუს“ კარში. პროფესიონალის კარიერა 1991 წელს „ბაიერნში“ დაიწყო, მერე ერთხანს „ჰამბურგში“ ითამაშა, მაგრამ 1994 წელს ისევ მიუნხენში დაბრუნდა.

თომას ჰელმერი, 34 წლის. ჰელმერი ოფიციალურად თუმც კვლავ გუნდის კაპიტანია, ამ სეზონში ოტმარ ჰიცფელდი ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ითამაშებს. ნაკრებში 68 შეხვედრის მონაწილე „ბაიერნში“ „დორტმუნდიდან“ 1992 წელს გადავიდა.

სამუელ კუფური, 23 წლის. მძლავრი, ფერადკანიანი ცენტრალური მცველი ბოლო დროს ხშირადაა ძირითად შემადგენლობაში. იგი განის ნაკრების ნევრია, კერპად ნელსონ მანდელა ჰყავს და ყოველდღე კითხულობს ბიბლიას.

თომას ლინკე, 29 წლის. გამოცდილი ცენტრალური მცველია, რომელსაც ეროვნულ გუნდში ორი თამაში აქვს ჩატარებული. წინა სეზონში „შალკეში“ გამოდიოდა. ძირითადად სათადარიგოა.

ლოთარ მათეუსი, 38 წლის. ასაკის მიუხედავად, მათეუსმა ეს სეზონი ჩინებულად ჩაატარა. ასაკის გამო სისხარტე დააკლდა, მაგრამ მოედნის ხედვა და ტაქტიკური განსწავლულობა სანიმუშო აქვს. გერმანიის ნაკრებში 135 მატჩი გამართა. „ბაიერნში“ 1984-88 წლებში თამაშობდა, მერე იტალიაში სცადა ბედი, 1992 წელს კი ისევ მიუნხენს დაუბრუნდა.

თომას შტრუნცი, 31 წლის. შტრუნცი ნაკლებად ნიჭიერ, მაგრამ სხვებზე მშრომელ მოთამაშედაა ცნობილი. მისი კერპი წარსულის დიდი გერმანელი ფეხბურთელი გერდ მიულერი გახლავთ. ბავშვობიდან კოსმონავტობაზე ოცნებობდა.

მიხაელ ტარნატი, 29 წლის. კარგი მცველია, მაგრამ „ბაიერნში“ ფრანგი ბიქსენტე ლიზარაზუს მისვლამ სათადარიგოთა სკამზე გადასვა. ლიზარაზუს ტრავმამ კვლავ გაუხსნა გზა ძირითადი შემადგენლობისკენ.

### ნახევარმცველები

მარიო ბასლერი, 30 წლის. ნიჭიერი, მაგრამ ჭირვეული გამთამაშებელი იმდენად ფიზიკური სიძლიერით ვერ დაიკვეხნის, რამდენადაც ტექნიკით. დკემბერში, ჰოლანდიასთან 1:1-ის შემდეგ ქვეყნის ეროვნულ გუნდში აღარ უთამაშია.

შტეფან ეფენბერგი, 30 წლის. „ბაიერნში“, სეზონის დასაწყისში, მიონხენგლადბახის „ბორუსიადან“ გადავიდა და მყისვე თავისი სიტყვა თქვა — ლიგის მიმდინარე გათამაშებაში 5 გოლი გაიტანა. მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ეროვნულ გუნდში კვლავაც ინვევდნენ, მაგრამ უარი განაცხადა, მთელი გულით კლუბს უნდა ვემსახუროო.

ტორსტენ ფინკი, 31 წლის. ფინკზე ამბობენ, შრომის მანიაკიაო. იგი „ბაიერნში“ კარლსრუედან 1997 წელს მივიდა. უპირატესად სათადარიგოა.

იენს იერემისი, 24 წლის. თავგადაკლული მებრძოლი ბევრს რატომღაც მათეუსის ახალგაზრდობას აგონებს. „ბაიერნმა“ ამ სეზონის დასაწყისში თანაქალაქელ-თანასტადიონელი „მიუნხენ 1860“-სგან იყიდა.

ჰასან სალიჰამიჯიჩი, 22 წლის. ეს ბოსნიელი ყმაწვილი წინა სეზონში „ჰამბურგის“ წევრი გახლდათ. სწრაფია და ნიჭიერი, მაგრამ ჩავარდნები აქვს. როგორც წესი, სათადარიგოა.

მეჰმეთ შოლი, 28 წლის. შოლს ხშირმა ტრავმებმა დიდი გამოცდა მოუწყო, მაგრამ იმკურნალა და ჩინებული ფორმაც აღიდგინა. ეროვნულ გუნდში 15 თამაში აქვს ჩატარებული.

### თავდამსხმელები

ალი დაეი, 29 წლის. ირანელი ფეხბურთელი სამშობლოში ვარსკვლავადაა მიჩნეული, მაგრამ „ბაიერნში“ უპირატესად სათადარიგოა. ადრე „არმინიაში“ თამაშობდა. მისი დადებითი თვისება საჭირო გოლების უდრტვინველად გატანა გახლავთ.

კარსტენ იანკერი, 24 წლის. იანკერი ღონიერი ფორვარდია, თავით თამაში ეხერხება და საჭირო პოზიციას დროულად არჩევს ხოლმე. „ბაიერნში“ 1996 წელს ვენის „რაპიდიდან“ გადავიდა.

ალექსანდრ ციკლერი, 24 წლის. ძალიან სწრაფი თავდასმხმელია, რომელიც კონტრშეტევების დროს თავს ჩინებულად გრძნობს. მას მერე, რაც ბრაზილიელი ფორვარდი, ელბერი, დაშავდა, ძირითად შემადგენლობაშია. ამასწინათ „ბაიერნთან“ კონტრაქტი კიდევ სამი წლით განავრცო. ამ სეზონში პირველად ათამაშეს გერმანიის ნაკრებში.

**ორშაბათს**, გვიან ღამით, შვეიცარიიდან დაგვიბრუნდა საქართველოს კალათბურთელთა ნაკრები. როგორც იცით, ფრიბურგში გამართულ ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირზე ჩვენებურთა წარუმატებელმა გამოსვლამ ქართულ კალათბურთს ორი წლით მიუხურა ევროპაში გამავალი კარი. ანუ მომდევნო, 2001 წლის საკვალიფიკაციო ტურნირამდე ეროვნულ გუნდს უმოქმედობის ჟამი დაუდგა.

დამარცხებული გუნდის თავკაცობამ და მოთამაშეებმა გუშინ, სპორტის სასახლეში პრესკონფერენცია გამართეს.

თემა ნათელია: ეროვნული გუნდი, შვეიცარიული ტურნე, მარცხის მიზეზები.

# ქართული კალათბურთის მორიგი ზღაპარი ტრადიციული წუწუნის თანხლებით

## შემდეგ ზღაპარს ორი წლის მერე მოგვიყვებიან?

როგორც წესი, თავდაპირველად სიტყვა ნაკრების მთავარ მწვრთნელ ლევან მოსეშვილს ერგო:

„სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში ჟურნალისტები ინფორმაციის სიმწირეს განიცდით და ამიტომ, როგორც გუნდის ხელმძღვანელობამ, ასევე თავად კალათბურთელებმაც გადავწყვიტეთ, პირადად შეგხვედროდით და პირისპირ, გულახდილად გვესაუბრა.

შედეგი, ალბათ, მოგეხსენებათ. ჩვენდა საუბედუროდ, სამეულში მოხვედრა ვერ შევძელით, მეოთხე ადგილზე გავედით. მხოლოდ ირლანდიის და პორტუგალიის დამარცხება მომდევნო ეტაპზე გასასვლელად საკმარისი არ აღმოჩნდა.

ბუნებრივია, თქვენ შვეიცარიული ტურნირის პერიპეტიები გაინტერესებთ. აქ ამაზეც ითქმება და მარცხის მიზეზებზეც, რაც სამომავლოდ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ.

დავიწყებ იმით, რომ განსხვავებით სხვა ქვეყნის გუნდებისგან, რომლებიც უშუალოდ ფრიბურგში, ერთ სასტუმროში ცხოვრობდნენ, ჩვენ ახლომდებარე სოფელ დიუდინგენში დავბინავდით. პატარა სასტუმრო იყო, სახლივით. ასეთ სიტუაციაში რაღაც გარიყულებივით ვიგრძენით თავი, თითქოს საკალათბურთო ევროპისგან გამოყოფილი ვიყავით. გავაპროტესტეთ კიდეც, მაგრამ გვითხრეს, იმ სასტუმროს მენეჯერმა ასე გადაწყვიტა, თქვენ კი დიუდინგენში ცხოვრება გერგოთო. ასე რომ, ვერანაირი ურთიერთობა ვერ დავამყარეთ სხვა გუნდებთან, მომსახურე მსაჯებთან, დელეგაციებთან. არადა, შეიძლებოდა მათთან მეგობრობა, ადამიანურად დალაპარაკება, რაც მსგავს შემთხვევებში ხშირად ამართლებს ხოლმე.

ალბათ, გაინტერესებთ, კონკრეტულად რას ვგულისხმობ. საქმე ისაა, რომ ტურნირის ბოლო დღეს, ჩვენს თამაშამდე გაიმართა ირლანდია — პორტუგალიის შეხვედრა. ამ მატჩზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული. მართალია, ირლანდიას ჯგუფიდან გასვლის შანსი აღარ ჰქონდა, მაგრამ პორტუგალიის დამარცხებით მომდევნო ეტაპისკენ ჩვენ გვეხსნებოდა გზა, თუ, რა თქმა უნდა, დანიას ვძლევდით. როგორც თავად თამაშმა გვაჩვენა, ირლანდიას შეეძლო მეტოქის ჯობნა, მაგრამ ულმერთოდ მოგვექცნენ. ძირითადი ხუთეულის ორი მოთამაშე მწვრთნელმა მოედანზე საერთოდ არ დააყენა. ეს მაშინვე ვიგუმანე, მივხვდი, რომ რაღაც გარიგება ხდებოდა. შესვენებაზე ჩავედი, ირლანდიის მწვრთნელს ხელი მოვკიდე და ვუთხარი, რას შვრები, ამათ რატომ არ ათამაშებ, მოგება არ გინდა-მეთქი? მან კი — ტრავმები აქვთო, უსირცხვილოდ მოიმიზეზა.

ამის შემდეგ ყველაფერი ნათელი გახდა — ჩვენი ომი უკვე დამთავრებული იყო, გუნდი ფსიქოლოგიურადაც მოიშალა, მოირყა და დანიასთანაც ასეთი სხვაობით ამიტომ დავმარცხდით.

ვიცი, ახლა იტყვიან, 31 ქულით დამარცხება რა ამბავია, თანაც დანიას ოთხივე თამაში წაგებული ჰქონდაო, მაგრამ თუ დამიჯერებთ, გეტყვით, რომ დანიელები თუ მეტი არა, არავისზე ნაკლებნი არ ყოფილან. თვით ბელგიელებსაც არაფრით ჩამოუვარდებოდნენ, უბრალოდ, არასახარბიელო კალენდარი ერგოთ და ჩვენი არ იყოს, მათაც არ გაუმართლათ.

მიუხედავად იმისა, რომ დანიამ ჩვენს წინააღმდეგ ძალიან კარგად ითამაშა და ღირსეულად მოგვიგო, ვფიქრობ, აქ სხვა მექანიზმიც მუშაობდა. ცბიერმა პორტუგალიელებმა, როგორც ჩანს, ეს ვარიანტიც დააზღვიეს, ვინიცობაა თავად ირლანდიასთან წაეგოთ, გარკვეული შანსები მაინც რჩებოდათ.

დასანანი იყო პირველი მარცხი შვეიცარიასთან. 22 ქულის ნაცვლად 10-11 ქულაც რომ წაგვეგო, ასეთ დღეში აღარ აღმოვჩნდებოდით, რადგან ჩვენი, შვეიცარიის და პორტუგალიის თანაბარქულიანობის შემთხვევაში ბურთების უკეთესი მაჩვენებლით სამეულში მაინც გავაღწევდით. მოთამაშეებმა სასტარტო მღელვარებას ვერ გაუძლეს და ინიციატივა თავიდანვე დავთმეთ. გამოჩნდა, რომ თავდასხმა შეუთამაშებელი იყო, რასაც დაცვის არცთუ კარგი თამაშიც დაერთო. მეორე ტაიმში კიდევ შევძელით მობილიზება, თორემ სხვაობა უფრო კატასტროფული იქნებოდა.

ამის მიზეზების რკვევას, ალბათ, მაინც უსახსრობასთან მივყავართ. გუნდმა 10-დღიანი შეკრება კი გაიარა, მაგრამ ლეგიონერები ბოლოსლა შემოგვიერთდნენ.

უფულობის გამო არ მოხერხდა ბელარუსის ტურნირზე გამგზავრებაც. გამოდის, რომ გუნდს აკლდა სათამაშო პრაქტიკა, რაც აუცილებელია ასეთი სერიოზული ტურნირის წინ. აი, თავიდათავი შვეიცარიასთან წაგებისა.

და მაინც, მიუხედავად გამარჯვებისა, ყველაზე მეტად პორტუგალიასთან შეხვედრა განვიცადეთ. ჩვენ მათთვის აუცილებლად უნდა მოგვეგო და თანაც არანაკლებ 12 ქულისა, მატჩის დამთავრებამდე 30 წამით ადრე 14 ქულასაც ვიგებდით, მაგრამ ამუშავდა მსაჯთა ფაქტორი და მიზანსაც მიაღწიეს. საბოლოოდ 10 ქულით ვიმარჯვეთ. არადა, ის სხვაობა რომ შეგვენარჩუნებინა, შემდეგ კი დანიისთვის მოგვეგო, თავი ქუდში გვექნებოდა.

შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ პორტუგალიის მიღმა კიდევ სხვა გუნდი იდგა. ამაში მათ 29-კაციან დელეგაციას ვგულისხმობ. ეშმაკური და ფარული მაქინაციებით მათ დიდად შეუწყვეს ხელი თავისიანთა წარმატებას.

საბოლოო ჯამში გუნდის თამაშით მაინც კმაყოფილი ვარ. მოთამაშეებმა არნახული შემართებით იბრძოლეს, რაც შეძლოთ, ყველაფერი გაიღეს და ამას მათ არასდროს დავუკარგავ. იქნებ ჩვენი სანაკრებო ურთიერთობა აღარც გაგრძელდეს, მაგრამ ცხოვრება ხომ გრძელდება კალათბურთიც თავის გზით მიდის.

თვალი გადავავლე ნაკრებში ჩემს მოღვაწეობას და ვამბობ, რომ მწვრთნელების მხრიდან ვერ ვხედავ ისეთ სტრატეგიულ შეცდომას, რაც ნაკრების დამარცხებას განაპირობებდა. შემიძლია ახლავე დავტოვო დარბაზი და ამ საკითხზე თავად კალათბურთელებმაც გამოთქვან თავიანთი აზრი.

ვერაფრით დავეთანხმები მათ, ვინც ფიქრობს, რომ ამ წაგებით ქვეყანა დაიქცა და ქართული კალათბურთი მოკვდა. მოთამაშეთა სადღეისო განწყობაც ძალიან პესიმისტურია, მაგრამ მე, როგორც მწვრთნელი, შევეცადე, დამერწმუნებინა ისინი, რომ ჯერ ყველაფერი წინ აქვთ. ისინი ხომ ჯერაც ძალიან ახალგაზრდები არიან და ამ ეტაპზე მათი კალათბურთიდან წასვლა პირიქით, საზიანოც იქნება ქვეყნისთვის.

ვიცი, ჟურნალისტებს დაგაინტერესებთ, თუ ვის დავასახელებ ჩვენგან საუკეთესო მოთამაშედ. იქნებ არც იყოს ამის აუცილებლობა, მაგრამ გუნდში არსებული მეგობრული და ძმური ატმოსფერო ამის უფლებას მაძლევს და ვფიქრობ, არც არავის ეწყინება. შვეიცარიის ტურნირზე საუკეთესო თამაშით და შემართებით მე პირადად აჩიკო ჟღენტს გამოვარჩევდი. ჟღენტმა მართლაც რომ ღირსეულად ითამაშა."

ამის შემდეგ ჟურნალისტების ჯერიც დადგა. კითხვაზე, თუ როგორ იყო მწვრთნელი პირობაზე, როცა გამგზავრების წინ წარუმატებლობის შემთხვევაში ნაკრებიდან წასვლაზე განაცხადა, მოსეშვილმა მოკლედ უპასუხა:

„ჯერ ისედაც ნაკრებს ორი წელი თამაში არ უწევს. ამ წაგების გულისთვის კალათბურთიდან ნამდვილად არ წავალ, მაგრამ აღმასკომის სხდომა თუ გადაწყვეტს, პოსტს დავტოვებ. თუმცაღა მთლიანად ქართული კალათბურთისთვის აჯობებს, თუ ჩემი ნაკრებიდან წასვლა არგუმენტირებული იქნება. და თუ ჩათვლიან, რომ მე გუნდს ვჭირდები, დავრჩები და შეძლებისდაგვარად დავეხმარები."

თავიანთი აზრი სხვებმაც გამოთქვეს.

დავით ბერძენიშვილი, ნაკრების წევრი:

„მე მხოლოდ ერთ რამეს დავამატებ. უფრო სწორად, მინდა თქვენ, ჟურნალისტებს გთხოვოთ, რომ სპორტსმენების მიმართ ნაკლებად კრიტიკულად იყოთ განწყობილნი. ბუნებრივია, უმაგისობასაც არ ვგულისხმობ, მაგრამ აუცილებელია ქვეყნის, აქედან გამომდინარე კი ჩვენი რთული მდგომარეობაც გაითვალისწინოთ. სპორტსმენს სულ რომ იმის ძახილს დაუწყებ, თამაში არ იციო, გული გაუტყდება და უფრო სავალალო შედეგებს მივიღებთ.

აქვე იმასაც დავძენ, რომ ჩვენ, კალათბურთელებს, არაფერი დაგვიშურებია წარმატების მისაღწევად, თუმცა ცოტა ბედიც საჭირო ყოფილა."

დუდუ დადიანი, ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი:

„მინდა, ყველამ გაიგოს, რომ ამ მარცხში უმთავრესი როლი უსახსრობამ ითამაშა. ნაკრები ნამდვილად ვერ მოვამზადეთ ისე, როგორც საჭირო იყო. ფედერაციას მატერიალურად ძალიან უჭირს და თუ ასე გაგრძელდა, ნურავის ექნება პრეტენზია. ის 200 ათასი ლარი, რაც სპორტის დეპარტამენტმა კალათბურთს გამოუყო, ზღვაში წვეთია. ეს ელემენტარული საარსებო თანხაა და მეტი არაფერი.

უახლოეს ხანში შეიკრიბება ფედერაციის აღმასკომი და დავსახავთ გეგმას, რომლის მიხედვითაც შემდგომში ვიმოქმედებთ, მაგრამ ვიმეორებ, უფულოდ არაფერი გამოგვივა."

**გიორგი ბიჭაშვილი**

### ევროპის 2001 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირი

**A ჯგუფი**
კრისტიანსანდი (ნორვეგია). 21-23 მაისი

21 მაისი: ლატვია — ლუქსემბურგი 106:65, ჰოლანდია — ნორვეგია 94:63
22 მაისი: ლატვია — ჰოლანდია 92:74, ლუქსემბურგი — ნორვეგია 97:82
23 მაისი: ჰოლანდია — ლუქსემბურგი 96:62, ლატვია — ნორვეგია 114:74

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ლატვია | 3 | 3 | 0312:213 | 6 |
| ჰოლანდია | 3 | 2 | 1264:217 | 5 |
| ლუქსემბურგი | 3 | 1 | 2224:284 | 4 |
| ნორვეგია | 3 | 0 | 3219:305 | 3 |

*ლატვია და ჰოლანდია ითამაშებენ შესარჩევ ტურნირში*

**C ჯგუფი**
პრევიდჟა (სლოვაკეთი). 19-23 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბელარუსი | 5 | 4 | 1364:339 | 9 |
| სლოვაკეთი | 5 | 4 | 1400:311 | 9 |
| ისლანდია | 5 | 3 | 2367:338 | 8 |
| რუმინეთი | 5 | 3 | 2375:349 | 8 |
| კვიპროსი | 5 | 1 | 4328358 | 6 |
| უელსი | 5 | 0 | 5341:480 | 5 |

*ბელარუსი, სლოვაკეთი და ისლანდია ითამაშებენ შესარჩევ ტურნირში*

1999 NBA PLAYOFFS

პლეი ოფი. მეორე წრე (ოთხ მოგებამდე)

# სად [illegible] უშვებდით ვან განდის?

### აღმოსავლეთი

**ატლანტა — ნიუ იორკი 0:4**

24 მაისი

**ნიუ იორკი 79:66 ატლანტა**

ნიუ იორკი: ვორდი (5), ჰიუსტონი (19), ტომასი (8), ჯონსონი, იუინგი (17 ქულა, 9 მოხსნა); სპრიუელი (11), კემბი (8), ჩაილდსი (6), დადლი (3 ქულა, 8 მოხსნა), ვილიამსი (2), ბრანსონი

ატლანტა: ბლეილოკი (7), სმიტი (14), კროუფორდი (4), ლონგი (8 ქულა, 11 მოხსნა, 6 ჩაჭრა), მუტომბო (11 ქულა, 11 მოხსნა); მაკლეოდი (10), გრეი (6), ვესტი (6), კორბინი, ჯონსონი

გამოვლინდა აღმოსავლეთ კონფერენციის მეორე ფინალისტიც. „ნიუ იორკ ნიქსმა" სულ რაღაც ოთხი თამაში მოანდომა „ატლანტა ჰოქსს", ისევე როგორც მისმა მომავალმა მეტოქე ინდიანამ — ფილადელფიას. ნიუ იორკმა ამით ფურორი მოახდინა — ჯერ პირველ ნომრად განთესილ მაიამის გამოუყვანა წირვა, მას სულ იოლად მიაყოლა ატლანტა და კალათბურთის ეროვნული ასოციაციის მრავალწლიან ისტორიაში მერვე ნომრად განთესილი პირველი გუნდი გახდა, რომელმაც კონფერენციის ფინალში გასვლა მოახერხა.

მეორე წრეში ნიუ იორკმა იმდენად იოლად დაჩაგრა მეტოქე, თითქოს ეს ატლანტა კი არა ლიგის ბოლო გუნდი ყოფილიყოს. ჯორჯიულ გუნდს ჰყავს საკმაოდ მძლავრი ვარსკვლავური შემადგენლობა, მაგრამ ნიუიორკელებთან ხელ-ფეხი დაებორკათ. საინტერესოა, მწვრთნელთა დაპირისპირება. „ჰოქსს" სათავეში უდგას ლენი ვილკენსი, რომელიც ლამის სამი ათეული წელია, ლიგის გუნდებს წვრთნის და ამ რანგში ყველაზე მეტი თამაში მოუგია. სამაგიეროდ, ნიუ იორკის დამრიგებელი თავის პოსტზე 1995 წელს დაინიშნა გუნდიდან ლეგენდარული პატ რაილის წასვლის შემდეგ ამ პლეი ოფში არცთუ გამოცდილმა ჯეფ ვან განდიმ აჯობა როგორც ლენი ვილკენსს, ასევე პატ რაილის (პირველ წრეში).

არადა, ცოტა ხნის წინ ვან განდის სკამის დაკარგვის რეალური საფრთხე ემუქრებოდა. თურმე „ნიუ იორკ ნიქსის" პრეზიდენტსა და გენერალურ მენეჯერ დეივ ჩეკიტსს, რომელიც ამავდროულად „ნიქსის" შინაური სარბიელის, ცნობილი „მედისონ სკვერ გარდენის" პრეზიდენტიც გახლავთ, გულში ჰქონია ამოჩრილი გუნდის ახლანდელი მწვრთნელის გაშვება და მის ადგილზე 90-იან წლებში დიადი ჩიკაგოს ექვსგზის გამჩემპიონებელი ფილ ჯეკსონის დანიშვნა. ჯეკსონი ძველი ყოვლისშემძლე „ბულზის" დაშლის შემდეგ უმუშევრადაა და ჩეკიტსი თავისთან ეპატიჟებოდა, მასთან მოლაპარაკებებსაც აწარმოებდა, თუმც ოფიციალურად ამას უარყოფდა. ორშაბათს დილით კი ნიუ იორკ — ატლანტის სერიის ბოლო, მეოთხე თამაშის დაწყებამდე გულისნადები ველარ დამალა და საქვეყნოდ განაცხადა, კი ვაპირებდი ვან განდის დათხოვნას და ჯეკსონის მოყვანასო, მაგრამ აი, თამაშის შემდეგ საბოლოოდ თუ არა, კარგა ხნით მაინც შეიცვალა აზრი. ნიუ იორკმა შავი დღე აყარა მეტოქეს. ასე რომ, ვან განდიმ შეინარჩუნა ადგილი. შემდგომში მან და ჩეკიტსმა კარგა ხანს ისაუბრეს და... ფილ ჯეკსონი კვლავ უმუშევრად დარჩა. აღსანიშნავია, რომ ამ ამბების შემდეგ საკმაოდ რეპუტაციაშელახული პრეზიდენტ ჩეკიტსის გარდა არავის სურდა კეთილ, მხიარულ და ემოციურ ვან განდისთან განშორება. ამ თამაშზე „მედისონ სკვერ გარდენში" ორი ათეული ათასი თავდადებული გულშემატკივარი მთელი მატჩის განმავლობაში მოითხოვდა მის დარჩენას და საყვარელი გუნდის საყვარელ მწვრთნელს უმღეროდა. არც შეგირდებს დასცდენიათ რაიმე აუგი. ლარი ჯონსონმა თავის დამრიგებელს ერთ-ერთი უძლიერესი მწვრთნელი უწოდა. მას გუნდის შეკრა ეხერხება და მოთამაშეებს თავიანთი საუკეთესო თვისებების ბოლომდე გამომჟღავნებაში ეხმარებაო. გუნდის ლიდერმა ბებერმა პატრიკ იუინგმა თქვა, სწორედ მის გამო დავდეთ თავი და ახლა მოხარული ვარ, რომ ჯეფი კვლავ ჩვენთანაა. ისიც დაამატა, ფილ ჯეკსონის რომ მისი (ვან განდის) ადგილი დაეკავებინა, საერთოდ სხვა გუნდში გადავბარგდებოდიო. როცა თავად ვან განდის სთხოვეს კომენტარს მის გარშემო შექმნილი აჟიოტაჟის თაობაზე, მას დანა პირს არ უხსნის. მხოლოდ იმას ამბობს, ბედნიერი ვარ ასეთი მხარდაჭერისთვისო. მას, როოგორც პროფესიონალს, ახლა მთელი გულისყური მომავალი სერიისკენ აქვს მიპყრობილი. „ინდიანა ატლანტა არაა — ამბობს იგი — ჩვენ გაცილებით ძლიერ და გამოცდილ მეტოქესთან გვაქვს საქმე და წარმატებისთვის ყველაფერს ვიღონებთ, თუმცა ეს ისე იოლი არ იქნება". ნიუ იორკი ბოლოს 1994 წელს შეხვდა ინდიანას, მაშინაც კონფერენციის ფინალში და ერთობ დაძაბული სერია 4:3 მოიგო 2:3 ჩამორჩენის შემდეგ. ენახოთ, ამჟამად მოედნის უპირატესობა ნიუ იორკის მეტოქე გუნდის სასარგებლოდ მუშაობს, ინდიანას კი შინ აგერ 12 საპლეიოფო თამაშია, არ წაუგია.

**ირაკლი ფირაშვილი**

## დანლივი — წლის მწვრთნელი

„პორტლენდ თრეილ ბლეიზერსის" მწვრთნელი მაიკ დანლივი დაასახელეს წლის საუკეთესო მწვრთნელად. მან 118 ხმიდან 54 მიიღო. მეორე ადგილზე გავიდა ფილადელფიას დამრიგებელი ლარი ბრაუნი (23), მესამეზე — იუტელი ჯერი სლოუნი (15).

დანლივის ხელში პორტლენდმა 35 მატჩი მოიგო, რაც ლიგის მესამე შედეგია. შინ 25-დან 22-ჯერ გაიმარჯვა (88 პროცენტი), ხოლო სტუმრად 25-დან 13-ჯერ (52 პროცენტი). 1992 წლის შემდეგ „თრეილ ბლეიზერსმა" პირველად მოიპოვა წყნარი ოკეანის დივიზიონის ჩემპიონობა. პორტლენდი მატჩში საშუალოდ 94,8 ქულას აგროვებდა, ხოლო მეტოქეს 88,4-ს აგდებინებდა.



მაიკ დანლივი

წლის საუკეთესო მწვრთნელის ჯილდო ლეგენდარული რედ აუერბახის სახელობისაა. ამ კაცმა მწვრთნელობისას ცხრაჯერ გააჩემპიონა „ბოსტონ სელტიქსი" (50-60 წლებში), ხოლო ამჟამად ამავე კლუბის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეა. აღნიშნული ტიტული 1963 წლიდან თამაშდება. წლის საუკეთესო მწვრთნელად ორჯერ აღიარეს ჯინ შუ (1969 — ბალტიმორი, 1982 — ვაშინგტონი), ფილ ფიჩი (1976 — კლივლენდი, 1980 — ბოსტონი) და კოტონ ფიცსიმონსი (1979 — კანზას სიტი, 1989 — ფინიქსი); სამჯერ — დონ ნელსონი (1983 — მილუოკი, 1985 — მილუოკი, 1992 — გოლდენ სტეიტი) და პატ რაილი (1990 — ლეიკერსი, 1993 — ნიუ იორკი, 1997 — მაიამი).


კობა გოგოლაძე

ლონდონში, ცნობილი ბრიტანელი მოკრივის ლენოქს ლუისის კოლეჯში, რომ ორი ქართველი — გიორგი კანდელაკი და კობა გოგოლაძე ვარჯიშობს, ამაზე უკვე გაცნობეთ. კანდელაკის პროფესიონულ ბრძოლებზე კი დაწვრილებით გაუწყებთ ხოლმე და ვფიქრობ, ვარიანელი მოკრივის ქომაგთა ინტერესს შეძლებისდაგვარად ვაკმაყოფილებთ. კობა გოგოლაძეზე კი ამასწინათ გაუწყეთ, ახლახან ჩავიდა ლონდონს და ვარჯიშსაც შეუდგაო. გუშინწინ გიორგი კანდელაკს ლონდონში რომ დავუკავშირდით და ფრანგ რამონ ფელიქსთან გამართულ შეხვედრაზე ვესაუბრეთ, მერე კობაც მოვიკითხეთ, მაგრამ იგი შინ არ დაგვხვდა — ახლა ვარჯიშზეა და გვიან დაბრუნდება, ხვალ დილით დარეკეთ, კობა სახლში იქნებაო — გვითხრა კანდელაკმა. ჩვენც აღარ დაგვიხანებია, გუშინ კვლავ შევეხმიანეთ ლონდონში ქართველ მოკრივეთა სამყოფელს და კობა გოგოლაძესაც ვესაუბრეთ.

# გოგოლაძე ჯერ მხოლოდ სპარინგ-მეტოქეებს დაერია

**— კობა, როგორც ვიცი, კონტრაქტზე ხელი უკვე მოაწერე.**

— კონტრაქტს მამუკა წიკლაურის დახმარებით კარგად გავეცანი, ყველაფერი ავწონ-დავწონე და მხოლო ამის მერე მოვაწერე ხელი. კონტრაქტი სამწლიანია, ამ ხნის მანძილზე ჩემი მენეჯერი ფრენკ მელოუნი ვალდებულია, ჩემთვის მეტოქეები შეარჩიოს და ბრძოლებიც მოაწყოს. მე კი, აბა, სხვისი თქმა რად მინდა, თავდაუზოგავად უნდა ვივარჯიშო და პროფესიულ რინგზე თავი გამოვიჩინო.

**— სამიოდ კვირაა, ლენოქს ლუისის კოლეჯში ვარჯიშობ და პროფესიული კრივის გარემოში ტრიალებ. დიდი განსხვავებაა სამოყვარულო და პროფესიულ კრივს შორის?**

— ჯერ მაგაზე ვერაფერს ვიტყვი, რადგან ოფიციალური ბრძოლა არ ჩამიტარებია. ისე კი, აქ ისეთი ვარჯიშებია, ისეთი სპარინგები იმართება, რომ სამოყვარულო კრივში არც დაესიზმრება კაცს. ლუისის კოლეჯში ბევრი მოკრივე ემზადება, ყველას თავისი ძალის დამტკიცება სურს. ამიტომაცაა, ვარჯიშებზე ერთმანეთს არავინ ინდობს.

**— შენც დაგინოკაუტებია ერთი სპარინგ-მეტოქე.**

— კი, ეგრე იყო. მესამე რაუნდში მაგრად მოვარტყი და ფეხზე ველარ ადგა.

**— დღეში რამდენჯერ ვარჯიშობ?**

— ორჯერ, დილით და საღამოს, მაგრამ ხანდახან მწვრთნელის მოთხოვნით დამატებითაც ვვარჯიშობ. ძირითადი აქცენტი ფიზიკურ მომზადებაზე მაქვს გადატანილი. პროფესიონალებში ხომ რაუნდების რაოდენობა მეტია და, თუ მოკრივე გამძლეობაში მოიკოჭლებს, წასულია მისი საქმე.

**— მწვრთნელი ალბათ ბულგარელი ტაკოვია, კანდელაკის ამჟამინდელი დამრიგებელი...**

— ასეა. კონტრაქტის მიხედვით ბულგარელ ტაკოვს გიორგისთან ერთად ჩემი გაწვრთნაც დაეკისრა. ჩინებული სპეციალისტია, საქმის მცოდნე, პროფესიული კრივის წვრილმანებიც კარგად იცის. ბევრ მოკრივეს გაუკაფა გზა პროფესიული რინგისკენ და, ალბათ, მისი რჩევები მეც დიდად წამადგება.

**— პირველი ბრძოლის ჩატარებაზე ჯერ არაფერი უთქვამთ?**

— სავარაუდოდ, 22 ივნისს ან 8 ივლისს ვიჩხუბებ, იქამდე ბევრიც არაა დარჩენილი. ამიტომაცაა, გულმოდგინედ რომ ვვარჯიშობ, მინდა, პირველი შეხვედრა კარგად ჩავატარო და ყველას თავი დავამახსოვრო.

**— ის თუ გადაწყვიტე, რომელ წონაში გამოხვალ?**

— მოყვარულებში 60 კილოგრამ წონაში ვასპარეზობდი, პროფებში კი 59 და 61 კილოგრამი წონებია. ჯერ არ ამირჩევია, რომელ წონაში ვიბრძოლებ, თუმც ამის გადაწყვეტა მარტო ჩემზე არაა დამოკიდებული. მწვრთნელი და მენეჯერიც თავის სიტყვას იტყვიან და მხოლოდ ამის მერე გაირკვევა ეს ამბავი.

**— კობა, გიორგისთან ხარ და ერთად არ მოიწყენთ, თავისუფალი დრო ბევრი არ გექნებათ, მაგრამ, მაინც, როცა ვარჯიშისგან თავს დაიხსნით, დროს როგორ ატარებთ?**

— ვარჯიშიდან ძალიან დაღლილნი მოვდივართ და გართობის თავი ნაღდად არ გვაქვს, თუმც კოლეჯში ყველა პირობაა იმისთვის, რომ იქვე ნორმალურად დაისვენო და თავი ათასგვარი გასართობით შეიქციო. მეც ხანდახან ბილიარდის კიას ავიღებ ხელში, ხანაც, თუ ამის შესაძლებლობაა, ლონდონის ქუჩებში ვსეირნობ. მართლაცდა, საოცარი ქალაქი ყოფილა ინგლისის დედაქალაქი.

**სოსო ძოტორეიშვილი**

# ის აქ არის!

## შეწყალებულმა მაიკ ტაისონმა უნდა დაამტკიცოს, რომ სრულ ჭკუაზეა


REUTERS

მაიკ ტაისონს ციხის კარი გაუღეს

ჯერ მონტგომერის საგრაფოს დაკავების კომისიის ქაღალდს ბეჭედი და ხელმოწერები არ შეშრობია ხეირიანად, მაიკ ტაისონს კი უკვე ციხის კარი გაუღეს. ამგვარი სწრაფი გათავისუფლება ისეთი მოულოდნელი აღმოჩნდა ყველასთვის, რომ მრავლისმცოდნე ამერიკულ მედიასაც კი დღე გაუცდა — მხოლოდ რამდენიმე ტელეკამერა აღბეჭდავდა ციხის კარიდან რკინის მაიკის გამოსვლას.

სამხრობისას, ოთხ საათზე, შავებში ჩაცმულ ტაისონს პირადი მცველი გამოუძღვა გარეთ და ლიმუზინში ჩასვა. ბობოქარი მოკრივის ასრვაღლიანი პატიმრობა დასრულდა, თუმცა, ოთხ ივნისამდე ტაისონმა რამდენიმე შემოწმება უნდა გაიაროს და, ასე ვთქვათ, სრულ ჭკუაზე ყოფნის საბუთი მიიღოს. მაგრამ ეს შემოწმებები ახლა მღერად უჩანს ტაისონს, რომელიც უკვე მეოთხედ და ალბათ უკანასკნელად, დაუბრუნდება რინგს.

მისი ვექილი პოლ კემპი აცხადებს, რომ მაიკი მადლიერია კომისიისა, რომელიც ადამიანურად მოეპყრო და თვლის, რომ ციხეში ყოფნა კარგი გაკვეთილია მისთვის. მერამდენე „კარგი გაკვეთილია" ეს ამბავი ტაისონისთვის, კემპს აღარ გაუხსენებია. სამაგიეროდ, ტაისონის მდივანმა პიტერ სელიჯმენმა გამოაცხადა, რომ მაიკს ძალიან მალე ვიხილავთ რინგზე და ტაისონისავე დანაბარებით საჯაროდ შეაქო მოკრივის მეუღლე მონიკა ტარნერი და „ყოველი მხარდამჭერი ამ რთულ საქმეში".

**ალბერტ ხაჩატურიშვილი**




REUTERS ლონდონიდან

ლოურენს დალალიო: ამ კაცზე ამბობენ, ნარკომანიაო


ინგლისის მორაგბეთა ნაკრების მწვრთნელ კლაივ ვუდვორდს დალალიოს ნარკომანობა არ სჯერა

# ნარკომანი დალალიო? რაც არ არი, არ არიო

ზეპურ რაგბეთში კარგა ხანია ეგეთი სკანდალი აღარ მომხდარა... არადა, სკანდალია, აბა რაა, როცა ინგლისის სარაგბო ნაკრების კაპიტანსა და კლუბ „უოსფსის" შეუცვლელ მობურთალ, ლოურენს დალალიოს ნარკოტიკების მოხმარებასთან ერთად ბარე ბარიგობაც ბრალდება. ეგეთ ამბავს დაწინაურებულ დასავლეთში სწორედ მაგ სიტყვას უწოდებენ და თქვენ თუ გული მაინც სხვას გეუბნებათ, ეგ ჩვენ არ ვიცით.

მაგრამ, მეორეს მხრივ და როგორ თუ გულმა სხვა არაფერი გითხრას, როცა, ჯერ ერთი, ამ ინფორმაციის წყაროდ და გამავრცელებლად მსოფლიოს მედია-ვეშაპის, რუპერტ მერდოქის კუთვნილ „ნიუს ოფ ზე უორლდს" ასახელებენ (მერდოქის იმპერია კი საინფორმაციო ბაზარზე როგორღაც არცთუ ფაიზალი იმიჯით სარგებლობს), ხოლო მეორეც, თავად ბრალდებულს ისეთ ნაღდ და ჰალალ მორაგბედ იცნობ, რომ მეტი არ იქნება. ჰოდა, გამოდის, რომ გაზეთი თავისას ამბობს, დალალიო თავისას, გული კიდევ, მართალია, სანდო არასოდეს არაა, მაგრამ მაინც უკანასკნელს უფრო ენდობა.

გაზეთი კი აი, რას ამბობს:

1997 წელს „ბრიტანელ ლომებთან" ერთად სამხრეთ აფრიკაში სტუმრობისას ლოურენს დალალიოს, თავად მისივე აღიარებით, თურმე რაგბის გარდა თავი კოკაინის ყნოსვითა და აბების ყლაპვითაც შეუქცევია; რომ ეს ამბავი მისთვის უცხო ხილი არასოდეს ყოფილა — სიჭაბუკეში თვითონაც მაგრად კაიფობდა და საჭიროებისამებრ სხვებსაც აკაიფებდა, ხოლო ამსტერდამში ცხოვრებისას პროსტიტუტკებთან დროსტარებისა და წამლის კეთების მეტი ხომ საერთოდაც არაფერი უკეთებია.

ინგლისელთა კაპიტანი (უფრო სწორედ კი კაპიტანყოფილი, რადგანაც დალალიომ საქმის საფუძვლიანად გამორკვევამდე, ნაკრებისათვის ჩრდილის არმიყენების მიზნით, სამკლაურის დათმობა ამჯობინა), ცხადია, ამ ბრალდებებს კატეგორიულად უარყოფს და მათ უაზრო მონაჩმახს უწოდებს. მისი თქმით, მას ნარკოტიკებთან საქმე არასოდეს ჰქონია (და, რომც ჰქონოდა — ეს უკვე ჩვენი აზრია — ამის შესახებ საჯაროდ მსჯელობას მოერიდებოდა). ეს მით უფრო, რომ როგორც დალალიო აცხადებს, გაზეთს უზურში მასთან მავანი სარფიანი სარეკლამო კონტრაქტის გაფორმება ჰქონია.

ასეა თუ ისე, ამ კვირაში ავსტრალიაში ერთ-ტესტა ტურნისათვის ჩასასვლელ ინგლისელთა ნაკრებს ვინმე სხვა უკაპიტნებს. მაგრამ რაწამს სკანდალს ბოლო მოეღება და დალალიოს კეთილ სახელსაც ლაფი ჩამოეწმინდება, 1997 წლის ოქტომბრიდან კაცურად ნატარებ სამკლაურს იგი უეჭველად დაიბრუნებს. ამის გარანტი ინგლისის სარაგბო კავშირის მამები არიან, რომლებიც ბიჭს გუშინ ოთხი საათის განმავლობაში გასაუბრებიან და ნაკრების მწვრთნელის, კლაივ ვუდვორდისა არ იყოს, „მის სრულ უდანაშაულობაში" დარწმუნებულან.

**არტემ ჩაჩანიძე**

# ჯვაროსნები ქარიშხლიან გზაზე

**ზე-12. ნახევარფინალები**

| კეიპტაუნი. 22 მაისი | ბრისბენი. 22 მაისი |
|---|---|
| **კეიპტაუნი — დანიდინი** | **ბრისბენი — კრაისტჩერჩი** |
| 18:33 (18:22) | 22:28 (6:15) |
| კეიპტაუნი: 2 ლ — პალსი, მარაისი; 1 გ და 2 ს — ვან სტრაატენი | ბირსბენი: 1 ლ — ჰორანი; 1 გ და 5 ს — სპუნერი |
| დანიდინი: 4 ლ — ლიმა, კელეჰერი, როპატი, რენდელი; 2 გ და 3 ს — ბრაუნი | კრაისტჩერჩი: 4 ლ — ფიკი, რალფი, მაკდონალდი, რობერტსონი; 2 გ და 2 ს — მერთენსი |

ზედიზედ მეორე წელია, ფინალი ახალზელანდიური კლუბების მონაწილეობით იმართება. შარშან „კრაისტჩერჩმა" ჩემპიონის ტიტული ოკლენდთან ბრძოლაში მოიპოვა. წლეულს „ჯვაროსნებს" ფინალში „დანიდინის" წინააღმდეგობის დაძლევა მოუწევთ. ფინალამდე კი ახალზელანდიელებმა სამხრეთაფრიკელებს და ავსტრალიელებს სძლიეს. შარშანდელი ჩემპიონები, კრაისტჩერჩელი „ჯვაროსნები" სტუმრად „ბრისბენს" ხვდებოდნენ. რეგულარული ჩემპიონატის გამარჯვებულებს, ბრისბენელ „წითლებს" ამ მატჩშიც გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდნენ, მით უმეტეს, საკუთარ სარბიელზე თამაშობდნენ, მაგრამ...

„მათ დაიმსახურეს ფინალი. დღეს მეტოქემ ყველაფერში დაგვჩაგრა. მატჩამდე გარკვეული ტაქტიკური გეგმა დავსახეთ, მაგრამ თამაშისას მისი შესრულება ვერ შევძელით და ჩვენი მარცხი ამან გამოიწვია. მთელი გათამაშება ურიგოდ არ გვითამაშია და სამწუხაროა, რომ ნახევარფინალში მოგვეცარა ხელი" — განაცხადა ავსტრალიელთა მწვრთნელმა ჯონ კონოლიმ მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე.

სტუმრები შეხვედრის დასაწყისშივე დაწინაურდნენ და უპირატესობა ხელიდან აღარ გაუშვიათ. ერთადერთხელ იყო, ნათან სპუნერმა ზედიზედ სამი გატანილი საჯარიმოთი მეორე ტაიმის დასაწყისშივე ანგარიში 15:15 რომ გახადა. პირველი ტაიმი კი ახალზელანდიელებმა 15:6 მოიგეს. ამავე ნახევარში გატანილ ორ ლელოს სტუმრებმა მეორეშიც ამდენივე მიამატეს, რასაც მასპინძლებმა ტიმ ჰორანის ერთადერთი ლელოთი უპასუხეს.

მეორე ნახევარფინალში „დანიდინმა" ასევე სტუმრად „კეიპტაუნი" დაამარცხა. მატჩის დაწყებამდე შვიდი საათით ადრე ჯერ კიდევ სათუო იყო, გაიმართებოდა თუ არა მატჩი, რადგან სამხრეთაფრიკელი მორაგბეები პრემიალური 3200 დოლარის ნაცვლად რეგულარულ ჩემპიონატში მეორე ადგილის დაკავებისთვის 4000 დოლარს ითხოვდნენ. ჰოდა, სანამ კუთვნილი არ მიიღეს, თამაშზე არ გადიოდნენ. „მოჯანყეეთა" თავკაცი ალან სოლომონზი მერე კი ამბობდა, ყოველ მიზეზგარეშე ვითამაშებდით, ჩვენი ქვეყნის სარაგბო პრესტიჟი რომ არ დაკნინებულიყო, მაგრამ...

საწყისი შვიდი წუთის მერე მასპინძლები 11:0 იგებდნენ. ამის შემდეგ კი დაიწყო მათი განადგურება, რომელიც შეხვედრის ბოლომდე არც დასრულებულა. ამ დროში სამხრეთაფრიკელებმა 7 ქულის მოპოვება შეძლეს, სტუმრებმა კი 33-ის. და ახლა „ქარიშხლები" 29 მაისს, ფინალურ მატჩში, საკუთარ სარბიელზე შარშანდელ გამარჯვებულ „კრაისტჩერჩს" დაუპირისპირდებიან.

**პაატა თოთაძე**


REUTERS კეიპტაუნიდან

დანიდინელი ბრენდან ლენი (ბურთით) მასპინძელ პიტერ როსოუს გაურბის

**საქართველოს ჩემპიონატი. მეხუთე ტური**

თბილისი. ვარკეთილი. 25 მაისი

**ყორჩები — ლოკომოტივი 2**

წესით და რიგით, ეს მატჩი სამი დღის წინ უნდა გამართულიყო, მაგრამ ვარკეთილის სტადიონზე სასმელი წყლის მილი რომ გასკდა, უკვე გაუწყეთ და... მოკლედ, მატჩი გუშინ, 6 საათზე უნდა გამართულიყო. გამართულიყოო, იმიტომ ვამბობთ, რომ შვიდი საათისთვის შეხვედრა ჯერაც არ იყო დაწყებული. დაწვრილებით ამ მატჩის გამართვა-არგამართვის თაობაზე ხვალინდელ „სარბიელში".

ჯომოლუნგმას ორთავ მხარეს

# ფერისცვალება მთაში

ჰიმალაის გოლიათ მწვერვალებზე დღე-დღეზე დასრულდება მთამსვლელთა წლევანდელი საგაზაფხულო სეზონი. ზოგი ექსპედიციის წევრებმა მიაღწიეს მიზანს, ზოგიც ხელმოცარული ბრუნდება, რამდენიმე მთამსვლელმა კი, საუბედუროდ, სამუდამო სასუფეველი იმ თოვლყინულებში ჰპოვა. ჰიმალაის მთებში ახლა თითო-ოროლა ექსპედიციაღა დარჩა, მათ შორის დედამიწის უმაღლეს მწვერვალზე მოიერიშე ქართველების, რომელიც თავისი შემადგენლობით საერთაშორისოა და გია თორთლაძე მეთაურობს.

ამ ექსპედიციამ, რომელიც, ბოლო ცნობით, ჯერ არ ასულა ჯომოლუნგმაზე, მთამსვლელთა საზოგადოებისა და პრესის ყურადღება სამი რამის გამო მაინც მიიპყრო. აღნიშნავენ, რომ მისი ქართველი წევრები, როგორც გუშინდელ „სარბიელში“ ვიუწყებოდით, „საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად სხვა ექსპედიციების ხიფათში ჩავარდნილ წევრებს ეხმარებიან“.

თორთლაძის გუნდს ინტერესი იმითაც დაუმსახურებია, რომ „იგი არის ერთ-ერთი უდიდესი ექსპედიცია, რომელიც ახლა 34 კაცს აერთიანებს“.

ამ ექსპედიციის მიმართ ინტერესი ძალზე გაუზრდია იმასაც, რომ მას „მნიშვნელოვანი მხარდაჭერა აქვს შერპ მთამსვლელთაგან, რომელთა შორის არის ევერესტის ცხრაგზის დამლაშქრავი აპა შერპა და თუ იგი ახლაც მიაღწევს მიზანს, თანამემამულე ანგ რიტას მსოფლიო რეკორდს გაიმეორებს.

ჯომოლუნგმაზე ქართველთა ამ პირველ ექსპედიციას, როგორც ინტერნეტში მოძიებული მასალების მიხედვით ვგებულობთ, შემადგენლობის მხრივ დიდი ფერისცვალება განუცდია.

როგორც თავის დროზე ვიუწყებოდით, თავდაპირველად ამ ექსპედიციაში 34-ის ნაცვლად 29 კაცი იყო, მათ შორის 8 ქართველი, 4-4 ამერიკელი და იაპონელი, 2 ფრანგი, 1 ბელგიელი და 9 შერპი მთამსვლელი. ექსპედიციის მსვლელობისას მათ შეუერთდა 2-2 ავსტრიელი და იუგოსლავიელი და ერთიც პოლონელი ალპინისტი, რამაც ეს ლაშქარი 33 კაცამდე გაზარდა.

ახლა, როგორც ვთქვით, ექსპედიციაში ერთით მეტი მთამსვლელია, მაგრამ შემადგენლობა ძალზე შეცვლილი — ქართველები ისევ რვანი დარჩნენ. გუნდში არის კიდევ სამი ამერიკელი, მათ შორის ექსპედიციის მეთაურის მოადგილე ფრედერიკ ბარტი, ორ-ორი ავსტრიელი, თითო იაპონელი, იუგოსლავი, ბრიტანელი, სამხრეთაფრიკელი, პოლონელი და... ჩვიდმეტი შერპი (მათგან სამი მზარეულია).

საინტერესოა, რომ თითოეულ მათგანს ამ ექსპედიციის მსვლელობისას მაგიური 8000-მეტრიანი ზღვარი გადაულახავს, მაგრამ რაკი ჩვენი მთამსვლელები კარგა ხანია აღარ შემოგვხმიანებიან, ექსპედიციის ამგვარი ფერისცვალების თაობაზე სავარაუდოდ ჩვენს აზრს გაგიზიარებთ.

ეტყობა, ავდარმა, თანაც მოახლოებულმა მუსონურმა სეზონმა წარმატების იმედი გადაუწურა სამ იაპონელს, ორ ფრანგს, თითო ბელგიელსა და იუგოსლავიელს, რომლებმაც ექსპედიცია მიატოვეს. თუმცა, ზოგისთვის ამის მიზეზი შესაძლოა დაშავებაც გამხდარიყო. მათ ადგილზე მოსული შერპები კი, ეტყობა, უკვე დასრულებული სხვა ექსპედიციებიდან გადმობარგდნენ და ახლა ქართველებთან ერთად სურთ ბედის ცდა.

ქართველებთანო, კი ვამბობთ, თორემ ნეპალიდან მოსულ მასალებში ეს ექსპედიცია იწოდება როგორც იქაურ სააგენტო „აზია ტრეკინგის“ მიერ ორგანიზებული (ასეც იყო) საერთაშორისო ექსპედიცია, რომელიც შემადგენლობის გადახალისების მერე სამ ჯგუფად გაყოფილა. ერთ ჯგუფში, რომელსაც ეწოდება „პირველი ქართული ექსპედიცია ევერესტზე“, არიან: გელა ოთარაშვილი, დავით ჩანტლაძე, მერაბ ნემსიწვერიძე, მამუკა ციხისელი, მერაბ ხაბაზი, ირაკლი უგულავა და კიდევ ექვსი შერპი.

მეორე გუნდს, რომელსაც ჰქვია „ევერესტის საერთაშორისო ექსპედიციის „ა“ ჯგუფი“, არიან: მთელი ექსპედიციის მეთაური გია თორთლაძე, გუნდის ექიმი ზურაბ ასტახიშვილი, იუგოსლაველი მთამსვლელი ზორან მილეტიჩი, ამერიკელი ბარტი, იაპონელი კაცუიუკი ფუკუზავა, რომელიც მთელი ექსპედიციის უხუცესი წევრია (თუ მიზანს მიაღწია, იგი ესპანელ რამონ ბლანკოსა და თბილისელ ლევ სარქისოვის მერე იქნება მესამე მთამსვლელი, რომელმაც სამოცი წლისამ დალაშქრა ჯომოლუნგმა) და 5 შერპი. მათ შორის ყველაზე ახალგაზრდა მთამსვლელია მინგმა შერპა (22 წლის).

მესამე გუნდში, „ევერესტის საერთაშორისო ექსპედიციის „ბ“ ჯგუფად მონათლულში, არიან პოლონელი ქალი ანა ჩერვინსკ (50 წლის), ამერიკელები ჯორჯ დიჯმარესკუ და ფაბრიციო ზანგრილი, ავსტრიელი ცოლ-ქმარი ვილფრედ და სილვია სტუდერები (თუ მიაღწიეს მიზანს, ისინი სლოვაკელი ანდრეი და მართა სტრემფელების მერე გახდებიან მეორე ცოლ-ქმრული წყვილები, რომლებიც ჯომოლუნგმაზე ავიდნენ) ბრიტანელი იან ვუდალი, სამხრეთაფრიკელი კატერინ ო დავდი და ორი შერპი, მათ შორის აპა შერპა.

**ავთანდილ გურასაშვილი**

ჭადრაკი

# ომი ნაომარზე

სარაევოში ორიოდე წლის წინ ბომბები ცვიოდა, ქუჩები გვამებს გაევსოთ და ცეცხლის მოყვითალო ენების ნახვაც არ ჭირდა. მაგრამ ეს მაშინ... შემდეგ წყალნი წავიდნენ და წამოვიდნენ, ყუმბარებსაც მოსწყინდათ მუდამ ერთი ადგილის ტკეპნა და მოძმე რაკეტებთან ერთად აღმოსავლეთისკენ წაინაცვლეს, ხოლო მათგან უკვე „ათვისებულ“ ბოსნიის დედაქალაქში ეს ერთი კვირაა კვლავ შეინიშნება გვამების მოძალება, ოღონდ (საბედნიეროდ) ამჯერად მხოლოდ ჭადრაკის ფიგურებისა.

სარაევოს საერთაშორისო ტურნირი XIX კატეგორიამდე ამაღლდა და, შესაბამისად, მასში მოთამაშე ათეული საგულდაგულოდ შეირჩა. მცირე შესვენების შემდეგ კვლავ დაენახვა მსოფლიოს სწორუპოვარი გარი კასპაროვი და იგი, ცხადია, უდავო ფავორიტია, თუმცა ფინიშამდე 3 ტურით ადრე მაინც ვერ ვიტყვით, რომ ჩემპიონს თავი სანახევროდ მაინც ქუდში აქვს. 6-დან 4 ქულით იგი I-IV ადგილებს იყოფს გაბუტულ შიროვთან, აქამდე კარგახანს უჩინარ ბარეევთან და დოს-ერმანასში ტრიუმფგამოვლილ ადამსთან ერთად. მოკლედ, ჯერ ყველაფერი გასარკვევია, ჩვენ კი ახლა დანარჩენებსაც შევავლოთ თვალი. V ადგილზეა ყრმა რუსი, 22 წლის მოროზევიჩი, ვისზეც ჩვენ უკვე მრავალი ვწერეთ. მოროზევიჩმა საჭადრაკო ელიტისკენ სავალ გზაზე მდგარი ყველა ბარიერი ელვისებურად გადათელა და დოს-ერმანასში თვით ელიტასაც უპირებდა თავის ყმაწვილური ამბიციების დარისხებას, მაგრამ სწორედ მაშინ სიცხემ აუწია და გეგმების განხორციელება მაისამდე გადმოდო. მოროზევიჩი სამი ტურის შემდეგ ერთპიროვნულად ლიდერობდა კიდეც, მაგრამ შემდეგ ცოტათი ჩამორჩა, თუმცა ლიდერებთან მისი ნახევარქულიანი ჩამორჩენის დაძლევაში უჩვეულო არაფერი იქნება. მოროზევიჩს ტოპალოვი მოსდევს, 3 ქულით, იმას კიდევ ლინარესში არშერცხვენილი მეორე ყრმა, უნგრელი ლეკო და მასზე გვარიანად ხანდაზმული, ინგლისელი შორტი მისდევენ კუდში. მე-9 ადგილზე გაბოსნიელებული რუსი სოკოლოვია, ხოლო ბოლო პოზიციის პატრონზე ბოლოს ვიტყვით, მანამდე ის ვიკითხოთ, ანანდი, კრამნიკი და კარპოვი რატომ არ თამაშობენ. რატომ და, ანანდმა დოს-ერმანასული ფიასკოს შემდეგ დასვენების საჭიროება შეიგრძნო და დანარჩენებსაც იგივეს გაკეთება ურჩია. ზესამეული ჯერ ჯანს განიმრთელებს, შემდეგ კი ცალკე „სამთა მატჩ-ტურნირსაც“ გამართავს ე.წ. პროგრესულ ჭადრაკში ანუ კომპიუტერების მხარდაჭერით.

სარაევოში კი ბოლო ადგილზე იან ტიმანია, ვეტერანი ჰოლანდიელი, თავის დროზე საჭადრაკო სამყაროს რომ აზანზარებდა. ახლა კი... თუმცა რაღა ტიმანი, როცა თვით კარპოვიც ტურნირებში მე-6 ადგილების მყარი ბინადარი გამხდარა. დასკვნა მარტივია: ვაჰ, დრონი, დრონი!...

**დავით გულუა**





REUTERS ნიუ იორკიდან

ტეგლა ლურუპე

# მართლა მაგარი ყოფილხარ, ტეგლა!

ნიუ იორკის მე-19 მინი-მარათონი, რომელმაც წინა 18-ისა არ იყოს, ახლაც ქალაქის ცენტრალურ პარკში გამავალ 10 კილომეტრიანი მონაკვეთზე ჩაიჯლიგინა, დაპირებისამებრ, ახლა განახებთ, რა გოგოც ვარო კენიელმა ტეგლა ლურუპემ მოიგო.

40 კილოგრამიანმა ტეგლამ, ვისაც ამ ტრასაზე 1993,1996 და 1997 წლებშიც უხეირია, ტოლი ვინმეს, არც ამჯერად დაუდო — მე-6 კმ-დან ჯგროს მკვირცხლად დაუსხლტა და მართალია ნორვეგიელი გრეტე ვაიცის მიერ 1980 წელს ნაჩვენებ 31-წუთიან რეკორდს ვერ უწია, მაგრამ მაინც რიგიანი 31,48 წთ აჩვენა. ეს კი სხვათა შორის იმასაც ნიშნავს, რომ მისი პირადი ბიუჯეტი ერთბაშად 15 ათასი დოლარით გამდიდრდა.

ერთადერთი რამაც პატარა კენიელ ქალს მაააის პრობლემა შეუქმნა, — პარკში ანაზდად გორგოლაჭებზე გამოსრიალებული მავანი ახვარი იყო — აკი ამ ოთხიოდე წლის წინ ერთმა ასეთმავე რეგვენმა მისთვის არც წიხლის ჩაზილვა და შესაბამისად მარათონიდან გადაგდება დაიშურა. თუმცა ახლანდელი ახვარი უფრო შეგნებული ადმ ოჩნდა და ქალისთვის არაფერი უვნია...

რაც შეეხება ტეგლას ნაქებ კონკურენტებს, ეთიოპელ გეტე ვამისა და რუმინელ ლიდია სიმონს. კროსრბენში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი გეტე კენიურ ტემპს ვერ აჰყვა და ფინიშთან მეორე მიძუნძულდა, ლიდიას კი, ტეგლასთვის იანვარში ოსაკას მარათონზე 22 წამით უჯობნია, ბარძაყის ტკივილები მოსძალებია და ხეირი, მისივე სიტყვით, სწორედ ამიტომაც ვერ უნახავს.

# პატარას ქარში ხტომითა ზემო გაუხარდება

აშშ-ს ღია გრან პრი — მძლეოსნობის გრან პრის მორიგი საამსეზონო ეტაპი, რომელიც სამხრეთ ილინოისის უნივერსიტეტის ველ-მინდორზე გაიმართა, მაყურებელთა და მონაწილეთა სიხალვათით აღინიშნა. ტრიბუნების სიშიშვლე ასპარეზობის უდროო დროს მოწყობას გამოუწვევია — იმ დღეს ედვარდსვილში სხვა, ადგილობრივი თამაშობანიც მრავლად ყოფილა და იქაურებსაც ნათესავ-ახლობელი ჭაბუკების საცქერლად გაუწევიათ. რაც შეეხება მძლეოსანთა სიმცირეს, აქ უწინარესად წლევანდელი სეზონის ფავორიტებს ვგულისხმობთ, თორემ მეტ-ნაკლებად რიგიანი სახელები და შედეგები არც ამ ამბავს აკლდა.

სხვა რომ არა იყოს რა, აშშ-ს ღია ასპარეზი სეზონის ორი საუკეთესო შედეგით გაგვიმასპინძლდა. ჰოდა, ჩვენ ჯერ მაგებით დავიწყოთ და მერე წვრილმან სათქმელებსაც მოვყვეთ.

არადა მსხვილმანად ვერც თუ პოლონელი ანა იაკუბჩაკის მიერ 1500 მეტრიან ბილიკზე გალაღებასა და მეტოქეთა 4:08.77-წუთიანი შედეგით დაჯაბნებაზე ითქმება რამე. ერთი ეგაა, რომ სლავმა ქალმა ამერიკელ შერი კენას გადაურბინა, რომლის 4:09.33-ის დარი ამ სეზონში და ამ მანძილზე ვერც ერთ ამერიკელ მდედრს ვერ უჩვენებია.

ნამეტანი ბევრი სალაპარაკო ეგებ დღის არც მეორე გმირზე, 110 მეტრიან თარჯრბენში ნახეირებ ამერიკელ ვაუ ლერი უეიდზე გვქონდეს, რომლის 13,22 წამსაც წელს ბარე ორი ველარ გაუსწორდეს. ყოველ შემთხვევაში, ამერიკელივე მარკ კრიერი, შარშან ამ სახეობაში №1 მორბენლად რომ მოიხსენიობოდა, ამჯერად მხოლოდ 13,36-სა და მესამე ადგილს დასჯერდა.

ლერი კი რა! — იგი 24 წლისაა, წარმოშობით ტეხასის პატარა ქალაქ ელგინიდან, აშშ-ს უნივერსიტეტთა შეჯიბრის შარშანდელი ჩემპიონია და ერთ ყველაზე პერსპექტიულ ათლეტად ითვლება, ამჟამად ლოს ანჯელესში ცხოვრობს, დიდგონიერი მწვრთნელის ჯონ სმიტის ხელქვეით იწრთობა და ყოველ კვირას რაღაც ახალსა ვსწავლობო, ეგრე ამბობს. ზეპურ სარბიელზე მოგებით კი რაღაც-რაღაცები უკვე მოუგია და თქვენ თუ არ დაგვიწყებიათ, მათ შორის რიო დე ჟანეიროს ამ სამი კვირის წინანდელი გრან პრიცაა. ხოლო მისი უმთავრესი საამსეზონო გეგმა, რაღა დასამალია და, სევილიაში აგვისტოში გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატზე აღზევება იქნება. ღმერთმა მაგას ხელი მოუმართოს!

ჩვენ კი მომდევნო საკითხებზე გადავინაცვლოთ.

ქება და დიდება სამ ამერიკელ დედაკაცს — მხცოვან ჯირლ მაილზ-კლარკს, რომელმაც 800 მეტრი ყველაზე სწრაფად გადაიჭენა და სხვათა შორის, თავის სატულველ მულს, ჯოტა კლარკსაც აჯობა; ასევე ბირთვის მკვრელ კონი პრაის-სმიტს, რომლის 19,11 მეტრიანი შედეგი წლეულს მხოლოდ გერმანელი ნადინე კლაინერტის მიერ წინა კვირას ნაჩვენებ 19,52-იანს ჩამორჩება; და 400 მეტრიან თარჯრბენში მსოფლიოს რეკორდსმენ კიმ ბეტენს, რომელმაც ამჯერად მაგრად იწვალა, მაგრამ მოსაგები მაინც არავის დაუთმო და თანამემამულეებს წლის საუკეთესო ეროვნული შედეგიც დაუწესა — 54,52 წამი.

სულ ბოლოს კი, ფეხმარდ ტაირე ვაშინგტონსა და გრძელჭოკიან ჯეფ ჰარტვიგსაც გაუმარჯოს! პირველი როგორც წესი 400 მეტრიანი ბილიკების სპეციალისტად ითვლება, მაგრამ ამ სეზონში ორჯერ მცირე მანძილზე სირბილი გადაუწყვეტია და პირველი ცდით თუ ვიმსჯელებთ (20,09 წმ) ეგებ რამე პრობლემებიც შექმნას; მეორე კი თურმე სადღაც იმ სანახებიდან ყოფილა წარმოშობილი და გამარჯვებაც იქვე მსუყედ მოგროვებული ნათესავ-მეგობრებისათვის უძღვნია. ამათგან განსაკუთრებით ჯეფის 81-წლიან ბებიას გაჰხარებია — გიშველათ ღმერთმა, ეგ ბავშვი ჭოკით, სკოლის მერე აღარ მენახაო...

**არტემ ჩაჩანიძე**

ჰოკეი

# დალასელი ჯო: ვიღებ გოლის შემკვეთებს

STANLEY CUP PLAYOFFS

24 მაისი

დასავლეთი

სერიის ანგარიში

დალასი — კოლორადო 1:1

დალასი — კოლორადო 4:2

1:1 1:1 2:0

0:1 ოზოლინში 10'32 (3); 1:1 რეიდი 14'11 (1); 2:1 ზუბოვი 24'56 (1); 2:2 ჰეიდუკი 34'59 (6); 3:2 ნუინდაიკი 51'52 (7); 4:2 მოდანო 56'28 (5)



REUTERS დალასიდან

დალასელ პეტ ვერბიკს (მარჯვნივ) შაიბის გატანა წაქცევად დაუჯდა, მაგრამ ნაჯაფარი წყალში გადაეყარა — მსაჯებმა არ ჩაუთვალეს

მართალია, კოლორადოს პლეი ოფში სტუმრად ერთი მატჩიც არ წაეგო, მაგრამ ამჯერად აშკარა იყო, დალასი ყველანაირად ეცდებოდა, ამ შეხვედრაში წარმატებისთვის მიეღწია. მასპინძლებს უცილობლად სჭირდებოდათ გამარჯვება და სწორედ ამ ფსიქოლოგიურმა ფაქტორმა ითამაშა მნიშვნელოვანი როლი. თანაც წლევანდელ პლეი ოფში რატომღაც ასე ხდება — როცა დალასს გადამწყვეტი გოლი სჭირდება, ჯო ნუინდაიკი არ აყოვნებს და გააქვს.

მიუხედავად იმისა, რომ მთელი მატჩის განმავლობაში უპირატესობას მასპინძლები ფლობდნენ (თუნდაც დარტყმების რაოდენობა აიღეთ — 45:19), 52-ე წუთამდე კოლორადოს მეკარე პატრიკ რუას წყალობით ანგარიში საყაიმო იყო. „2:2-ზე აშკარად ვიგრძენი, რომ მომდევნო გოლი გადამწყვეტი იქნებოდა“ — აღიარა მატჩის შემდეგ კოლორადოს ფორვარდმა, დეილ ჰანტერმა. ასეც მოხდა. თანაც ნუინდაიკის გოლს კიდევ ერთი, პეტ ვერბიკის მიერ გატანილი და მსაჯების მიერ სამართლიანად გაუქმებული შაიბა უძღოდა წინ.

საბოლოოდ იმავე ვერბიკის დარტყმის შემდეგ ნუინდაიკმა იმარჯვა და დამატებაზე გაიტანა. ეს მისთვის უკვე მეოთხე გადამწყვეტი გოლია წლევანდელ პლეი ოფში. აღსანიშნავია მაიკ მოდანოს თამაშიც. მისი სამეული ამჯერადაც კოლორადოს წამყვან, ფორსბერგის ტრიოს შეეჯახა. ეს პაექრობა დალასელთა ლიდერების სრული უპირატესობით წარიმართა. მეოთხე შაიბის გატანის გარდა მოდანომ სერგეი ზუბოვსაც მიაწოდა საგოლე პასი და ბოლო 5 მატჩში 8 (3+5) ქულა დააგროვა. მისმა კონკურენტმა ფორსბერგმა კი მხოლოდ ერთი შედეგიანი პასი იკმარა.

სერიის მომდევნო ორი მატჩი უკვე დენვერში გაიმართება, სადაც „ეველანშმა“, თუ მოგება სურს, უნდა დაამტკიცოს, რომ ხეირიანი თამაში შინაც შეუძლია (აქამდე 6 შეხვედრიდან 4 წააგო).

ბომბარდირები: ფორსბერგი 20 (7+13); ფლერი (ორივე კოლორადო) 15 (5+10); მოდანო (დალასი) 14 (5+9); საკიკი 14 (4+10); ლემიე (ორივე კოლორადო) 13 (2+11); სუნდინი (ტორონტო) 12 (6+6); ჰეიდუკი (კოლორადო) 11 (6+5); პეკა (ბუფალო) 11 (4+7); ნუინდაიკი (დალასი) და დედმარში (კოლორადო) 10 (7+3).

**სამველ ლარიბიანი**

## ველორბოლა

# ჩიპოს ოცდამეშვიდე ჯირო

იტალიელმა მარიო ჩიპოლინიმ (საეკო) წლევანდელ „ჯიროზე“ მეორე ეტაპი მოიგო. ჩიპომ 189 კილომეტრის გავლის შემდეგ სან სეპოლკროში გამართულ ჯგუფურ სპრინტში აჯობა მეტოქეებს. კატანიაში (II ეტაპი) ნაპირველებმა მოდიკაში (I ეტაპი) გამარჯვებულ ახალგაზრდა იტალიელ ივან კუარანტას გაასწრო. მესამე და მეოთხე ადგილებზე მასიმო სტრაზერი და ფრანჩესკო არაზი გავიდნენ.

ფრანგმა ლორან ჟალაბერმა რბოლა პელოტონის მოწინავე ნაწილთან ერთად დაამთავრა და ამდენად, საერთო ჩათვლაში პირველობა შეინარჩუნა. არადა, როგორ უნდოდა მარკო პანტანის მისთვის თუნდაც ერთი წამის მოგება. ამ შემთხვევაში ხომ „მეკობრე“ გუშინ მე-11 ეტაპზე თავის მშობლიურ ქალაქ სეზენატიკოში ვარდისფერ მაისურაში გამოწყობილი მივიდოდა.

რბოლას დიდი ხნით ავსტრიელი გლომსერი და რუსები — ვიაჩესლავ ეკიმოვი და ალექსანდრ გონჩენკოვი ლიდერობდნენ. მათ 5 წუთზე მეტიც აშორებდათ მდევრებისგან, მაგრამ 168-ე კილომეტრზე პელოტონს შეუერთდნენ. ამის შემდეგ იტალიელები ანდრეა ფერიგატი და ფილიპო კასაგრანდე გაიქცნენ წინ. ამ უკანასკნელმა კარგა ხანსაც ატრიალა მარტოობაში პედლები, მაგრამ ფინიშამდე ოთხი კილომეტრით ადრე მეტოქეები წამოეწივნენ.

სწორედ ამ მომენტში „საეკოს“ ლიდერ დარიო ფრიგოს, საბურავი გაუსკდა და ოთხი თანაგუნდელიც მას დაელოდა. ამიტომ საეკოელ პეპელა ჩიპოლინის სპრინტში წარმატების შანსი შეუმცირდა, მაგრამ მას ორი პარტნიორი დაეხმარა და ჩიპომ თავისი ორი წლის ქალიშვილის თვალწინ კარიერაში „ჯიროს“ 27-ე ეტაპი მოიგო.

125-კილომეტრიანი მე-11 ეტაპი სან სეპოლკროსა და სეზენატიკოს შორის დანილო დი ლუკას (?) გამარჯვებით დასრულდა, ვარდისფერი მაისურა კი მაინც ჟალაბერს (?) დარჩა.

**გაგი გურული**

| მეათე ეტაპი |
| --- |
| ანკონა-სეპოლკრო (189კმ) |
| 1 მარიო ჩიპოლინი (იტალია, საეკო) 4სთ. 28წთ. 24წმ. |
| 2 ივან კუარანტა (იტალია, მობილვეტა) |
| 3 მასიმო სტრაზერი (იტალია, მობილვეტა) |
| 4 ფრანჩესკო არაზი (იტალია, ამიკა ჩიპსი) |
| 5 ენდრიო ლეონი (იტალია, ვიტალიციო) |
| **მეთერთმეტე ეტაპი** |
| სან სეპოლკრო-სეზანატიკო (122 კმ) |
| 1. ივან კუარანტა (იტალია, მობილვეტა) 2 სთ, 53 წთ, 41 წმ |
| 2. მარიო ჩიპოლინი (იტალია, საეკო) |
| 3. იან სვორადა (ჩეხეთი, ლამპრე) |
| 4. იერონ ბლიილევენსი (ჰოლანდია, TVM) |
| 5. ენდრიო ლეონი (იტალია, ლიკიგასი) |
| **საერთო ჩათვლა** |
| 1. ლორან ჟალაბერი (საფრანგეთი, ონსე) 46 სთ, 46 წთ, 49 წმ |
| 2. მარკო პანტანი (იტალია, მერკატონე უნო) +4 წმ |
| 3. დარიო ფრიგო (იტალია, პოლტი) +1,02 წთ |
| 4. სერგეი გონჩარი (უკრაინა, ვინი კალდიროლა) +1,13 წთ |
| 5. ივან გოტი (იტალია, პოლტი) +1,17 წთ |

## ავტორბოლა

# რალი მოყვარულთა

## დიდუბე — გზანი მაღალნი

კვირას ექსპოცენტრის საგამოფენო კომპლექსის ტერიტორიაზე უჩვეულო ხალხმრავლობა იყო, მანქანათმრავლობაც. არა, იქ ამჯერად არანაირი გამოფენა არ მოწყობილა, უბრალოდ, გაიმართა ავტორალი, რომლის ორგანიზატორიც საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაცია გახლდათ. მოყვარულთა რალ „ქართლი 99“-ში 38 ეკიპაჟი მონაწილეობდა. შეჯიბრი თავდაპირველად ფიგურულ მანევრირებაში მოეწყო, მერე კი მონაწილენი მცხეთა-მთიანეთის გზებს შეუყვნენ. რალი თბილისში სტარტის ადგილზე დასრულდა ისევ ფიგურულ მანევრირებაში გაჯიბრებით. მთელ მარშრუტზე ექვსი საკონტროლო პუნქტი მოეწყო. იქ დროზე ადრე ან დაგვიანებით შესვლა მონაწილეთ ქულების ჩამოკლებად უჯდებოდათ. გამარჯვებულად დასახელდა სიმონ და მიხეილ ალხაზოვების ეკიპაჟი 174 საჯარიმო ქულით. მეორე ადგილი გიორგი და ვახტანგ სულაძეებმა დაიკავეს, მესამე — ორმა ირაკლიმ — ჯაჯანაშვილმა და ნაცვლიშვილმა შესაბამისად 409 და 508 ქულებით.

## ჩოგბურთი

# დაბრუნება ცისფერი ლაგუნიდან

ათ წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ანდრე აგასი პირველად გამოჩნდა მსოფლიოს კორტებზე. მეტიჩრობამდე თავდაჯერებულმა თინეიჯერმა ყვითლად გადაღებილი გრძელი თმებითა და რევოლუციურად ჭრელ-ჭყეტელა ტანისამოსით ელვის უსწრაფესად დაიპყრო ჩოგბურთის სიმაღლეებიცა და მშვენიერი სქესის ქომაგთა გულებიც.

ახლაც, გამელოტებულ-გადახოტრილი თავის, სკანდალურად გახმაურებული სასიყვარულო თავგადასავლების, დაქორწინება-გაშორების, 100-მილიონიანი კონტრაქტებისა და უამრავი ტიტულის შემდეგ აგასი მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში ისევ მაყურებელთა ფავორიტია, თუმცა ძველი სისწრაფისა და თვალებში ანთებული ნაპერწკლისგან იქნებ ბევრი აღარაფერი დარჩენილა.

პირველი სეტი არგენტინელ ფრანკო სკილარისთან ამერიკელმა იოლად დათმო, მერე ზედიზედ ორი დიდი ჯახირით მოიგო და მაშინ, როდესაც გამარჯვებამდე სულ ცოტა უკლდა, 5:3-ზე მეოთხე ხელში, საკუთარ მოწოდებაზე 30:40 ჩამორჩა.

„ანდრე“, მაშინვე შეაწიეს ხმა ქომაგებმა. ამას მაშინვე ეისი მოჰყვა, მერე კიდევ ერთი, მერე კიდევ ერთი და მატჩიც დასრულდა 3:6, 7:5, 7:5, 6:3. ანდრემ მუშტი მოიღერა და ქომაგებს საჰაერო კოცნა გაუგზავნა — არცთუ მოულოდნელი ჟესტი ჩოგბურთელისგან, რომელიც ყოველი მოგების შემდეგ კორტს არ ტოვებს, თუ ოთხივე ტრიბუნას თავი არ დაუკრა.

პარიზში მოგებაზე აგასი ყველაზე მეტად ოცნებობს — ეს ერთადერთი დიდი სლემის ტიტულია, რომელიც პიტ სამპრასისა და მარტინა ჰინგისის არ იყოს, მის კოლექციას აკლია, თუმცა მარტო მაყურებელთა მხარდაჭერით საქმეს არ ეშველება: 1996 წლის შემდეგ „მეიჯორებზე“ ანდრე მერვედფინალსაც არსად გასცილებია, თანაც ერთი კვირის წინ მხრის ტრავმის გამო როლან გაროსზე თამაშიც სათუო ჰქონდა.

„ჩემი თავისგან აქ ბევრს მოველი. იქნებ ბოლო ხანებში ჩოგბურთზე მეტად სხვა რამეებზე ვფიქრობდი (აბა, ბრუკ შილდსთან გაშორება როგორი საქმეა), მაგრამ ამჟამად ძალიან მოწადინებული და ასეთი მატჩების წვალებით მოგებისთვისაც მზად ვარ“ — ოპტიმისტურ განწყობაზე ყოფნას კაცს როგორ დაუშლი.

თუ ანდრე როლან გაროსის ფინალში ორჯერ მაინც ყოფილა, მეშვიდედ განთესილმა ტიმ ჰენმანმა უკვე ერთი მატჩის მოგებითაც ახალ ტერიტორიაზე შედგა ფეხი: აქამდე იგი პარიზში სამჯერვე პირველ წრეში გავარდნილიყო და მაროკოელი ქარიმ ალამის რის ვაი-ვაგლახით, 6:4, 3:6, 4:6, 6:3, 6:4 ჯობნამაც ძალიან გაახარა.

„როცა მატჩი დასრულდა, მხოლოდ მაშინ გავაცნობიერე, რომ გაისად აქ დაბრუნება და თავისთვის იმის მტკიცება, მეხუთე და სამართალიო, აღარ მომიხდებოდა. ადრე თიხნარზე თამაში მაშინებდა, მაგრამ ახლა უფრო თავდაჯერებული ვარ, ამ გამარჯვებამ კი ორმაგად მასიამოვნა“ — აღნიშნა მოგვიანებით ჰენმანმა.

პირველი წრე: **მარსელო რიოსი** (9, ჩილე) — აქსელ პრეჩი (გერმანია) 6:3, 6:2, 7:5; **ნიკოლას ლაპენტი** (ეკვადორი) — ტომას მუსტერი (ავსტრია) 2:6, 6:1, 6:2, 7:6 (7:4); **ალბერტ კოსტა** (ესპანეთი) — მაგნუს გუსტაფსონი (შვედეთი) 6:3, 4:6, 7:5, 7:6 (7:5); **გუსტავო კუერტენი** (8, ბრაზილია) — გალო ბლანკო (ესპანეთი) 6:4, 6:4, 6:3; **ალექს კორეტხა** (6, ესპანეთი) — გერმან პუენტესი (ესპანეთი) 7:6 (7:4), 6:4, 6:2; **ტომას ენკვისტი** (16, შვედეთი) — ჰექტორ მორეტი (არგენტინა) 4:6, 6:0, 6:4, 6:2; **მაგნუს ლარსონი** (შვედეთი) — კაროლ კუჩერა (11, სლოვაკეთი) 6:2, 6:3, 6:2; **პატრიკ რაფტერი** (3, ავსტრალია) — როჯერ ფედერერი (შვეიცარია) 5:7, 6:3, 6:0, 6:2.

თუ კაცების ბადეში იოლი მატჩი თითქმის არ არსებობს, ქალებთან დიდი სლემის ტურნირი რეალურად მხოლოდ მეორე კვირაში იწყება. როგორც წესი, დები უილიამსები, მონიკა სელეში, ლინდსი დევენპორტი და მისთანანი მერვედფინალამდე თითქმის უბრძოლველად მიდიან, ისეთი მატჩები კი, როგორც, ვთქვათ, მარტინა ჰინგისისა და ამელი მორესმოს დაპირისპირებაა მეორე წრეში, ადრეულ ეტაპზე ძალიან იშვიათად მოდის.

მაგალითად, თუნდაც შტეფი გრაფის პირველი შეხვედრა ავიღოთ ერთ დროს სახელოვან და რიცხვმრავალ მალეევათა კლანის უმცროს წარმომადგენელ მაგდალენასთან. დიდმა გერმანელმა მატჩის დასაწყისში მეტოქე ცოტა გაახარა, მაგრამ 3:2-დან თავის მკვლელ ფორჰენდსა და მოწოდებაზე სამიზნე გაისწორა და ზედიზედ 9 გეიმი და მატჩი მოიგო 6:2, 6:0, რასაც სულ 49 წუთი დაახარჯა.

თუმცა ამ იოლი გასეირნებითაც ვერ მიხვდები, პარიზში გამარჯვების ფავორიტად შტეფი უნდა მიიჩნიო, თუ არა. ნამდვილი გამოცდა მხოლოდ რამდენიმე დღეში შედგება, როდესაც ბოლოს და ბოლოს განთესილთა შეხვედრების დროც დადგება. სწორედ ამიტომ, პროგნოზებს თავად გრაფიც ერიდება: „როდის ვაპირებ მომდევნო დიდი სლემის ტურნირის მოგებას? ამ კითხვაზე პასუხისგან თავს შევიკავებ. ამჟამად არცთუ ურიგოდ ვთამაშობ და ზურგის ტკივილებმაც გამიარა, მაგრამ საუკეთესოთა შორის კონკურენცია ძალიან დიდია“.

პირველი წრე: **მონიკა სელეში** (3, აშშ) — ფანგ ლი (ჩინეთი) 6:2, 6:4; **არანჩა სანჩეს-ვიკარიო** (7, ესპანეთი) — მირინა ლუჩიჩი (ხორვატია) 6:2, 6:2; **აი სუგიამა** (იაპონია) — ამანდა კუტცერი (14, აფრიკა) 7:5, 6:1; **ჟული ალარი** (16, საფრანგეთი) — კარინა ჰაბსუდოვა (სლოვაკეთი) 1:6, 6:4, 6:1;

**ავთანდილ სვანიძე**



REUTERS პარიზიდან

ანდრე აგასი

## ინტერვიუ მატჩის შემდეგ



REUTERS პარიზიდან

კარლოს მოია

# მატჩის შუაში გამოვფხიზლდი

კარლოს მოია როლან გაროსის შარშანდელი ჩემპიონი, წლევანდელი ფავორიტი და უკვე მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანია, მაგრამ ტიტულის შენარჩუნება მაინცდამაინც დამაჯერებლად არ დაუწყია — პირველ წრეში ყველასათვის უცნობ ავსტრიელ მარკუს ჰიპფლს მხოლოდ ხუთ სეტში აჯობა, თანაც პირველი ორის წაგების შემდეგ 3:6, 1:6, 6:4, 6:2, 6:4.

**— იყო მატჩში ისეთი მომენტი, როდესაც იფიქრეთ, რომ წააგებდით?**

— თავიდან ისე ცუდად ვთამაშობდი, წარმოდგენა არ მქონდა, როგორ შეიძლებოდა, თავი გადამერჩინა. როდესაც არაფერი გამოგდის, მთავარია, ბოლომდე იბრძოლო და ყველაფერი გაიღო, რაც გაგაჩნია. მეც ასე მოვიქეცი და ამან ნაყოფი გამოიღო. მატჩი ძალიან მძიმე გამოდგა, მაგრამ მისმა მოგებამ დიდი სიამოვნება მომანიჭა.

**— ორგანიზატორებს მომავალში შეხვედრების უფრო გვიან დანიშვნას არ სთხოვთ?**

— ჰო, ვაპირებ ვუთხრა, რომ მირჩევნია, მე-8, მე-10 კორტზე მათამაშონ ცენტრალურის ნაცვლად, მაგრამ არა დილის 11 საათზე. მე ცოტა ზარმაცი ვინმე ვარ და ადრე ადგომა, გამოღვიძება მიჭირს, დღესაც მხოლო შუა მატჩში გამოვფხიზლდი.

**— ის, რომ შარშანდელი ჩემპიონი ხართ, განსაკუთრებულ, განსხვავებულ გრძნობას გიქმნით?**

— განსხვავება შარშანდელთან შედარებით მხოლოდ ის არის, რომ ახლა ხალხი უკეთ მიცნობს. დიდი იმედი მაქვს, რომ წლეულსაც წარმატებით ვიასპარეზებ, რადგან ეს ტურნირი ძალიან მიყვარს და აქ ბევრი ქომაგიც მყავს. მაგრამ თუ არაფერი გამომივა, ეს კატასტროფა არ იქნება, წინ კიდევ მრავალი წელი მაქვს და შანსი მომავალშიც უეჭველად მომეცემა.

**— როდესაც არანჩა სანჩეს ვიკარიომ როლან გაროსი პირველად მოიგო (1989), ჯერ პატარა იქნებოდით. გახსოვთ ის ფინალი?**

— კი, ის დღე კარგად მახსოვს. არანჩა მაშინ 17 წლის იყო, შტეფი გრაფი კი უკვე ლეგენდას წარმოადგენდა, ასე რომ, მისგან მოგებას არავინ ელოდა. ამ წარმატებას მთელი ესპანეთი ზეიმობდა. ვფიქრობ, იგი ესპანეთის ყველა დროის საუკეთესო სპორტსმენი ქალია, მან დიდი წვლილი შეიტანა ჩვენი ქვეყნის ჩოგბურთის განვითარებაში. არანჩა კორტზე ყოველთვის ბოლომდე იხარჯება, ბოლომდე იბრძვის.

**— ხომ არ გაღელვებთ ის, რომ გასული წლის როლან გაროსის შემდეგ ერთი ტურნირიც არ მოგიგიათ?**

— წლეულს თიხნარის სეზონის დასაწყისში არ გამიმართლა, ცერა თითის ტრავმის გამო მთელი ძალით ვერ ვთამაშობდი. ის, რომ ტურნირი არ მომიგია, სულაც არ მაღელვებს, ვიცი, რომ ადრე თუ გვიან, ტიტულს აუცილებლად მოვიპოვებ, თუმცა, რა თქმა უნდა, მირჩევნია, ეს აქ გავაკეთო, თავდაჯერება არ მაკლია და კარგადაც ვთამაშობ.

**— თქვენ როლან გაროსზე გაიმარჯვეთ, მაგრამ დიდი სლემის ტურნირების მასპინძელი ქალაქებიდან რომელი მოგწონთ ყველაზე მეტად, ლონდონი, პარიზი, მელბურნი თუ ნიუ იორკი?**

— როგორ ქალაქი, პარიზი ძალიან მიყვარს, ელისეს მინდვრებზე გასეირნება, ფრანგული სამზარეულოთი დატკბობა, მაგრამ ტურნირებიდან ყველაზე სასიამოვნო და კომფორტული ავსტრალიაა. იქ ცხელა, ხალხი ცოტა ირევა და სასტუმროც სტადიონიდან სულ ათი წუთის სავალზეა.

**— შარშანდელი ფინალი მოგვიანებით ნახეთ კიდევ ერთხელ?**

— არა, მხოლოდ რამდენიმე გეიმი. ბევრჯერ ვნახე დაჯილდოების ცერემონია, მთავარი პრიზის ხელში აწევის მომენტი, მაგრამ თავიდან ბოლომდე ერთი სეტიც არ მინახავს.

**— ხომ არ ცდილობთ, ნაკლებად იფიქროთ იმ მატჩზე?**

— არა, რა თქმა უნდა, არა, როცა თავს ცუდად ვგრძნობ, სწორედ მაშინ ვიხსენებ-ხოლმე სასიამოვნო მომენტებს. მაგალითად, ბოლო ქულას, ან რიოსთან მოგებულ მეოთხედფინალს ზოგჯერ კიდევ ერთხელ ვუყურებ, რომ საკუთარი ძალების რწმენა დავიბრუნო.

**— ის, რომ ჯილდო პელემ და დონ ბაჯმა (დიდი სლემის მომგები ამერიკელი ჩოგბურთელი) გადმოგცათ, განსაკუთრებული რამ იყო?**

— კი, ძალიან.

**— რა შეიძლება ამაზე უკეთესი იყოს?**

— არ ვიცი, შეიძლება კიდევ ერთი დიდი სლემის ტურნირის მოგება და მსოფლიოს პირველი ჩოგნობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა






# შემფოდ რაა ნადიმი?!

*დაკვირვებული კაცი შენიშნავდა, სადაც დიდი პელეა, დიდი ფოიერვერკი და ნადიმიც იქნება. დღეს პელე ბარსელონაშია, იქ კი ჩემპიონთა თასის ფინალში „მანჩესტერ იუნაიტედის“ ვარსკვლავები „ბაიერნისას“ უნდა შეხვდნენ — ესეც ფოიერვერკი. ფეხბურთის მეფეს აქეთ-იქით მხევალნი რომ ეკეკლუცებიან, ერთს მანჩესტერელთა ფორმა აცვია, მეორეს მიუნხენელთა. ფინალი ხომ დიდი შოუაა, ხოლო რაც შეეხება ნადიმს, გვერწმუნეთ, დღეს საღამოს აუცილებლად გაიმართება.*

# ამერიკელი მაია 108-ედ ჩაკოცნეს

*ამერიკელ ქალთა საფეხბურთო ნაკრები თქვენ სიაფანდი რამე არ გეგონოთ. აგერ გასულ უქმეებზე გამართულ ამხანაგურ მატჩში 3:0 ვინმეს კი არა, თვით ბრაზილიელ გავა-მშვენიერ გოგოცუნებს მოუგო... მაგრამ ამ ამბის ჩვენ-ჩვენ ამბავში მოხსენიების მიზეზი ზოგადად ნაკრების გარჯილობაზე მეტად მისი ლიდერის, მაია ჰემის (№9) მიერ ამ მატჩში შეგდებული სარეკორდო, 108-ე გოლი უფროა. აქამდე სანაკრებო დონეზე ზემეგოლე ქალად 107-ის შემგდები იტალიელი ელიზაბეტა ვინიოტო ითვლებოდა... ფოტოზე აღბეჭდილი ხვევნა-კოცნაც სწორედ მაგის გამო მომხდარა.*








**კოპენჰაგენში** დასრულდა მსოფლიოს ჩემპიონატი იმ სახეობაში, რომელსაც საქართველოში ძლიერი სააგარაკო დატვირთვა გააჩნია. მიხვდებოდით, ბადმინტონს ვგულისხმობთ. სააგენტოებს ტურნირის იწილო-ბიწილოზე თხრობით თავი არ მოუკლავთ, თუმცა გამარჯვებულთა ვინაობები მაინც შეგვატყობინეს და ჩვენებურ-თქვენებური აგარაკული სოლიდარობის ამბავშიც პირნათლად დაგვტოვეს... მოკლედ: მარცხნივ ქალთა შორის გამარჯვებული დანიელი კამილა მარტინია (ვინაც ფინალში ჩინელ დაი იუნს მოუგო 11:6 6:11 11:10), ზევით კი ვაჟთა შორის უძლიერესი ჩინელი სუნ ჯუნი (რომელმაც ტაივანელ ფუნგ პერმადი დაამარცხა 15:6 15:13).

# ეს ბუშტი კაცობის ძეგლია

აბა, შვეიცარიელი ბერტრან პიკარისა (მარცხნივ) და დიდბრიტანელი ბრაიან ჯოუნზის ვინაობათა შეხსენება ვის უნდა სჭირდებოდეს... ალბათ მხოლოდ იმას, ვისაც მსოფლიო მებუშტეობის განვითარება და მისთანები სულ თავის მიშენებულ აივანზე ჰკიდია. არადა, მთელ დანარჩენ სამყაროს ამ ორი კაცის გამორჩეული პატივისცემა და რამე აქვს. ისინი ხომ ადამიანთა შორის პირველნი არიან, დედამიწა საჰაერო ბუშტით რომ შემოუფრენიათ... ეგ ამბავი, სხვათა შორის, კოპწია შვეიცარიული დაბა შატო დიოდან 1 მარტს დაიწყო და 20 ხიფათიანი დღის შემდეგ ეგვიპტის ბარაქიან გულ-მკერდზე დასრულდა. ჰოდა, მადლიერმა ქომაგებმაც ლეგენდარულ მებუშტეთა პატივსაცემად შატო დიოში აი ეგეთი ისე-რა მონუმენტი შემართეს და მის პრეზენტაციაზე თავად გმირი ბიჭებიც დაისწრეს...



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; **ინფორმაციის რედაქცია** ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ლევან კელაურაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი,
ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79,
საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29